# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 078 (12757) | 4 აპრილი შაბათი 2009 | ფასი 50 თეთრი




## დიდი ჯახი ბუნდესლიგაში

» 8

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## გოჩა ჯამარაული

# ეს ფედერაცია უნდა ვამხილოთ!

## ქავთარაძე: ფედერაციის პრეზიდენტი ხელისუფლების დანიშნული არ არის...



ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან » 2



ინტერვიუ გოჩა ჯამარაულთან » 2




2008 წლის 1 ოქტომბერი. დინამო-ოლიმპი 2:1

## უკან დასახევი გზა მოჭრილია

### მთავარი მატჩი: დინამო vs ოლიმპი

ტურის წინათქმა » 3,4

## რუსთავში დიდი რაგბი ბრუნდება

### ხარები უმაღლეს ლიგაში



» 13

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

გოგი ქავთარაძე

# ფედერაციის პრეზიდენტი ხელისუფლების დანიშნული არ არის...

## ქავთარაძე მიიჩნევს, რომ ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა მხოლოდ ნაკრების შედეგებით არ უნდა შეფასდეს



**კვიპროს-ჩერნოგორიასთან მატჩებამდე ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს - ექტორ კუპერთან კონტრაქტის გაგრძელება-არგაგრძელებაზე ამ თამაშების მერე ჩამოვყალიბდებითო. ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს ძირითადად ამ საკითხზე ვესაუბრეთ...**

**- ჩვენი ნაკრების შედეგებიდან გამომდინარე, როგორია იმის შანსი, რომ ექტორ კუპერთან კონტრაქტი გახანგრძლივდეს?**

- ამაზე ჯერ არ გვისაუბრია, კუპერი ახლა არ არის თბილისში, თვის ბოლოს ჩამოვა და რაღაც კონტურებს მოვხაზავთ. მისი პოზიციაც ხომ უნდა ვიცოდეთ ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით?

**- საინტერესოა, როგორია პირადად თქვენი პოზიცია? უნდა დარჩეს კუპერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად?**

- ცვლილებებს სჯობს, კუპერი კიდევ ერთი ციკლით დარჩეს. თუ ფიფას ყველა თარიღს ავითვისებთ, საქართველოს ნაკრებს საკმაოდ ბევრი მატჩის გამართვა მოუწევს და ეს იქნება საკმარისი დრო სერიოზული გუნდის ჩამოსაყალიბებლად.

**- წლეულს დარჩენილი სამი შესარჩევი მატჩის გარდა, საქართველოს მხოლოდ ერთი ამხანაგური შეხვედრა აქვს დაგეგმილი...**

- ივნისში, მოლდოვასთან ამხანაგური მატჩის გარდა, მეორე მატჩის გამართვასაც ვაპირებთ. საქმე ისაა, რომ კანადის ნაკრები ივნისის დასაწყისში კვიპროსთან თამაშობს და ჩვენს ნაკრებთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვა. აგვისტოში რეალურია ლუქსემბურგთან სტუმრად თამაშიც, ნოემბერში კი ფიფას ორი სათამაშო დღე აქვს გამოყოფილი და ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე, შესაძლოა, ისლანდია იყოს.

**- ისევ მწვრთნელის თემას დავუბრუნდეთ. კლაუს ტოპმიოლერმა არ გაამართლა, ჯერჯერობით ვერ ამართლებს კუპერიც. რას წარმოადგენს ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებლობის მექანიზმი ყოველივე ამაზე?**

- პასუხისმგებლობის მექანიზმი ისეთივეა, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში - ჩატარდება ყრილობა, არჩევნები და საფეხბურთო სამყარო მიიღებს გადაწყვეტილებას.

**- ალბათ, საყოველთაო აზრია, რომ საფეხბურთო სამყარო ვერ ირჩევს ფედერაციის ხელმძღვანელობას, ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის პრეზიდენტის ბოლო ორ არჩევნებში ყველაფერი ხელისუფლებამ გადაწყვიტა...**

- ასეთ შეხედულებას არ ვიზიარებ. ფედერაციას საფეხბურთო სამყარო ირჩევს, ხელისუფლება აქ არაფერ შუაშია.

**- ფაქტია, საქმე უკან მიდის. არ გეჩვენებათ, რომ უცხოელი მწვრთნელი აღარ სჭირდება საქართველოს ასეთ ნაკრებს? სიტუაცია არ მოითხოვს ცვლილებებს?**

- თუ საუბარი ისევ უცხოელ მწვრთნელზე იქნება, არ მგონია, კვალიფიკაციის გათვალისწინებით ამ მომენტში კუპერზე უკეთესი კანდიდატურა იყოს. რაც შეეხება ქართველ მწვრთნელს, მიმაჩნია, რომ ამ დროისთვის რეალური კანდიდატი არ ჩანს და თუ გამოჩნდება, ცხადია, ამაზეც ვიმსჯელებთ. ისე კი, როცა კუპერთან მოქმედი კონტრაქტი გვაკავშირებს, ფედერაციის მხრიდან არაკორექტულია სხვა მწვრთნელებზე ლაპარაკი.

**- როგორ ფიქრობთ, ფედერაციამ საფეხბურთო სამყაროს აზრი არ უნდა გაითვალისწინოს?**

- გვაქვს არაფორმალური შეხვედრები საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებთან, ზოგს ასეთი პოზიცია აქვს, ზოგს ისეთი... ფეხბურთის ფედერაციას კი ხელმძღვანელობა იმიტომაც ჰყავს, რომ გადაწყვეტილება მიიღოს.

» 4

ინტერვიუ

გოჩა ჯამარაული

# ეს ფედერაცია უნდა ვამხილოთ!

## ვინ არის პასუხისმგებელი ამ პროექტების ჩავარდნაზე?

**„ჩვენი ფეხბურთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გოჩა ჯამარაული საქართველოს ნაკრების ბოლო შეხვედრებზე საუბარს უკვე აქტუალობადაკარგულად მიიჩნევს და უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე გვესაუბრება...**

**- ბატონო გოჩა, გვაინტერესებს თქვენი აზრი ბოლო ორ მატჩზე, ხოლო აქედან გამომდინარე - ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე...**

- თამაშის გარჩევას აზრი არ აქვს, რადგან ჩვენი პრობლემების გასაღები სხვაგანაა საძებნელი. მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა. უკეთესს არც ველოდი, რადგან ჩვენი ფეხბურთი ახლა ნულზე დაბლაა.

**- ბოლო დროს, თითქოს, მიზანმიმართულად ცდილობენ ხელის შენმენდას ექტორ კუპერზე...**

- არავის განკითხვას არ ვაპირებ, მით უმეტეს, მარხვაში. ფეხბურთის ფედერაცია ქრისტიანულად უნდა ვამხილო. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ უმადლო საქმიდან, ფეხბურთი იქნება ეს თუ სხვა ნებისმიერი სფერო, არაფერი გამოვა. მადლი კი იქაა, სადაც სამართალია. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. ჩვენ კი ვამბობთ - ქართულ ფეხბურთს მადლი უნდა დავუბრუნოთ! ამას მხოლოდ თავისუფალი ადამიანები შეძლებენ. ჟურნალისტი იქნება ეს, თუ ფეხბურთის სპეციალისტი, თავისუფალი უნდა იყოს, საკუთარი აზრი გულწრფელად და სამართლიანად რომ გამოხატოს. დღეს კი ქართულ ფეხბურთში სამართალი არ არის. ყველამ იცის, რომ ეს ფედერაცია დანიშნულია. ქართული ფეხბურთის ბედს კი ის ხალხი უნდა წყვეტდეს, საკუთარ აზრს თავისუფლად რომ გამოთქვამს. 13 მაისის ყრილობის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმე ცუდად წავიდოდა. მათ სხვისი ჯვარი იტვირთეს და სხვა შედეგს არც ველოდი. ძალიან ცუდ დღეში ვართ. არც ვიცი, რა გვეშველება? რა არის გამოსავალი? სახელმწიფო ჩინოსნებს ქართული ფეხბურთი უნდა უყვარდეთ და განვითარების საშუალება მისცენ. საჭიროა ისეთი საგადასახადო კოდექსი, ბიზნესმა ფეხბურთისკენ რომ გაიხედოს და ბავშვთა ფეხბურთით დაინტერესდეს. სახელმწიფომ, მინიმუმ, განვითარების 10-წლიანი პროგრამა უნდა შეადგინოს. შედეგს ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი პროექტებით თუ მივაღწევთ. ახლა კი ასეთი გეგმა არ არსებობს. ჩამოგვყავს მწვრთნელი და ვტრაბახობთ - აი, რა სახელოვანი სპეციალისტი გვყავს. კი, მაგრამ რომელმა მიაღწია შედეგს, ტოპმიოლერმა თუ კუპერმა? ან რა საფუძველი ჰქონდა ჩვენს იმედს? კარგად მახსოვს, ტოპმიოლერი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გაყვანას შეგვპირდა. ეს იყო ქართველი გულშემატკივრის წარმოუდგენელი შეურაცხყოფა. რომელ მსოფლიო ჩემპიონატზეა ლაპარაკი, როცა ქართული ფეხბურთი კვდება? არგენტინელები და ბრაზილიელები ველარ ამბობენ, მუნდიალზე გარანტირებულად ვითამაშებთო... ტოპმიოლერისა და კუპერის ჩამოყვანა იყო წმინდა წყლის „პიარი“. არადა, რეალურ საქმეებზე უნდა გვეფიქრა. არანაირი რესურსი არ გაგვაჩნია და რა შედეგს სთხოვენ უცხოელ მწვრთნელებს? ან რა თანხას უხდიან? ესეც ჩვენი საზოგადოების ბრალია - მსგავსი ინფორმაცია არ უნდა იმალებოდეს. არადა, ხომ უნდა ვიცოდეთ, რაში ვიხდით დიდძალ თანხას? მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას ვთხოვთ, შემდეგი ციკლისთვის გუნდის გაძლიერებას თუ რას? საერთოდ, ფედერაცია პასუხისმგებელია ხალხის წინაშე, მწვრთნელი კი ფედერაციის წინაშე. ახლა ისე გამოდის, რომ მწვრთნელს პასუხისმგებლობა არც ხალხის წინაშე აქვს და არც ფედერაციის.

» 4

ერთი კვირის ათასი წვრილმანი



2007 წლის 17 მაისი...

# მოჭიქული თაფლის კვერი

## ანუ რა დროს რომანსეროა?

**მაშ, არ მოგწონთ საქართველოს ნაკრები, არა?! ეს კიდევ რა არის, მალე ესეც არ გექნებათ! როცა ჯერ კიდევ 90-იან წლებში ამას გაიძახოდა ქართულ ფეხბურთზე დაფიქრებული ხალხი, ყურს არავინ უგდებდა. ახლა კი ყველაზე მოდური და იქნებ, აქტუალური სლოგანი ასეთია - დაინიშნოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ახალი, თავისუფალი არჩევნები!**

**ამ განზრახვაში არაფერია ახალი და ცუდი, ოღონდაც, რაში გამოადგება ეს ფეხბურთს? მხოლოდ იმაში, ფედერაცის ახალ პრეზიდენტსა და მის გუნდს ვინმემ რომ არ წამოაძახოს - ხელისუფლების დანიშნულები ხართო? ისე, როგორ უნდა ჩატარდეს არჩევნები დამოუკიდებლად, როცა ეროვნული ჩემპიონატის არც თუ ცოტა გუნდს ხელისუფლების დახმარებით უდგას სული?**

**და მაინც, არჩევნები უნდა ჩატარდესო, თუნდაც იმიტომ, რომ ქართულ ფეხბურთს ახალი მმართველები სჭირდება. დავუშვათ, რომ ეს სწორი მიმართულებაა, მაგრამ არჩევნებისას მოქმედების ისეთი ფორმები გაჩნდება, რომ ვინძლო შეჩვეული ჭირი მოგვანატროს. მაგრამ, მაინც არჩევნები, რადგან რაღაც უნდა შეიცვალოს - სიზუსტე აკლია ამ ყველაფერს, თუმცა ახალ არჩევნებს იმედისმომცემი ძალა აქვს, იმედი კი ახლა ძვირად სანახავია.**

**წარმოიდგინეთ ახალი არჩევნები - ქვეყნის პირველი პირისთვის სულერთია, ვინ გახდება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მაინც გამოუშვებს ქვეყნის ბიუჯეტიდან რაღაც თანხას ფედერაცისთვის და თან უარს იტყვის ტოტალურ კონტროლზე - ეს იქნება იდეალური ვარიანტი ფედერაციის პრეზიდენტის ვითომდა სამართლიანი არჩევნებისთვის. დიახ, ვითომ არჩევნებისთვის, რამეთუ ფედერაციის პრეზიდენტს, მოგეხსენებათ, ხალხი არ ირჩევს, ეს ძალიან სპეციფიკური არჩევნებია. ტექნოლოგია ახალი, ვითომ არჩევნებისთვის ასეთი იქნება - მეტ ხმას ის მიიღებს, ვისაც მეტი მეგობარი აღმოაჩნდება საფეხბურთო მილეთში და ვინც მეტ ფულს დახარჯავს ხმების უფლების მქონე დელეგატების მოსყიდვაში. არანაირი მნიშვნელობა არ ექნება საზოგადოებროვ აზრს და არც იმას, ვინ უფრო უკეთესი კანდიდატურა იქნება. ძმაკაცობა და ფული - ასე გაირკვევა გამარჯვებული და ფედერაციის ახალი პრეზიდენტიც პასუხისმგებელი იქნება არა საზოგადოების და საფეხბურთო სამყაროს წინაშე, არამედ ძმაკაცებისა და ხმების გამყიდავი დელეგატების წინაშე.**

**ახლა არ დამიწყოთ, საფეხბურთო სამყაროში ბევრი წესიერი კაცია და ისინი მხოლოდ ღირსეულ კანდიდატს მისცემენ ხმასო. სად იყო ეს წესიერი ხალხი 2005 და 2007 წელს გამართული სამარცხვინო არჩევნებისას ან თუნდაც მანამდე? ვისი შეეშინდათ? ქვეყნის პირველი პირის ახირების? ქართულ პოლიტიკასა და ფეხბურთში რომანტიზმის ეპოქა დამთავრდა. თუნდაც იმას დახედეთ, რა გემოვნებით მოქმედებს ექტორ კუპერი ჩვენი ნაკრებისთვის ფეხბურთელების შერჩევისას. ამასწინათ, მიხეილ ყაველაშვილს ჩამოვართვით ინტერვიუ და არა ერთი საყურადღებო რამ მოვისმინეთ, მაგრამ ისიც ასე ამბობდა - „ის ერთი კაცი“, „იმ ერთმა კაცმა“... კი, მაგრამ ძნელია ქვეყნის პრეზიდენტის სახელისა და გვარის წარმოთქმა? ჰოდა, ვიყურყუტებთ ამ ჭაობში...**

**9 აპრილიც მოახლოვდა. წელინადის ყველაზე ჭრელი თვე პოლიტიკურ სარბიელზე კუნთების თამაშს გვპირდება, მთავარი ბრძოლები კი, ალბათ, მერე იქნება. ფეხბურთიც დამოკიდებულია ამ ყველაფერზე, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენნაირ, განვითარებად ქვეყანაში ფეხბურთი სახელმწიფოს დახმარების გარეშე წინ ვერ წავა. აქ უკვე ძმაკაცობა და ფული ველარ გაჭრის, არჩევანიც პატარა როდია - ვის წინწიბურის ფაფა უყვარს, ვის მოჭიქული თაფლის კვერი, ვის კიდევ სულ სხვა რამ...**

**კუპერი კი არ მიდის, რა დროს ჩემოდნების ჩალაგებააო...**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXVI ტურის წინათქმა

**04.04. გორი. თ. გურჯანაძე. 16:10**
**ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი** Live

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი;
ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, ზ. ხუციშვილი;
მეოთხე მსაჯი: ლ. სილაგავა
დისკვალიფიკაცია: გუშარაშვილი (ლოკომოტივი), დ. ლომაია (ვიტ ჯორჯია)

**04.04. ზუგდიდი. ცენტრალური. 16:00**
**მგლები – სპარტაკი**

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი;
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე;
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი
დისკვალიფიკაცია: ჯანგიძე (სპარტაკი)

**05.04. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 16:00**
**ბორჯომი – გაგრა**

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი;
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ.ჯვარიძე;
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი
დისკვალიფიკაცია: გაბუნია (გაგრა) ი. კიკნაძე (ბორჯომი)

**05.04. თბილისი. ეროვნული. 16:10**
**დინამო – ოლიმპი** Live

არბიტრი: გ. ვადაჭკორია;
ასისტენტები: ი. უკლება, ს. სპიცინი;
მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი
დისკვალიფიკაცია: კრშკო (დინამო)

**05.04. ბოლნისი. თ. სტეფანია. 16:00**
**სიონი – მესხეთი**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია;
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ლ.თოდრია;
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე
დისკვალიფიკაცია: არავინ

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 23 | 14 | 8 | 1 | 37-12 | 50 |
| 2. დინამო | 23 | 15 | 4 | 4 | 48-17 | 49 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 13 | 4 | 6 | 29-15 | 43 |
| 4. ოლიმპი | 22 | 11 | 9 | 2 | 25-11 | 42 |
| 5. სიონი | 23 | 8 | 9 | 6 | 24-20 | 33 |
| 6. ლოკომოტივი | 22 | 8 | 5 | 9 | 24-21 | 29 |
| 7. მგლები | 23 | 7 | 5 | 11 | 26-29 | 26 |
| 8. მესხეთი | 23 | 5 | 8 | 10 | 15-29 | 23 |
| 9. გაგრა | 23 | 4 | 6 | 13 | 16-37 | 18 |
| 10. სპარტაკი | 22 | 3 | 6 | 13 | 20-37 | 15 |
| 11. ბორჯომი | 23 | 2 | 6 | 15 | 17-53 | 12 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 11 | 9 | 2 | 0 | 32-9 | 29 |
| 2. ზესტაფონი | 11 | 8 | 0 | 3 | 18-6 | 24 |
| 3. ოლიმპი | 11 | 6 | 5 | 0 | 13-2 | 23 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 4 | 1 | 18-7 | 22 |
| 5. მგლები | 12 | 6 | 1 | 5 | 17-9 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 12 | 5 | 2 | 5 | 12-8 | 17 |
| 7. გაგრა | 12 | 4 | 4 | 4 | 13-15 | 16 |
| 8. სიონი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-10 | 14 |
| 9. მესხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-11 | 13 |
| 10. სპარტაკი | 11 | 1 | 4 | 6 | 10-18 | 7 |
| 11. ბორჯომი | 12 | 1 | 4 | 7 | 9-22 | 7 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 4 | 0 | 19-5 | 28 |
| 2. დინამო | 12 | 6 | 2 | 4 | 16-8 | 20 |
| 3. ოლიმპი | 11 | 5 | 4 | 2 | 12-9 | 19 |
| 4. სიონი | 12 | 5 | 4 | 3 | 12-10 | 19 |
| 5. ზესტაფონი | 12 | 5 | 4 | 3 | 11-9 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 7. მესხეთი | 12 | 2 | 4 | 6 | 5-18 | 10 |
| 8. სპარტაკი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-19 | 8 |
| 9. მგლები | 11 | 1 | 4 | 6 | 9-20 | 7 |
| 10. ბორჯომი | 11 | 1 | 2 | 8 | 8-31 | 5 |
| 11. გაგრა | 11 | 0 | 2 | 9 | 3-22 | 2 |



**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| თოდუა (მგლები) | 10 |

# სანაკრებო აჩრდილი და მწარე რეალობა

სანაკრებო პაუზით გამოწვეული ორკვირიანი შესვენება დასრულდა - ამის მერე, მაისის ბოლომდე ეროვნული ჩემპიონატით უნდა „დავტკბეთ". ამ „ტკბობაში" სატურნირო ინტრიგას (ცხრილის თავშიც და ბოლოშიც) ვგულისხმობთ, თორემ საფეხბურთო დონეს, ცარიელ სტადიონებსა თუ ინფრასტრუქტურაზე ალარც გვინდა საუბარი. ჰო, სამწუხაროდ ეგრეა - დაძაბულობა თუ ინტრიგა ყოველთვის როდი ნიშნავს ხარისხს; რალა შორს მივდივართ: კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან ჩატარებულმა სანაკრებო მატჩებმა კიდევ ერთხელ დაგვაყენა მწარე რეალობის წინაშე (იმავეს ვიტყოდით საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზეც); ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ თანამედროვე ფეხბურთს ძალიან ჩამოვრჩით და როცა ფეხბურთელს ახლო თუ საშუალო მანძილზე ელემენტარული პასის გაკეთება არ შეუძლია, მნიშვნელობა აღარ აქვს, ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ეყოლება, თუ - ქართველი; აბა, სად გაგიგიათ, რომ ნაკრების მწვრთნელი ასწავლიდეს ფეხბურთელს ისეთ ელემენტარულ „რალაცეებს", როგორიც ზუსტი პასის მიცემაა; ანდა, კუთხურისა თუ ნებისმიერი სტანდარტულის ისე შესრულებას, რომ ბურთმა... მეტოქის საჯარიმოში თუ არა, სიახლოვეს მაინც „იტრიალოს"? ალარაფერს ვამბობთ უბურთოდ ან „ერთი შეხებით" თამაშზე, რგოლებს შორის მანძილის შემცირებასა თუ თავისუფალი სივრცეების ათვისებაზე - ასეთ „რთულ" საკითხებზე, ალბათ, რამდენიმე წლის მერე მოგვიწევს მსჯელობა...

...ბოლოს და ბოლოს, ყველამ დავინახეთ, რომ თუ ეროვნული ჩემპიონატის დონე არ ამაღლდა, სანაკრებო დონეზე ლოკალურ წარმატებებზეც არ უნდა ვიფიქროთ. წავიდა ის დრო, საქართველოს ნაკრებში ჩვენი ჩემპიონატიდან ერთი-ორი ფეხბურთელი თუ გამოერეოდა; ახლა საქმე საპირისპიროდ არის - კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან მატჩებისთვის საქართველოს ნაკრებში ეროვნული ჩემპიონატიდან 13(!) ფეხბურთელი იყო გამოძახებული! რა თქმა უნდა, აქ მოასპარეზე თითოეული ფეხბურთელისათვის ამაზე მეტი სტიმული რა უნდა იყოს; მაგრამ, აქ მოთამაშე ნებისმიერ ნიჭიერ ფეხბურთელს ზრდისა და განვითარებისთვის შესაფერისი პირობებიც უნდა გააჩნდეს; თორემ, ჩვენ ოღროჩოღრო და მართკუთხა ფორმის მიწის ნაკვეთზე მიჩვეულები, მერე, უცხოეთში, უკვე ნამდვილ (!) მოედნებზე რომ გამოდიან სათამაშოდ, გაკვირვება და დაბნეულობა ერთმანეთს ცვლის...

აი, ასეთი პესიმისტური განწყობა დაგვიტოვა სანაკრებო თამაშებმა; არადა, ჩვენს ჩემპიონატში გადამწყვეტი ბრძოლები ახლა იწყება. ეგ კი არა, XXVI და XXVII ტურში ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ უნდა გაირკვეს...

## სხვადასხვა მოტივაცია

ტრადიციისამებრ, ეს ტურიც ორ დღედ არის გაყოფილი და ორივე დღეს თითო საინტერესო დაპირისპირება გველოდება. „ვიტ ჯორჯია"-„ლოკომოტივიც" უდიდეს ინტერესს იწვევს და „დინამო"-„ოლიმპიც". აქედან გამომდინარე, ნამდვილად უპრიანი იქნებოდა, რომ ამ ორივე წყვილზე ცალ-ცალკე გვესაუბრა. რა ბევრი მტკიცება ამას უნდა: ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება და ლიდერების ნებისმიერი მატჩი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ეს ტური სხვა გუნდებისთვისაც - „მესხეთი", „გაგრა" და „სპარტაკი" ხომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვიან.

აქედან ერთ-ერთი დღეს თამაშობს და მეტად რთული მატჩიც ელოდება: წინა თვის მთავარი „ამფორიაქებელი", „სპარტაკი" ზუგდიდში სტუმრობს. შეგახსენებთ, რომ სერგო გაბელაიას გუნდმა ჩემპიონობის ორივე ფავორიტთან („ვიტ ჯორჯია", „დინამო") ფრედ ითამაშა და, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, კვლავაც შეეცდება წაუგებლად ასპარეზობას. თუმცა ვერავინ იტყვის, რომ შედარებით უმოტივაციო მასპინძლები „სპარტაკს" უბრძოლველად დანებდებიან - **ბესიკ შეროზიას**, მართლაც, სიმპათიურმა გუნდმა ამ სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით (0:4) სწორედ დღევანდელ მეტოქესთან წააგო (მეორე წრის შეხვედრაში). სხვათა შორის, 9 მაისამდე „სპარტაკს" მეტ-ნაკლებად კარგი კალენდარი აქვს და ჯერ კიდევ „გუშინ" რომ უიმედო აუტსაიდერად მივიჩნევდით, ახლა საქმე აშკარად უკეთესობისკენ არის. ჰო, „სპარტაკს" უმძიმესი მატჩი ელოდება, აი, უშუალო კონკურენტი „გაგრა" კი, ალბათ, მეორე ეტაპზე პირველ გამარჯვებას იზეიმებს! ჰო, მალე ოთხი თვე გახდება, „გაგრამ" უკანასკნელად რომ გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ მეტოქედ მაშინაც... „ბორჯომი" ჰყავდა, ოღონდ 13 დეკემბრის მერე ორივე გუნდში უამრავი რამ (თუ - ვინ) შეიცვალა. „ბორჯომზე" ბევრი საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ - იმაზეც მადლობა უნდა გადავუხადოთ კლუბის ხელმძღვანელებს, გუნდს ჩემპიონატი რომ არ მიატოვებინეს. ჰო, შიშველ ენთუზიაზმზე მოთამაშე გუნდი ამ სეზონს როგორმე კი ჩაამთავრებს და პირველი ლიგის „საგზურსაც" ოფიციალურად მალე გაიფორმებს, მაგრამ, მერე რა იქნება - არავინ იცის. აი, „გაგრაში" საპირისპირო სურათია: წინა ტურში ახალი მწვრთნელის (**ვიქტორ კაშჩეი**) დებიუტიც შედგა და კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელიც (**ლაშა ნოზაძე**) დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს. საკუთარი მოსაზრებაა და შესაძლოა, „გაგრას" ხელმძღვანელები არც დაეთანხმონ, მაგრამ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა სეზონის დასაწყისშივე რომ დაემატებინათ ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელი; ბოლოს და ბოლოს, ამ გუნდში მოასპარეზე არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა (**გაბედავა, შარიქაძე, ცხადაია, ჩარგეიშვილი**) მათ გვერდით უფრო მეტს შეიძენდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „გაგრას" ჭაბუკ ფეხბურთელებს სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ფსიქოლოგიური წნეხი მაინც შეუმსუბუქდებოდათ.

„სიონი"-„მესხეთზე" კი რა უნდა ვთქვათ: **ოთარ კორღალიძის** გუნდმა, სეზონი, ფაქტობრივად დაასრულა: პირველ სამეულსაც გვარიანად ჩამორჩება და გავარდნის საფრთხეც არ ემუქრება. არადა, დღესაც დარწმუნებული ვართ, რომ ამ შემადგენლობით „სიონს" ბევრად მეტის მიღწევა შეეძლო; რაც შეეხება „მესხეთს", სამწუხაროდ, **კობა თედიაშვილის** გუნდის პრობლემებს ბოლო არ უჩანს. ამასთან, „მესხეთი" ვერც კალენდრით დაიკვეხნის და კლუბის ფინანსური მდგომარეობა თუ არ გაუმჯობესდა, მეტად უარყოფითი შედეგიც არავის უნდა გაუკვირდეს...



2008 წლის 1 ოქტომბერი. დინამო-ოლიმპი 2:1

## დედმამიშვილობა

ერთპიროვნული ლიდერისათვის, შესაძლოა, ჩემპიონატი... აპრილში დამთავრდეს! გადახედეთ კალენდარს და ადვილად მიხვდებით, თუ რა ძნელი გამოცდა ელოდება **რამაზ მუმლაძის** გუნდს: „ვიტ ჯორჯია" დღეს „ლოკომოტივს" შეხვდება, მომდევნო ორ ტურში კი „ოლიმპთან" და „ზესტაფონთან" მოუწევს დაპირისპირება (დავუმატოთ ამას იმავე „ოლიმპთან" ნახევარფინალური შეხვედრები). მოკლედ, „ვეტერინარებს" უმძიმესი მატჩები ელოდებათ; თანაც, ახლა მთავარია, რომ გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს უკვე დავიწყებული ჰქონდეთ ზედიზედ ორი „დაუგეგმავი" ფრე აუტსაიდერებთან. ერთი შეხედვით, „ვეტერინართა" დღევანდელ მეტოქეს სატურნირო მოტივაცია არ უნდა ამოძრავებდეს; „სიონის" მსგავსად ჩემპიონატში „ლოკომოტივსაც" ალარაფერი უნდა „აინტერესებდეს"; სამაგიეროდ, **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** მკვეთრად გაახალგაზრდავებულ გუნდს მთელი ყურადღება, ალბათ, თასისკენ ექნება მიპყრობილი. ანუ, ამ მხრივ „ლოკომოტივი" დღევანდელ მეტოქესთან შედარებით ბევრად უკეთეს სიტუაციაშია, რამეთუ მხოლოდ „ერთ ფრონტზე" წარმატებისთვის იფიქრებს. აი, „ვიტ ჯორჯიას" კი, თავისი არცთუ გრძელი „სათადარიგოთა სკამით" ძალების განაწილება ჩემპიონატსა და თასზეც მოუწევს. ჰო, რამაზ მუმლაძის გუნდმა ზედიზედ ორჯერ წაიფორხილა, მაგრამ ორივეჯერ შეინარჩუნა ლიდერობა (თუმცა აქ უკვე კონკურენტმა „იყოჩალა"); ასე რომ, დღეს მაქსიმალური მობილიზებით უნდა გამოვიდეს მოედანზე; მით უფრო, რომ ერთობ უხერხული მეტოქე ჰყავს: საქართველოს ჩემპიონატებში „ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ მინიმალური უპირატესობა აქვს „ლოკომოტივთან" - 12 გამარჯვება, 8 ფრე და 11 წაგება. ამას გარდა, ამ სეზონში „ვეტერინარებმა" მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს და ისიც - „ლოკომოტივთან"! თუმცა, მაშინ „ლოკომოტივი" ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი იყო და გუნდშიც ჯერ კიდევ თამაშობდნენ ის დამსახურებული ვეტერანები, საიუბილეო, XX ჩემპიონატს რომ ამშვენებდნენ (**ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია**). ჰო, ის მატჩი „ლოკომოტივმა" ალექსიძის „დუბლით" მოიგო (2:1); მეორე წრეში კი „ვიტ ჯორჯიამ" აიღო რევანში, როცა **ლუკა რაზმაძის** პენალტით მოიგო და აი, მესამე დაპირისპირებაც. ამ შეხვედრის კიდევ ერთი ინტრიგა მეტოქე გუნდებში მოასპარეზე... ძმების დაპირისპირება უნდა ყოფილიყო: **გიორგი ლომაია** „ლოკომოტივის" კაპიტანია, **დავითი** კი - „ვიტ ჯორჯიას" დაცვის ბურჯი. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ამ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს...

## უცოდველო დინამო

„დინამო"-„ოლიმპი" ამ ტურის უდავოდ, გამორჩეული დაპირისპირება უნდა იყოს. ჯერ სატურნირო მნიშვნელობა ვახსენოთ: „დინამო" ჩემპიონობისათვის იბრძვის და ახლა უკვე ყველა თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, „ვიტ ჯორჯიას" მსგავსად, ზედიზედ ორი ფრე, რაც შეიძლება, მალე უნდა დაივიწყონ გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებმა და ერთობ სერიოზულ მეტოქესთან საპაექროდ მაქსიმალური მობილიზებით უნდა გავიდნენ. არანაკლებ უმნიშვნელო უნდა იყოს მწვრთნელის ფაქტორიც - „დინამოს" დღეს ახალი თავკაცი, **კახა კაჭარავა** წარუძღვება. თუმცა, კაჭარავას „დებიუტანტ" მწვრთნელს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ - მეოთხე წელიწადია უკვე „დინამოშია", თანაც იმავე **უპრინისა** თუ **ცობელის** თანაშემწეობის გარდა, რამდენიმე მატჩში დამოუკიდებლადაც გამოუყვანია გუნდი. მოკლედ: თანამდებობაც და გარემოც, უცხო ნამდვილად არ არის, სამაგიეროდ პასუხისმგებლობაა მეტად დიდი, თანაც ასეთ გადამწყვეტ ეტაპზე. სხვათა შორის, ხვალინდელ მატჩს მეტოქეები არათანაბარ პირობებში ხვდებიან: „დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი (**მერებაშვილი, ხმალაძე, გურამ კაშია, ოვონო, თომაშვილი**) ამ ორი კვირის განმავლობაში გუნდთან ერთად არ იმყოფებოდა. ალარაფერს ვამბობთ **მათე ვაწაძის** ტრავმაზე - აი, ვინ დააკლდება ყველაზე ძალიან „დინამოს" ხვალინდელ მატჩში...

რაც შეეხება „ოლიმპს", **ვარლამ კილასონიას** თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს და ბიჭები არც სანაკრებო თამაშებისგან იქნებიან „გადაღლილ-გადატვირთული". ერთადერთი, რაც შეიძლება, უარყოფით მხარედ მივიჩნიოთ, ის არის, რომ „ოლიმპს" საკმაოდ დიდი პაუზა გამოუვიდა - გუნდს 15 მარტის მერე ოფიციალური შეხვედრა არ ჩაუტარებია. თუმცა რუსთაველები ამ ფაქტს, ალბათ, დიდ ყურადღებას არ ანიჭებენ და მეტოქის სიძლიერის მიუხედავად, კვლავაც აპირებენ შთამბეჭდავი წაუგებელი სერიის გაგრძელებას, რომელიც უკვე... 19 მატჩს ითვლის! თანაც, „ოლიმპის" მწვრთნელ-ფეხბურთელები, ალბათ, ყველაფერს ილონებენ, რომ კვლავაც გაიმეორონ მეორე წრის შედეგი; შეგახსენებთ, რომ 13 დეკემბერს, რუსთავში, „ოლიმპმა" პირწმინდად აჯობა მრისხანე მეტოქეს და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა კიდეც. კი, „დინამოს" ორი წამყვანი ფორვარდი (მერებაშვილი, ვაწაძე) აკლდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო გასამართლებელი საბუთი - სტუმრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ალმაფრენით მოასპარეზე მასპინძლებს. „ოლიმპის" უპირატესობა იმ მატჩში იმდენად აშკარა იყო, რომ ფრე... დიდი უსამართლობა იქნებოდა! ამ გამარჯვებით „ოლიმპმა" პირველ წრეში ბოლო წუთებზე წაგებული მატჩის გამოც რევანშით აიღო და უფრო მთავარიც მოხდა: საქართველოს ჩემპიონატების ცხრამეტწლიან ისტორიაში „დინამო" პირველად დამარცხდა რუსთავში!

დაბოლოს: პირველ წრეში „დინამომ" შეცვლაზე შემოსული **დონალ ჯუისის** გოლით რომ მოუგო „ოლიმპს", „ტურის მწვრთნელად" მოქმედი ჩემპიონის მაშინდელი დამრიგებელი რაინერ ცობელი ვალიარეთ; მეორე წრეში „ოლიმპის" დამაჯერებელ რევანშს კი, რუსთაველი გუნდის თავკაცის, ვარლამ კილასონიას სამართლიანი აღიარებაც მოჰყვა. მოკლედ, ხვალინდელი შეხვედრა, სატურნიროს გარდა, ორივე მწვრთნელს დამატებით მოტივაციას ჰმატებს...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მატჩი

დინამო vs ოლიმპი



გიორგი ნერგაძე

**სანაკრებო პაუზა დასრულდა და ამ უქმეებზე ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. უახლოეს ტურში საინტერესო მატჩებია, ცენტრალური დაპირისპირება კი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. თბილისის „დინამო“ რუსთავის „ოლიმპს“ უმასპინძლებს. საინტერესოა, რა ხდება მეტოქეთა ბანაკებში. რესპონდენტებად დინამოელი გიორგი ნერგაძე და ოლიმპელი გია მეგრელაძე შევარჩიეთ...**



გიორგი მეგრელაძე

# უკან დასახევი გზა მოჭრილია

## გიორგი ნერგაძე: პირველი გოლი თუ გავიტანეთ, არ გავჩერდებით

- ჩემი აზრით, სანაკრებო პაუზა მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ვარჯიშების გარდა, ერთი ამხანაგური მატჩიც გავმართეთ და „გაგრას“ 4:1 მოვუგეთ. შედეგმა არ მოგატყუოთ, არ იყო იოლი მატჩი... ასეა თუ ისე, რუსთაველებთან სათამაშოდ კარგად ვართ მომზადებულები.

**- ცობელის წასვლის შემდეგ გუნდს კახა კაჭარავა თავკაცობს. მასთან შეგუება არ გაგიჭირდებოდათ...**

- არა, კახა კაჭარავა უკვე წლებია, „დინამოში“ მუშაობს და არავისთვისაა უცხო. სხვათა შორის, ჩინებულად გვამზადებს და მჯერა, მისი თავკაცობით კარგი შედეგები გვექნება.

**- ამ თამაშს დანაკლისით ხვდებით. ძნელი იქნება ამ ბზარის ამოვსება?**

- სამწუხაროდ, ტრავმირებულები არიან მილოშ კრშკო, მათე ვაწაძე და ნიკა ფირცხალავა. სერიოზული დანაკლისია, მაგრამ „დინამოს“ საკმარისად ჰყავს რეზერვი საიმისოდ, რათა ეს ბზარები ამოვავსოთ და დანაკლისი არ შევიმჩნიოთ.

**- ჩვენი ინფორმაციით, დაცვაში კრშკოს შეცვლით. „გაგრასთან“ საკონტროლო მატჩში ხომ ცენტრალური მცველი იყავით...**

- ასე იყო და ამ პოზიციაზე ადრეც ვთამაშობდი, როცა კრშკო ან გურამ კაშია გვაკლდა. რაც შეეხება „ოლიმპთან“ მატჩს, თუ სად ვითამაშებ, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს.

**- მეტოქეს კარგად იცნობთ...**

- „ოლიმპი“ ჩინებული გუნდია. იქ არა ერთი ჩემი მეგობარი თამაშობს, მაგრამ პროფესიონალები ვართ და 90 წუთის განმავლობაში მეტოქეები ვიქნებით, მეგობრობა კი მერე, მატჩის შემდეგ გაგრძელდება... რუსთაველებს ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდი ჰყავთ, თან ახლა კარგ ფორმაშიც არიან. „ოლიმპს“ ხანგრძლივი წაუგებელი სერია აქვს და ბუნებრივია, მის გაგრძელებას ეცდება. თუმცა ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, „დინამოს“ თავისი ამოცანა აქვს - 3 ქულა გვინდა და ამისთვის ვიბრძოლებთ. რთული თამაში გველის, თავში მხოლოდ გამარჯვება გვიტრიალებს... წინა ორ ტურში დასანანი ქულები დავკარგეთ და ახლა, რომ იტყვიან, უკან დასახევი გზა მოჭრილია.

**- როგორ ფიქრობთ, რა იქნება ამ მატჩში გამარჯვებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი?**

- დაახლოებით 90-95 პროცენტი მონდომებასა და მომზადების დონეზეა დამოკიდებული, დანარჩენი კი იღბალია...

**- ფავორიტი?**

- ძნელი სათქმელია. იმ 90-95 პროცენტშია ყველაფერი - ვინც მეტად მოინდომებს, ვინც უკეთ იქნება მომზადებული, ის გაიმარჯვებს, იღბალზეც გითხარით უკვე. სხვას ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება.

**- როგორ ფიქრობთ, უხვგოლიანი თამაში იქნება?**

- პირველი გოლი თუ გავიტანეთ, არ გავჩერდებით. ჩემი აზრით, მეტოქეც ამას გეგმავს. საერთოდ კი, ამ ტიპის შეხვედრები იშვიათადაა გახსნილი და ვნახოთ, კვირას როგორ იქნება.

## გია მეგრელაძე: წაუგებელი სერია უნდა გაგრძელდეს!

- ჩემპიონატში საკმაოდ დიდი პაუზა იყო და უქმად ხომ არ ვიქნებოდით? მოვემზადეთ და ძალებიც აღვიდგინეთ. ასე რომ, „დინამოსთან“ სრული მობილიზებითა და შემართებით გავალთ სათამაშოდ, მოედნის ყველა მონაკვეთზე ვიბრძოლებთ. მით უმეტეს, ეროვნულ სტადიონზე მოედნის საფარიც კარგია და თამაშის საშუალებაც გვექნება.

**- პრინციპულ შეხვედრაში ვინმე ხომ არ დაგაკლდებათ?**

- არა, საბრძოლო შემადგენლობით ვიქნებით. რა თქმა უნდა, მეტოქესაც მოგება სწადია, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ „დინამო“ მასპინძელია და შინ არაფერს დათმობს. ჩვენ კი გრძელი წაუგებელი სერია გვაქვს და ძალიან არ გვინდა, რომ შევწყვიტოთ. უნდა გაგრძელდეს!

**- „დინამოს“ როგორ დაახასიათებდით?**

- ამ გუნდს გერმანელი მწვრთნელი აღარ ჰყავს, მაგრამ ეს დიდად არაფერს ცვლის. ვიცი, რომ დინამოელები უკეთ წარმოჩნდებიან, მით უმეტეს, წინა ორ ტურში ქულები დაკარგეს და ახლა თავს მოიკლავენ... მეტოქე ყველა რგოლში კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული - მოძრავი, მებრძოლი გუნდია, ახალგაზრდა მოთამაშეებიც ჰყავს და გამოცდილებიც... ტაქტიკის მარაგიც აქვს... ერთი სიტყვით, „დინამოს“ მხარეს ბევრი პლუსია, თუმცა ჩვენთვის ეს ბევრს არაფერს ცვლის. ყველა ვარიანტში, მაქსიმალურად ვეცდებით, „დინამოს“ მინუსები მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**- ბევრი გოლია მოსალოდნელი?**

- თუ დააკვირდებით, ასეთ მატჩებში ბევრი გოლი არ გადის. ჰოდა, არ მგონია, კვირას გამონაკლისი იყოს. დაძაბული და საინტერესო თამაში კი ნამდვილად იქნება. პირველი გოლი ყველაფერს თუ არა, ძალიან ბევრს გადაწყვეტს.

**- და შანსები?**

- „დინამოსაც“ სათანადოდ ვაფასებ და ჩვენი გუნდის რეალური ძალაც ვიცი... მაინცდამაინც შანსები გაინტერესებთ? რა გითხრათ... ვფიქრობ, 60 პროცენტი ჩვენია, დანარჩენი კი მეტოქისთვის დამითმია...

**დავით ცაბაძე**

---

# ფედერაციის პრეზიდენტი ხელისუფლების დანიშნული არ არის...

2 «

**- საინტერესოა, ამ არაფორმალურ შეხვედრებზე ვინ უჭერს მხარს კუპერის პოლიტიკას საქართველოს ნაკრებში?**

- გვარების ჩამოთვლას არ დავიწყებ, პირადი საუბრების პრესაში გადატანა არასწორად მიმაჩნია.

**- გულშემატკივარი თითქოს შეეგუა ქართული ფეხბურთის წარუმატებლობებს, მაგრამ ეროვნული ნაკრების ხელმოცარვას ქომაგი განსაკუთრებულად განიცდის. როგორ ფიქრობთ, გულშემატკივრის მოთმინების ფიალა არ აივსება?**

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

**- მკვეთრად და ცალსახად უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ფეხბურთის ფედერაციისა და კუპერის საქმიანობაზე. სტადიონზე აგრესიაც არ არის გამორიცხული. რა თქმა უნდა, ყოველგვარი აგრესია დასაგმობია, მაგრამ ფედერაციამ, ალბათ, უნდა იზრუნოს ამის პრევენციაზეც...**

- თუ ვინმე ბოთლის ან სხვა ნივთების სროლას დაიწყებს, ის უბრალოდ ხულიგანია და მას გულშემატკივარს ვერ ვუწოდებ. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, ვფიქრობ, ის ქრელია. მწვრთნელით ბევრია უკმაყოფილო, მაგრამ უფრო ის გვესმის, რომ ახლა საქართველოს ნაკრებში მაღალი კლასის ფეხბურთელების დეფიციტია.

**- როგორც უნდა იყოს, ფედერაციის საქმიანობის შეფასებისას მთავარი კრიტერიუმი ეროვნული ნაკრების შედეგებია...**

- ფედერაციის საქმიანობა მხოლოდ ნაკრების შედეგებით არ უნდა შეფასდეს. ინგლისის ნაკრები ვერ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაგრამ ამის გამო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის სრული შემადგენლობით გადადგომა არ მოუთხოვიათ.

**- ინგლისში საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტს ხელისუფლება არ ნიშნავს...**

- ამაზე ზემოთ უკვე გაგეცით პასუხი...

**დავით თავართქილაძე**

# ეს ფედერაცია უნდა ვამხილოთ!

2 «

ამ დროს კი მის ხელფასში სერიოზული თანხა იხარჯება, მაშინ, როცა ყოველ გაჩერებაზე გაჭირვებული კაცი ზის და ლუკმა-პურს ითხოვს. შედეგი არ ჰქონდა ტოპმიოლერს და კუპერიც წარუმატებლად მუშაობს. გამოდის, რომ ფული წყალში გადაიყარა. ახლა ესეც ვიკითხოთ - ამ ორმა მწვრთნელმა რომ არ გაამართლა, ვინ იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას პროექტის ჩავარდნისთვის? ჯერჯერობით, ისე ჩანს, რომ ფედერაცია ანგარიშს არავის უწევს, პასუხისმგებლობას არ გრძნობს და - მე ვარ და ჩემი ნაბადიო, გვეუბნება.

**- ფედერაცია იქით იყოს და, დღევანდელი თაობით უკეთესი გუნდის ჩამოყალიბებას შესაძლებლად მიიჩნევთ?**

- ჩემდა სამწუხაროდ, დღევანდელი თაობის შესაძლებლობებს ვერ ვხედავ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ უცხოელებისთვის გადახდილი ფული წყალშია ჩაყრილი. თაობა ვერც წამოვა, რადგან მათ კი არ ვზრდით, არამედ ველოდებით, როდის გამოჩნდებიან ახალი ხურცილავები, ყიფიანები, ჩივაძეები, გუცაევები... 1981 წლის თაობა ხუთოსანთა გუნდი იყო, ჩვენ ოთხოსნები გამოვდექით, ჯგუფიდან ვერ გავედით, ევროპასა და მსოფლიოზე ვერ ვითამაშეთ... ერთხელ დავიკავეთ მესამე ადგილი... ჩვენს შემდეგ უკვე სამოსნები წამოვიდნენ, სამი-ოთხი ნორმალური ფეხბურთელი თუ თამაშობს. ამ გუნდს ფერგიუსონი და კაპელოც ვერ უშველიან. ბევრი ამბობს - ჩვენი მოთამაშეები ფეხებს უფრთხილდებიანო. გაიხსენეთ, ჩემს თაობასაც იმავეს აბრალებდნენ. დამიჯერეთ, დიდი სისულელეა! რაც შეგვეძლო, ვთამაშობდით. ერთი ანეკდოტია - ცხენი კაცს ეუბნება, ჩემზე დადე ფსონი და აუცილებლად გავიმარჯვებო, ამ დროს კი ფინიშთან ბოლო მივიდა. კაცი გაგიჟდა, რატომ მომატყუეო? ცხენმა უპასუხა - რაც შემეძლო, ვირბინეო. ჩვენი ბიჭებიც ასე არიან, რაც შეუძლიათ, დარბიან და მეტს ვერ მოვთხოვთ. რა გახდა ამისთანა, ფეხბურთი რომ ვერა და ვერ განვავითარეთ? მესმის, რომ საამისოდ დიდძალი ფულია საჭირო, არადა, უფულოდ წარმატება არ მოდის. კარგი, ფული არ არის, სუფთა გულით არ შეიძლება საქმის კეთება? როგორ არ შეიძლება, მაგრამ ეს სუფთა გულიც რომ არ არის?

**მერაბ მამულაშვილი**

---

მესხეთი

# თუ თამაშის გაყიდვა შემოგთავაზეს, ესე იგი ადრე უკვე გაგიყიდია...

## ხელფასის დღე. ორკვირიანი შესვენების შემდეგ გუნდი თამაშის წინა დღეს შეიკრიბება

ახალციხის „მესხეთის“ ამბავს შეგახსენებთ - შუასასეზონო პერიოდში გუნდი უპატრონოდ და უფულოდ დარჩა, შესაბამისად, მოსამზადებელი ეტაპი გაუცდა, უსახსრობის გამო გუნდი ვერ შეიკრიბა...

სეზონის განახლების წინ კლუბს ახალი პრეზიდენტი დაუნიშნეს და გაჩნდა დაპირებაც, „მესხეთს“ ხელფასიც ექნება და პრემიაც, ხოლო თუ უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, ფეხბურთელებს ჯამაგირი გაეზრდებათო. „მესხეთიც“ შეიკრიბა, დაიწყო ვარჯიში და თამაში, მაგრამ შეპირებული თანხა არ ჩანდა. ფეხბურთელები ერთხელაც აბუნტდნენ და, რა თქმა უნდა, სამართლიანადაც. ამის მერე პროფესიული ფეხბურთის ლიგაც ჩაერია კონფლიქტში და ფაქტობრივად მედიატორის როლი შეასრულა - დაუკავშირდა იქაურ ხელისუფლებას და გამგებლისგან მიიღო დაპირება, რომ „მესხეთისთვის“ ფული გაჩნდებოდა.

ყოველივე ეს სანაკრებო პაუზის წინ მოხდა, ეროვნული ჩემპიონატი კი დღეს განახლდება და ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ვითარებაა „მესხეთში“. ჩვენს კითხვებს გუნდის მთავარი მწვრთნელი კობა თედიაშვილი პასუხობს...

**- კლუბის ანგარიშზე უკვე გაჩნდა თანხა?**

- დიახ და ხვალ (ანუ დღეს - ავტ) უკვე დარიგდება ხელფასები და ამით ორი თვის დავალიანება გასტუმრებული იქნება, მხოლოდ საპრემიო თანხა დარჩება გადასახდელი.

**- ესე იგი, ამ სეზონში „მესხეთის“ საქმე უკვე გარკვეულია? დაფინანსება პრობლემა აღარ იქნება?**

- ასეა, ყველაფერი გარკვეულია, მომავალ თვეებში გასაცემი თანხაც უკვე ზის „მესხეთის“ ანგარიშზე.

**- და რა იქნება მომდევნო სეზონისთვის?**

- ჯერ ეს სეზონი ჩავამთავროთ და, რა იქნება მომდევნო სეზონში, არ ვიცი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

**- შეიძლება ითქვას, რომ „მესხეთს“ ახლა ყველა პირობა აქვს უმაღლეს ლიგაში დასარჩენი ბრძოლისთვის?**

- ფული გამოჩნდა და ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, თუმცა ბოლო ორი კვირა გუნდს არ უვარჯიშია დავალიანების გამო. კვირას „სიონთან“ გვაქვს თამაში და ორკვირიანი პაუზის შემდეგ შაბათს შევიკრიბებით. რა თქმა უნდა, ერთ დღეში გუნდის მომზადება შეუძლებელია, მაგრამ რაც არის, ეგ არის - გავალთ და ვითამაშებთ.

**„მესხეთიდან“ არავინ წასულა?**

- არა, ყველა ფეხბურთელი ადგილზეა.

**- შეგიძლიათ, შეპირდეთ „მესხეთის“ გულშემატკივრებს, რომ უმაღლესი ლიგიდან არ გავარდებით?**

- ყველამ იცის ჩვენი გუნდის ხასიათი - როცა პრობლემები არ გვაწუხებს, თავდადებით ვთამაშობთ. ვფიქრობ, არ გავვარდებით.

**- უმთავრეს კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

- ასეთი, ჯერჯერობით, „გაგრაა“, თუმცა ბოლო დროს ცხინვალის „სპარტაკიც“ კარგად ათამაშდა, ლიდერებთან 2 ქულა აიღო.

**- რამდენიმე კვირის წინ „მესხეთის“ ერთმა ფეხბურთელმა „ლელოს“ უთხრა, თამაშის გაყიდვა შემოგვთავაზეს და ასეთ რამეზე არ წავედითო. თქვენ თუ იყავით საქმის კურსში, როცა ასეთი „შემოთავაზება“ გაჩნდა?**

- რა თქმა უნდა, არა! რომელმა ფეხბურთელმა გითხრათ ეს? ეს არის დაუფიქრებელი ნათქვამი - თუ თამაშის გაყიდვა შემოგთავაზეს, ესე იგი, ადრე უკვე წასულხარ ასეთ რამეზე და ახლა იმიტომაც გთავაზობენ კიდევ ერთხელ თამაშის გაყიდვა. „მესხეთმა“ ადრეც დაამტკიცა, რომ გარიგებაზე არავისთან არ მიდის. ყველას ასეთი პოზიცია უნდა ჰქონდეს, თორემ ჩაწყობებით რაც დაგვემართა... ამიტომაც ვართ ასეთ დღეში, ნორმალური აღარც ჩემპიონატი შეგვრჩა და აღარც ნაკრები...

**დავით თავართქილაძე**

ექსკლუზიური ინტერვიუ

ოლეგ კონონოვი

# გურული უკრაინის წლის აღმოჩენა გახდება

## ლვოვის კარპატის მწვრთნელის რეკომენდაცია...

ლვოვის „კარპატის" მთავარი მწვრთნელი ოლეგ კონონოვი ამბობს, რომ უკრაინულმა ფეხბურთმა ტალანტი შეიძინა და მის გაცნობას გვირჩევს - ასე არც საქართველო წააგებს და არც თქვენი ეროვნული ნაკრებიო.

მოდით, გავიცნოთ ხელახლა - სანდრო გურული, ლვოვის „კარპატის" ნახევარმცველი, „ლე ავრის" საფეხბურთო სკოლისა და ცნობილი ფრანგული გრანდის, „ლიონის" დუბლებში ნანრთობი. ეს ბიჭი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გოჩა ტყებუჩავას მწვრთნელობისას თამაშობდა. სწორედ მაშინ დაგვამახსოვრა თავი კარგად მორბენალ ფეხბურთელად, რომელიც ზოგჯერ ბურთსაც უსწრებდა. თუმცა რა დასამალია და, გვრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი ფეხბურთი საქართველოში არ ესმოდათ...

უკრაინაში კი კონონოვმა კარგად გაიგო „მისი" ფეხბურთი და ახლა „კარპატის" იმედს უწოდებს. ლვოველთა მთავარი მწვრთნელი ქართველს თავიდანვე ენდობა. მასალისთვის „კარპატის" ოფიციალურ ვებგვერდზე გურულის სურათებს ვეძებდი და ცოდვა გამხელილი სჯობს - ჩვენებური ვერ ვიცანი. მხოლოდ ნომრით ალმოვაჩინე - „კარპატის" 99 ნომერი, ათლეტური აღნაგობის, დაკუნთული ფეხბურთელი... ის არის - ჩვენთვის ნაცნობი სანდრო გურული.

ისე, მართალს კი ამბობდა გიორგი დევდარიანი - საფრანგეთში გაზრდილი ფეხბურთელები თითქოს ერთი კონვეიერიდან არიან, აღნაგობითაც კი ჰგვანან ერთმანეთსო. „ლიონის" სკოლას უკვალოდ არ ჩაუვლია, სანდრო ახლა ჯანმაგარი ბიჭია. უკრაინაში და, კერძოდ, მდიდარ „კარპატიში" ბალერონებს არ წყალობენ. ლვოვურ კლუბში გურული გამთამაშებლად თამაშობს და ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ ითვლება.

ოლეგ კონონოვთან დაკავშირებამ ჩვენთვის თითქმის უცნობი ფეხბურთელი გაგვცანო. ამას გარდა, ერთობ დამაფიქრებელი ამბები მოვისმინეთ...



**- ბატონო ოლეგ, გვაინტერესებს თქვენი მოსაზრება სანდრო გურულზე...**

- სანდრო შარშან გავსინჯე და იმდენად მომეწონა, თავიდანვე ძირითად შემადგენლობაში დავაყენე. ვამჩნევ, ძალიან კარგი საფუძველი აქვს ჩაყრილი. ეს არცაა გასაკვირი - ბავშვობა საფრანგეთში გაატარა, იცის პოზიციური თამაში და თანამედროვე ფეხბურთის არსი, ფიზიკურად ძლიერია და ამიტომაც არ უჭირს უკრაინაში თამაში.

**- გურულს თავდასხმაში იყენებთ თუ მარჯვენა ნახევარმცველად?**

- არა, ის ჩვენთან პლეიმეიკერია, კარგი დრიბლინგი აქვს, სწრაფია და ორივე ფეხს ერთნაირად იყენებს. ვფიქრობ, შეუძლია სერიოზული ფეხბურთელი გახდეს და საქართველოს ნაკრებს დაეხმაროს. საამისოდ მას ყველა მონაცემი აქვს. მართალია, სანდრო „კარპატიში" სულ ერთი წელია ჩაირიცხა, მაგრამ სიმპათია უკვე მოიპოვა - მაყურებელს თავი შეაყვარა. ვფიქრობ, ღირს მისი ნახვა და ამ მხრივ, ქართველების გულგრილობა ძალიან მაოცებს. სხვათა შორის, გურულისთვის დამახასიათებელ ერთ თვისებასაც აღვნიშნავ: ძალიან დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს, რაც ქართველებს არ ახასიათებთ და არც უყვართ. მისი მონდომება ძალიან მაოცებს. ვფიქრობ, გურული არა მხოლოდ კლუბში, არამედ, მთლიანად უკრაინის ჩემპიონატის სეზონის ალმოჩენა გახდება. ამიტომაცაა, მისით რუსეთის წამყვანი კლუბები რომ დაინტერესდნენ - მოსკოვურ კლუბებს ვგულისხმობ. აგენტმა მისი წაყვანა გთხოვა, მაგრამ სანდროს ჩვენთან სამწლიანი კონტრაქტი აქვს და ჯერ მისი გაშვება არ გვსურს. მიხარია, რომ ეს შრომისმოყვარე ბიჭი გუნდში ავიყვანე. ის ისეთი საფეხბურთო ოჯახიდანაა, შეუძლებელია, სხვაგვარი იყოს. და მეორეც - დარწმუნებული ვარ, გურული თქვენს ქვეყანას ასახელებს.

**- ვიცით, რომ „კარპატიში" ორი გაბონელი ისინჯებოდა, მაგრამ ქართულ კლუბებთან მათი მოქმედი კონტრაქტის გამო, უკან გამოგიშვიათ. ვგულისხმობთ ერნესტ აკუასაგასა და ჯორჯ აკირემის.**

- აკირემმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და საკონტროლო შეხვედრებიც ჩაატარა. საკმაოდ კარგი თავდამსხმელია, თუმცა თბილისის „დინამოსთან" მისი მოქმედი კონტრაქტის ამბავი რომ გავიგე, განმარტება ვთხოვე. მან გვითხრა, კლუბთან ურთიერთობას მე მოვაგვარებო და თბილისში წამოვიდა. ველოდით, მაგრამ თბილისის „დინამომ" არ გამოუშვა და აკირემი აღარც შეგვხმიანებია. მე ქართველებთან ვმეგობრობ და „დინამოს" კანონიერ ინტერესებს ვერ დავუპირისპირდებოდი.

**- და აკუასაგას რაც შეეხება...**

- აკუასაგა? არც ვიცი, რომელია...

**- ისიც გაბონის ნაკრების წევრია და თქვენთან ზაფხულში ისინჯებოდა...**

- შეიძლება, მაგრამ იმდენი აფრიკელი გავსინჯეთ, ყველა არც მახსოვს.

**- ბოლო დროს ჩვენი კლუბები და ნაკრებები მეტად წარუმატებლად თამაშობენ. ისიც აშკარაა, რომ ქართველებისადმი უკრაინული კლუბების დამოკიდებულებაც ნეგატიური გახდა.**

- სხვისი არ ვიცი, პირადად მე კი ბავშვობიდან თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი ვიყავი და მიყვარს ქართული ფეხბურთი. თქვენები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ტექნიკით, დრიბლინგით, გოლის გატანის წყურვილით, არაორდინარული თამაშით... ვისაც ფეხბურთი უყვარს და ესმის, შეუძლებელია, ეს არ მოსწონდეს. თუმცა ბოლო დროს ჩვენს ჩემპიონატში ქართველ ლეგიონერთა რიცხვი მართლაც შემცირდა. არ ვიცი, რითია ეს გამოწვეული. შესაძლოა, ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესებით, შესაძლოა, იმით, რომ უკრაინის ჩემპიონატის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩვენ ახლა გვჭირდება არა საშუალო, არამედ ევროპული დონის ფეხბურთელები. ადგილობრივებიც საკმაოდ ბევრი გვყავს. საერთოდ, საუკეთესო ქართველები ჯერ ევროპაში მიდიან, შემდეგ კი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ბოლო დროს თქვენთან ჩავარდნაა. თუმცა ქართული ფეხბურთის სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა ხარისხით და არ მგონია, კატასტროფული ვარდნა გქონდეთ. ერთი ის არის, რომ ფეხბურთი სწრაფი ტემპით ვითარდება. თვალს ვადევნებ თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და არ არის გამორიცხული, ფეხბურთზე გავლენას არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაც ახდენდეს. ამ დროს, ვიცი, რომ ქართველებში რამდენიმე ძალიან საინტერესო მწვრთნელია, ესე იგი, ის სკოლა ცოცხლობს...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

კობა ნიტაიშვილი

# ...ხუმრობა ხომ არ არის კუპერთან მუშაობა?

## სანამ ტრანსფერზე ვიფიქრებ, ჯერ ანორთოსისის აზრი უნდა გავიგოო...



კვიპროსთან მატჩი ჩვენი ნაკრებისთვის ერთ-ერთი სამარცხინო იყო შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც. ეს შეხვედრა უკვე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ საინტერესოა, რა გამოძახილი პოვა მან უშუალოდ კვიპროსზე. „ანორთოსისის" ქართველ ფორვარდ კობა ნიტაიშვილს ამის გარდა, სხვაზეც ვკითხეთ, მაგალითად იმაზე, რაც გუშინ გერმანულმა სააგენტოებმა გაავრცელეს - თითქოსდა, „შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი ზაფხულიდან კარიერას თემურ ქეცბაიას „ანორთოსისში" გააგრძელებს. ბარემ აქვე დავძენთ, რომ გუშინ კარგა ხანს ვცდილობდით კობიაშვილთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ. საინტერესოა, რა იცის ამის თაობაზე კობა ნიტაიშვილმა...






**- კობა, რა გამოხმაურება მოჰყვა საქართველოსა და კვიპროსის ნაკრებთა მატჩს?**

- კვიპროსელებმა ძალიან გაიხარეს. ეროვნულ ნაკრებში ჩემი თანაკლუბელებიც იყვნენ და ყველა უზომოდ ბედნიერია. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენთან მოგება კვიპროსისთვის დიდი სტიმული იყო. მათი გუნდი საქართველოსთან მოგების შემდეგ კარგ განწყობაზე იყო და ზოგი ბულგარეთიდან ქულის წამოლებასაც გეგმავდა, მაგრამ დამარცხდნენ სოფიაში და აქაურ გულშემატკივარსაც ეიფორიამ ცოტათი გადაუარა. თუმცა ერთს ახლაც ამბობენ - საკვალიფიკაციო ეტაპზე მოგება არ გვქონდა და პირველი 3 ქულა ხომ მაინც ავილეთო. ივნისში ჩერნოგორიას უმასპინძლებენ და უკვე კბილებს ილესავენ.

**- ეს გასაგებია, მაგრამ საქართველოს ნაკრების ასეთ ცუდ თამაშსა და წაგებაზე არაფერს ამბობენ?**

- კვიპროსელებმა ჯერ კიდევ შარშან, შესარჩევი ციკლის დაწყებამდე დაიქადნეს, შინ არც ერთი მატჩი არ უნდა წავაგოთო. შესაბამისად, საქართველოსთანაც მოგებას გეგმავდნენ. თუმცა კობიაშვილმა პენალტით რომ შეაგდო, ცოტა არ იყოს, შეცბნენ. ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ მოიგებდნენ. დღესაც ამაყობენ, რომ კუპერის გუნდი დაამარცხეს. ისე კი, ჩვენს ნაკრებზე ბევრს ნამდვილად არ ლაპარაკობენ.

**- თავად როგორ შეაფასებდი ჩვენი გუნდის თამაშს?**

- ძალიან დამწყდა გული, რომ წავაგეთ. არადა, ამ მატჩამდე თანაკლუბელებსაც და სხვა გუნდის ფეხბურთელებსაც, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ, ვუმტკიცებდი, რომ საქართველოს ნაკრებთან მოგების შანსი არ ჰქონდათ, წააგებთ-მეთქი, მაგრამ... იმედი გამიცრუვდა. და მარტო მე? ალბათ, მთელ საქართველოს...

**- თანაკლუბელებმა რა გითხრეს?**

- ყველანაირად ვუმტკიცებდი, რომ ეს მხოლოდ შემთხვევითობა იყო და ჩვენი ნაკრები წაგებას არ იმსახურებდა. ისიც კი ვუთხარი, კიდევ ორი მატჩი რომ ჩავატაროთ, ორივეს საქართველო მოიგებს-მეთქი.

**- ახალგაზრდული ნაკრების თამაშზე რაღას იტყვი?**

- კახა ცხადაძის გუნდის თამაში ნამდვილად მომეწონა. არბიტრს პენალტი რომ არ გამოეგონა, ჩვენები ერთ გოლს არ დასჯერდებოდნენ, კიდევ შეაგდებდნენ და სოლიდური ანგარიშითაც მოიგებდნენ. ახალგაზრდული ნაკრები კიდევ უფრო კარგად შეთამაშდება, დაიხვეწება... მოკლედ, მე ვფიქრობ, ამ გუნდს მომავალი აქვს...

**- ჩერნოგორიასთან მატჩი თუ ნახეთ?**

- არა, ვერ ვნახე. შედეგი კი გავიგე და... კიდევ ერთხელ დავრჩი განბილებული. ახალგაზრდებს კი სულაც წაუგიათ...

**- ნაკრებში თავადაც თამაშობდი. მაშინ სხვა სიტუაცია იყო?**

- ვთამაშობდი, ოღონდ ახალგაზრდულში. ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა. თუ გამომიძახებენ, ბედნიერი ვიქნები. თავს გადავდებ ეროვნული გუნდისთვის. ხუმრობა ხომ არ არის ექტორ კუპერთან მუშაობა?

**- ახლა „ანორთოსისზე" ვისაუბროთ. ჩემპიონთა ლიგაში ჩინებულად იასპარეზეთ, ეს ნამდვილი ფურორი იყო, თუმცა შინაურ ფრონტზე მთლად კარგად ვერ მიდის თქვენი საქმეები...**

- ჩემპიონთა ლიგაში თამაში დიდ ენერგიას მოითხოვს და, როგორც ჩანს, გუნდი გადაიღალა. გასაკვირი არც არის, რადგან ეს გრანდებსაც ემართებათ. ახლა, პირველ ადგილზე მყოფ აპოელ-ს 10 ქულით ჩამოვრჩებით და ჩემპიონობის შანსი აღარ გვაქვს. მეორეადგილოსანი „ომონია" კი 5 ქულით გვიწრებს. შეგვიძლია ვერცხლის მედლებისთვის ვიბრძოლოთ, მაგრამ არც ეს იქნება იოლი. მიუხედავად ამისა, ფარ-ხმალს არ დავყრით, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს გიმთავრდება?**

- კი, მაგრამ ხელშეკრულება პლუსით მაქვს, 2010 წლამდე. ამ ზაფხულსაც შემიძლია კლუბის შეცვლა, თუმცა ამაზე ჯერ არ მიმილია გადაწყვეტილება.

**- არიან დაინტერესებული კლუბები?**

- კი, არის რამდენიმე კლუბი, მაგრამ მაისამდე ჯერ ადრეა და არ ვაქტიურობ. ჯერ „ანორთოსისის" პოზიცია მაინტერესებს. ვნახოთ, რას მეტყვიან და დანარჩენზე მერე ვიფიქრებ.

**- დონეცკის „მეტალურგი" ხომ იყო დაინტერესებულ კლუბებს შორის?**

- ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ შარშან კი იყო მართლაც რეალური ლაპარაკი. იმ ეტაპზე „ანორთოსისში" დარჩენა ვამჯობინე. არის „პანიონიოსის" ინტერესიც... ვნახოთ, მოვიცდი ზაფხულამდე, ჯერ არსად მეჩქარება. ხომ გითხარით, „ანორთოსისის" აზრიც მაინტერესებს...

**- ამ ზაფხულს „ანორთისისში" ლევან კობიაშვილი ჩაირიცხებაო, ერთ-ერთი გერმანული წყარო ამტკიცებს. ამაზე ხომ არ იცი რამე?**

- კობიაშვილი? ლევანი ჩვენს გუნდში ითამაშებს? პირველად მესმის, მაგრამ ეს თუ მართალია, ამას რა სჯობს? „ანორთოსისს" კობიაშვილი მართლაც წაადგება, მაგრამ თავად ლევანი რა აზრისაა, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუკასლი

# შირერის დროებითი სამუშაო

## დენის უაიზმა კაჭკაჭებს უგანა



ალან შირერი და მისი ასისტენტი იან დოუი პირველი პრესკონფერენციისას

„ნიუკასლ იუნაიტედის" ახალმა თავკაცმა **ალან შირერმა** გუშინწინ გუნდთან პირველი ვარჯიში ჩაატარა. გასაგები მიზეზების გამო ამ ფაქტმა მასმედიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ალანმა გაითვალისწინა შეკრებილთა ცხოველი ინტერესი და იმ მიზნით, რომ საწვრთნელ პროცესს გართულებების გარეშე ჩაევლო, სახელდახელო პრესკონფერენცია ჩაატარა. აი, რას აცხადებს ვარსკვლავი: *„ეს არის გუნდი, რომელიც ძალიან მიყვარს და რომელსაც, ისევე როგორც მისი ათასობით გულშემატკივარი, პრემიერლიგაში დარჩენას ვუსურვებ. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემეძლება. ღრმად მწამს, რომ მე და ჩემს ფეხბურთელებს ჩვენ წინაშე დასახული ამოცანის გადაჭრა შეგვიძლია. გუნდში კვალიფიციური ფეხბურთელების ნაკლებობა აშკარად არ არის, უბრალოდ, მათ საკუთარი ძალების რწმენა აკლიათ. სულ ეს არის"*, - გადმოგვცემს სააგენტო AP.

შეგახსენებთ, რომ **ჯო კინეარის** ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მასთან მოქმედი კონტრაქტი დროებით შეჩერდა. ინგლისური ფეხბურთის ლეგენდას გუნდი სწორედ ამის შემდეგ ჩააბარეს. „კაჭკაჭებს" პრემიერლიგაში უახლოესი შერკინება შინ, „ჩელსისთან" ელით. ვერაფერს იტყვი, რთული ამოცანაა. ჯერ კიდევ სანაკრებო ბატალიების დასრულებამდე ხსენებულ საკითხზე კომენტარისთვის **ჯონ ტერიმ** და **ფრენკ ლემპარდმა** მოიცალეს. მათ მიაჩნიათ, რომ შირერის დანიშვნა დადებითად იმოქმედებს მეტოქის ფეხბურთელთა საბრძოლო განწყობაზე, ხოლო „ნიუკასლის" გულშემატკივართა პირობა, ტრიბუნებზე განსაკუთრებულ ცეცხლს დავანთებთო, საქმეს კიდევ უფრო გაართულებს. გთავაზობთ ტერის კომენტარს.

**- თუ წარმოგიდგენიათ, რამდენად გართულდება თქვენთვის ნიუკასლში ვიზიტი?**

- ბევრად უფრო მძიმე დაპირისპირება გველის. ღმერთო ჩემო, ალან შირერი გულშემატკივართა კერპია, ის თავის ოპტიმიზმს აუცილებლად გადასდებს ფანებს, ფეხბურთელებს. საბედნიეროდ, ამის გამოცდილება უკვე გვაქვს. „სიტი ოფ მანჩესტერზე" სწორედ მაშინ ვითამაშეთ, როცა „სიტიში" რობინიოს დებიუტი შედგა. შედეგის მისაღწევად აუცილებელი იქნება კონცენტრაცია და ჩვენი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა.

მეგობრის მიერ სამწვრთნელო კარიერის დაწყებაზე კომენტარი გააკეთა **პოლ გასკოინმაც**. *„ალანის ძარღვებში შავ-თეთრი სისხლი ჩქეფს. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელები უმალ იპოვიან საერთო ენას ახალ დამრიგებელთან. მან უკვე იცის, რა უნდა გააკეთოს დარჩენილ რვა შეხვედრაში. ისეთი სისულელეც კი მოვისმინე, თითქოს შირერი „ნიუკასლის" გავარდნის შემთხვევაშიც კი არაფერს კარგავსო. ვიცი, რომ ალანი ასე არ ფიქრობს. თუკი ეს მაინც მოხდა, პირველ რიგში, ეს მისთვის იქნება მძიმე დარტყმა. მინდა, თითოეულ ფეხბურთელს კიდევ ერთხელ ვუთხრა, ისინი ალან შირერის, „ნიუკასლისა" და თითოეული გულშემატკივრისთვის იბრძვიან,"* - განაცხადა „ინგლისური ფეხბურთის ცუდმა ბიჭმა".

გუნდში ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ „კაჭკაჭებს" **დენის უაიზმა** უგანა. შირერსა და „ჩელსის" ექსკაპიტან უაიზს შორის რაიმე სახის გაუგებრობას ადგილი არასოდეს ჰქონია. ამ მიმართულებით მსჯელობის განვითარება ალოგიკური გვეჩვენება. ალბათ ის, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ჯორდებში დღითიდღე არაპოპულარული ხდებოდა. უაიზის მიმართ ანტიპათია მას მერე გამძაფრდა, რაც ის **კევინ კიგანის** „ნიუკასლთან" გაყრის ერთ-ერთი მიზეზი შეიქნა. ოფიციალური ვერსიით, კონტრაქტის დარღვევის მიზეზად მხარეთა შეთანხმება დასახელდა.

ალან შირერმა გუშინ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, გუნდის მიერ მიღწეული შედეგის მიუხედავად, „ნიუკასლში" დარჩენას სეზონის დასრულების შემდეგ არ გეგმავს და მწვრთნელობას მხოლოდ დროებით სამუშაოდ განიხილავს. ის ბრიტანეთის საზოგადოებრივ მაუწყებელზე საფეხბურთო ანალიტიკოსად დაბრუნებას გეგმავს. რაც შეეხება „ნიუკასლს", მისი აზრით, თავისი საქმე უნდა განაგრძოს ჯო კინეარმა, რომელიც რეაბილიტაციის პროცესს რამდენიმე თვეში დაასრულებს. *„BBC-ზე მუშაობით უდიდეს სიამოვნებას ვიღებდი. სულაც არ ვაპირებ მასზე უარის თქმას. შემიძლია დაგარწმუნოთ, აქ მხოლოდ რვა კვირას გავატარებ. იმედია, პრემიერლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ. წარმატების შემთხვევაშიც კი, თუკი საქმიანობის გაგრძელებას შემომთავაზებენ, დიდ მადლობას ვიტყვი, მაგრამ მასზე ერთმნიშვნელოვნად უარის თქმა მომიწევს. ახლა მთავარია, დღევანდელ პრობლემებზე გავამახვილოთ ყურადღება. შეიძლება არ გვიმართლებდა, შეიძლება საკუთარი ძალების რწმენაც გვაკლდა ან არბიტრები იღებდნენ უცნაურ გადაწყვეტილებებს... ამ ყველაფერს მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ეს უკვე ისტორიაა. წინ ურთულესი ბრძოლები გველის. რაც ყველაზე მთავარია, ყველაფერი ჩვენს ხელშია"*.

კლუბის მმართველმა დირექტორმა **დერეკ ლამბაიესმა** კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, რომ ჩემპიონშიფში გავარდნის შემთხვევაში კლუბს გაკოტრება ემუქრება. „ასეთი ხმების გავრცელება ერთდროულად სასაცილო, უსამართლო, უსაფუძვლო და აღმაშფოთებელია - მასში ერთი მისხალი სიმართლეც კი არ არის, - განუცხადა „ნიუკასლ ქრონიკლს" ლამბაიესმა. - დღევანდელ სიტუაციაში, როცა პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძვით, მხარში ამოდგომა გვჭირდება და არა მსგავსი ხმამაღალი განცხადებები. თუკი პრემიერლიგასთან გამომშვიდობება მაინც მოგვიხდა, ისევე როგორც ამას სხვა კლუბები აკეთებენ, ჩვენი ბიზნესგეგმის გადახედვა მოგვიწევს, თუმცა რაც უნდა მოხდეს, ფეხზე იმდენად მყარად ვდგავართ, რომ გაკოტრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაიკ ეშლიმ, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მსხვილმა ბიზნესმა, გლობალურ კრიზისს თავი ვერ დააღწია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მე თქვენ გეკითხებით, როგორ შეეძლო თავის არიდება"?

საუთჰემპტონი



საუთჰემპტონის გულშემატკივრებს ცუდი დრო დაუდგათ

# წმინდანები გაკოტრდნენ

## ვინ ააღორძინებს დიდი ტრადიციების გუნდს?

ინგლისის ჩემპიონშიფში დარჩენისთვის მებრძოლი „საუთჰემპტონის" პრესსამსახურმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მისი დამფუძნებელი კომპანია „საუთჰემპტონ ლეჟერ ჰოლდინგზი", რომელსაც კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტი ეკუთვნის, ოფიციალურად გამოცხადდა გაკოტრებულად. კომპანიის პრეზიდენტის **პიტერ ლოს** საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაედო. პიტერ ლო, კლუბის პრეზიდენტი **მაიკლ უაილდი** და აღმასრულებელი დირექტორი **ენდრიუ კოენი** დაუყოვნებლივ გადადგნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ადმინისტრაცია დროებით ჩაიბარა ფირმა „ბეგბიზ ტრეინორმა", რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ვალების რესტრუქტურიზაციაა.

„საუთჰემპტონ ლეჟერ ჰოლდინგზის" საერთო დავალიანება 27,5 მილიონ გირვანქას აღწევს. მიუხედავად ყველაფრისა, კლუბი ჩვეულებრივ აგრძელებს მუშაობას. ჯერჯერობით ოდნავი საფრთხეც არ შექმნია სავარჯიშო პროცესს. მწვრთნელები და ფეხბურთელები ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ. ინგლისის პრემიერლიგას, წესით, საფუძველი არ უნდა ჰქონდეს, გუნდისთვის 10 ქულის ჩამოსაკლებად, თუმცა გამორიცხული არაფერია. ასეთ შემთხვევაში ისედაც შეჭირვებული გუნდი საბოლოოდ დაემშვიდობება ჩემპიონშიფში დარჩენაზე ოცნებასაც კი. შეგახსენებთ, რომ პროფესიული ლიგა დამფუძნებელი კომპანიების გაკოტრების შემდეგ სწორედ ასეთ ნაბიჯზე წავიდა „ლიდს იუნაიტედის", „ლესტერ სიტისა" და „ლუტონ თაუნის" წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ კლუბს ფინანსური პრობლემები 2001 წელს დაეწყო. პიტერ ლოს ინიციატივით, კლუბმა 32800-ადგილიანი „სენტ მერი" ააშენა. აღნიშნული პროექტი კლუბს 30 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ახალი არენა 2001 წლის 11 აგვისტოს, „საუთჰემპტონი"-"ესპანიოლის" ამხანაგური მატჩით (3:4) გაიხსნა. თუმცა იმის ნაცვლად, რომ კლუბს მაღალი ადგილებისთვის ებრძოლა, 2004/05 წლების სეზონში პრემიერლიგაში ბოლო ადგილი დაიკავა და ელიტას გამოემშვიდობა. ყველაფერი კი ასე სამწუხაროდ დასრულდა...

იქნებ არც დასრულებულა და ვინმემ მოინდომოს დიდი ტრადიციების კლუბის აღორძინება? ვნახოთ...

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ტოტენჰემი

# ახალი არენა იაფად

## სარგებელი გლობალური კრიზისისაგან. მამლები სტადიონის სახელს გაყიდიან

„ტოტენჰემის" თავმჯდომარის **დენიელ ლევის** გაანგარიშებით, მსოფლიოს ფინანსური კრიზისი მისი გუნდის გეგმას, ააშენოს ახალი სტადიონი, ხელს შეუწყობს. ასეთი განცხადება, ცოტა არ იყოს, ალოგიკურად ჟღერს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ლევის სიტყვებს ლოგიკა ნამდვილად არ აკლია. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით გთავაზობთ „მამლების" ფინანსური დირექტორის **მეტიუ კოლკოტის** განცხადებას: *„სტადიონის საპროექტო ღირებულება უწინდელთან შედარებით 40 მილიონით შემცირდა. მოგეხსენებათ, მსოფლიოში ცემენტსა და ფოლადზე მოთხოვნა კატასტროფულად არის შემცირებული, შესაბამისად, ფასიც დაცემულია. ასე რომ, მათთვის, ვისაც მსხვილი პროექტების განხორციელება სურს, ამაზე უკეთესი დრო აღარც დადგება. ეს ჩვენს საქმეს ერთიორად აადვილებს. სულაც არ არის საჭირო, იყო ფინანსური ექსპერტი იმისთვის, რომ მიხვდე, ის ადგილი, სადაც სტადიონის აშენებას ვაპირებთ, არ არის ლონდონის ყველაზე პრესტიჟული უბანი. შესაბამისად, ვისაც ჩვენს პროექტში მონაწილეობის სურვილი გაუჩნდება, მათ შემცირებულ ფასებს შევთავაზებთ. ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე სერიოზული წინადადება ინვესტორთა მხრიდან. განაცხადების შემოტანის ვადა უახლოეს რამდენიმე თვეში დასრულდება"*, - აცხადებს „ტოტენჰემის" მაღალჩინოსანი.



აქვე გეტყვით, რომ არენის სახელი გასაყიდად არის გამოტანილი. „მამლებმა" ამის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბრის ბოლოს გააკეთეს, მაგრამ ჯერჯერობით მყიდველი არ გამოჩენილა. ახალი სტადიონის უნიკალურობა იმაშია, რომ მინდორი მაქსიმალურად ახლოს იქნება ტრიბუნებთან. ამჟამად დასამუშავებელია პროექტის მხოლოდ მცირედი დეტალები. სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე თვეში დაიწყება. სტადიონთან ახლოს აშენდება გასართობი და სავაჭრო ცენტრები, აიგება 150-ნომრიანი სასტუმროც.

ამბები

### ერიქსონი აგირემ შეცვალა

მექსიკის ნაკრების უმწვრთნელობამ მხოლოდ 24 საათს გასტანა. გუშინ **სვენ გორან ერიქსონის** შემცვლელად **ხავიერ აგირე** დაინიშნა. აგირე ახლახან გაათავისუფლეს მადრიდის „ატლეტიკოდან". 50 სპეციალისტი 2001/02 წლებში უკვე მუშაობდა მექსიკის ნაკრებში, რომელიც კორეა/იაპონიის მუნდიალზე მერვედფინალში გაიყვანა.

### კარლტონ კოულის თვე-ნახევარი

მოგეხსენებათ, „ვესტ ჰემისა" და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა **კარლტონ კოულმა** სლოვაკეთთან ამხანაგურ შეხვედრაში შეცვლაზე შესულმა ტრავმა მიიღო. დაწვრილებითი სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ექიმების დასკვნით, მას თვენახევრიანი დასვენება მოუწევს. პირველადი პროგნოზით, ფეხბურთელს სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება ემუქრებოდა, თუმცა გაჩნდა შანსი, რომ მან ბოლო ორ ტურში ითამაშოს. რამდენად დასჭირდება გუნდს მისი სამსახური, ეს უკვე სხვა თემაა. „ჩაქუჩებს" არც გავარდნა ემუქრებათ და ევროთასებზე გაღწევის შანსიც ნაკლებად აქვთ. აქვე გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში კოულის ანგარიშზე 25 შეხვედრაში გატანილი 11 გოლი და 3 საგოლე პასია.

საინტერესოა, რომ **ჯანფრანკო ძოლა** ჯერ კიდევ სანაკრებო შეკრების დაწყებამდე აცხადებდა, რომ ფეხბურთელი ბოლომდე ჯანმრთელი არ იყო, თუმცა კარლტონი **ფაბიო კაპელოს** დაძახილს იმხელა ენთუზიაზმით შეხვდა, აღარც უთხოვია, ტრავმისთვის ყურადღება მიექცია. ლონდონელებს კოულის გარდა ტრავმირებული ჰყავთ **ვალონ ბეჰრამი**, **ჯეკ კოლისონი** და **დინ ეშტონი**.

### რუნი ლივერპულის ჩემპიონობას ვერ შეეგუება

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი **უეინ რუნი** აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა „ლივერპულმა" პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული ვერ მოიპოვოს, საამისოდ მას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველ რიგში იმიტომ, რომ მას თავად სურს მესამედ ტიტულის დაუფლება, ამით „მანჩესტერ იუნაიტედი" „ლივერპულს" საჩემპიონო ტიტულების ოდენობით გაუთანაბრდება, და რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, იმის გამოც, რომ ის „ევერტონის" სკოლის აღზრდილია და დღემდე ამ კლუბის ერთგულ გულშემატკივრად რჩება. მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ბოლო ორ ტურში დამარცხების შემდეგ მერსისაიდელებმა „იუნაიტედთან" ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირეს. „ეშმაკებს" ერთი გამოტოვებული შეხვედრაც თადარიგში აქვთ. *„თუკი გუნდი ტიტულის დაცვას ვერ ახერხებს, ეს ჩვეულებრივ წარუმატებლობაზე უფრო მეტია, - აცხადებს ფეხბურთელი. - თუკი ერთხელ დაამტკიცე, რომ მოგება შეგიძლია, მაშინ ეს სხვა დროსაც უნდა გაიმეორო. ჩვენ ამას „მანჩესტერ იუნაიტედის" მაგალითზე ვამტკიცებთ. არ მგონია, ჩემი თანაგუნდელები ოდესმე წარმატებებით დაკმაყოფილდნენ"*

იტალია. სერია A. XXX ტური

# უდინეზე ინტრიგის სადარაჯოზე

## ანჩელოტი ინტერს ქომაგობს

| ხვალ | |
|---|---|
| ატალანტა-ფიორენტინა | 15:00 |
| კალიარი-კატანია | 17:00 |
| იუვენტუსი-კიევო | 17:00 |
| პალერმო-ტორინო | 17:00 |
| რეჯინა-ჯენოა | 17:00 |
| რომა-ბოლონია | 17:00 |
| სამპდორია-ნაპოლი | 17:00 |
| სიენა-ლაციო | 17:00 |
| უდინეზე-ინტერი | 21:00 |
| მილანი-ლეჩე | 23:00 |

იტალიის ჩემპიონატის 30-ე სათამაშო დღის ყველა შეხვედრა კვირას გაიმართება. სანაკრებო პაექრობებისგან გადაღლილ ფეხბურთელებს ფედერკალჩომ შაბათი დღე გაუნთავისუფლა და უკლებლივ ყველა მატჩი ერთ დღეს დანიშნა. ამ ტურში გამოკვეთილი ცენტრალური თამაში არ გველის, თუმცა ყველაზე დიდ ინტერესს მაინც უდინეში გასამართი ჯახი იწვევს. „ფრიულიზე" „უდინეზე" სერია A-ს ლიდერს, „ინტერს" დაუხვდება.

უდინეში „ინტერთან" დაპირისპირებაზე უკვე ორი კვირაა ლაპარაკობენ. ფრიულელებს წინ რთული კვირა აქვთ, ჯერ იტალიის ჩემპიონატის ლიდერს ხვდებიან, შემდეგ კი უეფას თასზე ბრემენის „ვერდერთან" უწევთ შეტოქება. ასეთი მნიშვნელოვანი ბატალიების წინ, **ანტონიო დი ნატალეს** მოსაკლისება ვერ გახლავთ კარგი ამბავი, მაგრამ პასკუალე მარინო ოპტიმიზმს ინარჩუნებს და გულშემატკივრებს ბრძოლას ჰპირდება. აი, რა განაცხადა უდინელთა თავკაცმა:

*„წინ რთული მატჩები გველის, რომელიც ბევრ კითხვაზე გაგვცემს პასუხს. სეზონის გადამწყვეტ ეტაპზე ვიმყოფებით და ნაფორხილება შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. უეფას თასზე ასპარეზობა ჩვენთვის დიდი სტიმულია და უნდა ვეცადოთ, რომ გერმანელებთან საუკეთესო ხარისხის ფეხბურთი ვაჩვენოთ. რაც შეეხება „ინტერთან" თამაშს, ორი აზრი არ არის, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე რთული შეხვედრა. ბევრი ფიქრობს, რომ მილანელებთან ძალებს დავზოგავთ, რათა შემდეგ „ვერდერს" ოპტიმალურ ფორმაში დავუპირისპირდეთ. მინდა ხაზგასმით განვაცხადო, რომ მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ჩვენ კარგად გვესმის, რომ „ინტერისთვის" ქულების ართმევით შეგვიძლია საჩემპიონო ინტრიგა დავაბრუნოთ. თანაც, „ნერაძურის" ძლევა ჩემი შეგირდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ერთმნიშვნელოვნად დადებითად იმოქმედებს, ასე რომ, ძალების დაზოგვაზე საუბარიც კი ზედმეტია".*

იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, მარინო „ინტერს" შემტევ ტაქტიკას, 4-3-3-ს დაუპირისპირებს. დი ნატალეს არყოფნაში თავდასხმაში შემდეგი ფეხბურთელები იმოქმედებენ: **სიმონე პეპე, ანტონიო ფლორო ფლორესი, ფაბიო კვალიარელა**. ეს უკანასკნელი ცენტრფორვარდად დადგება და შეეცდება მასპინძელთა იერიშები დააგვირგვინოს. ფაბიომ სანაკრებო შეხვედრებში გარემარბად ითამაშა და როგორც ჟურნალისტს განუცხადა, ახალ პოზიციაზე ასპარეზობა მაინც და მაინც არ მოეწონა:

*„სიმართლე გითხრათ, ცენტრალურ თავდამსხმელად თამაში ჩემთვის გაცილებით უფრო კომფორტულია. ფლანგზე ასპარეზობა დაცვაში ჩასვლის პასუხისმგებლობას გაკისრებს, რაც ჩემს შეტევით პოტენციალზე უარყოფითად აისახა. ისე არ გამიგოთ, თითქოს რაიმეს მოვითხოვდე, მარჩელო ლიპიმ უკეთ იცის, თუ სად უნდა მათამაშოს. უბრალოდ, ის აღვნიშნე, რომ პირადად მე დამგვირგვინებლის როლში ყოფნა მირჩევნია".*

დავუბრუნდეთ „უდინეზე"-„ინტერის" შეხვედრას და ორიოდე სიტყვა „ნერაძურიზეც" ვთქვათ. ბოლო დღეებში კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა **ჟოზე მოურინიო**, რაც უკვე აღარავის უკვირს. პორტუგალიელმა ჯერ ზოგადად „მილანს" გაკრა კბილი, შემდეგ კი „როსონერის" თავკაც **კარლო ანჩელოტის**. შეგახსენებთ, რომ ჟოზემ კოლეგას ადრეც არაერთხელ შეუტია და რა იმალება ამ გაუთავებელი კრიტიკის უკან, ძნელი სათქმელია. ამჯერად „მილანელებს" მოურინიოსთვის პასუხი არ გაუციათ, კარლეტომ ისლა თქვა, ჟოზეზე საუბრის სურვილი ნამდვილად არ მაქვსო. მოურინიო კი უკვე მოახლოებულ შეხვედრაზე გადაერთო და პრესასთან მეტად საინტერესო კომენტარი გააკეთა:

*„თუ უდინეში მოვიგეთ, 99 პროცენტით სკუდეტოში ველარავინ შეგვეცილება. აქ საქმე მხოლოდ ქულებში არაა, მთავარი ის სტაბილურობაა, რომელიც სახეზე გვაქვს. რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი დაგვიბრუნდა, რაც ძალიან მახარებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „უდინეზეს" მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი. ამ გუნდში შესანიშნავი ფეხბურთელები არიან შეკრებილნი და მათი თამაშის ხილვა ყოველთვის სასიამოვნოა. ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრა უნდა გამოვიდეს. ჩვენი მიზანი მხოლოდ სამი ქულაა, უდინეში გამარჯვებისთვის მივდივართ".*

იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ „ინტერი" კვლავ 4-4-2 სისტემით ითამაშებს. თავდასხმაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩს მარიო ბალოტელი** შეუწყვილდება, მათ უკან კი **დეიან სტანკოვიჩი** ითამაშებს. აგერ უკვე მერამდენე ტურია, მასმედიის წარმომადგენლები ჯიუტად ელოდებიან ძირითადში **პატრიკ ვიეირას** გამოჩენას, მოურინიო კი ფრანგს არა და არ სწყალობს. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ „გაძეტა დელო სპორტი" პატრიკს კვლავ სასტარტოში მოხვედრას უწინასწარმეტყველებს, მან მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქცია უნდა შეასრულოს. ცენტრში **ესტებან კამბიასო** დადგება, მარცხნივ კი **სალი მუნტარი**. რაც შეეხება **ხავიერ ძანეტის**, მან მარჯვენა მცველობა უნდა იტვირთოს. „გაძეტა" ასეთი ფორმაციის „ინტერს" დაცვაში არსებული პრობლემებით ხსნის, კაპიტანმა ის ორმო უნდა ამოავსოს, რომელიც **მაიკონის** მოსაკლისების შემდეგ გაჩნდა - ბრაზილიელს ტრავმა აწუხებს. დაცვის ცენტრში **კრისტიან კივუ** და **ივან კორდობა** გაირჯებიან, მარცხნივ კი ახალგაზრდა იტალიელი, **სანტონი**.

დიდ ინტერესს იწვევს ტურინული შეხვედრაც. „ინტერის" მდევარი „იუვენტუსი საკუთარ კედლებში „კიევოს" მიიღებს. ბუნებრივია, ტურინელები ფავორიტები არიან და მხოლოდ გამარჯვებას გეგმავენ. **კლაუდიო რანიერი** ტრადიციას არც ამჯერად ულალატებს და 4-4-2 ტაქტიკას დაეყრდნობა. ტრავმირებულია **ამაური** და თავდასხმაში **ალესანდრო დელ პიეროს ვინჩენცო იაკვინტა** შეუწყვილდება. იაკვინტამ ბოლო სანაკრებო შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა და თუ ლიპის ვენდობით, ბრწყინვალედაც გაისარჯა. სათადარიგოზე რჩება **დავიდ ტრეზეგე**, ვისზეც რამდენიმე დღეა უამრავი ჭორი ვრცელდება. „იუვენტინოები" კი ბოლო დროს რატომღაც ოპტიმიზმით აღივსენ და პრესასთან დიდი ბაქი-ბუქიც გამართეს. მაგალითად **ჯორჯო კიელინის** კომენტარის მოყვანაც შეიძლება:

*„მჯერა, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ვოცნებობ იმაზე, რომ ლიდერს გადავუსწროთ და სეზონი პირველ ადგილზე დავასრულოთ. რაც მთავარია, მიზანი მიღწევადია და ამისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. მე თუ მკითხავთ, „იუვე" „ინტერს" ბევრი არაფრით ჩამოუვარდება და თავის დროზე რომ შეცდომები არ დაგვეშვა, დღეს ჩემპიონობასთან უფრო ახლოს ვიქნებოდით. მინდა გულშემატკივრებს მხარდაჭერისკენ მოვუწოდო, თუ ერთად დავდგებით, აუცილებლად გავიმარჯვებთ".*


ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ტურინელებს ჩემპიონობა სურთ, კვირას „კიევო" აუცილებლად უნდა დაამარცხონ. რანიერი ამას კარგად ხვდება და ნახევარდაცვას ერთობ შემტევს აყენებს. მარცხენა ფრთაზე **სებასტიან ჯოვინკო** დადგება, ცენტრში კი ალბათ **პაველ ნედვედი** ითამაშებს. ჩეხისთვის ეს ამპლუა უჩვეულოა და ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. როგორც იტალიელი ჟურნალისტები აცხადებენ, ბოლო ვარჯიშებზე ნედვედი სწორედ შუა ხაზში ირჯებოდა და საკმაოდ პროდუქტიულადაც. პაველის მეწყვილე **მარკიზიო** იქნება, მარჯვნივ კი **მარკიონი** იმოქმედებს.

რანიერი „კიევოსთან" გამარჯვებაში დარწმუნებულია, ასეთი განცხადება მწვრთნელისგან მართლაც იშვიათი მოსასმენია: *„მეტოქეს დიდ პატივს ვცემ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. საჩემპიონო ბრძოლას არ ვწყვეტთ და ვეცდებით, „ინტერთან' ქულათა სხვაობა ამავე ტურში შევამციროთ. გუნდი კარგ ფორმაშია, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს".*

ბოლოს, „მილანზეც" ვთქვათ, გუნდზე, რომელიც ერთი შეხედვით უმოტავაციოდ არის დარჩენილი, მაგრამ გულშემატკივრებში კვლავ დიდ ინტერესს იწვევს. **კარლო ანჩელოტიმ** პრესასთან საუბარში ახალ მიზანზე გააკეთა აქცენტი: *„უმოტივაციოდ ნამდვილად არ ვართ და მომავალ შეხვედრებსაც დიდი ენთუზიაზმით ველით. გვსურს, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი დავიკავოთ და ჩემპიონთა ლიგაში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე მოვხვდეთ. სეზონის ნაადრევად დაწყება შემდეგ პრობლემების შექმნას უწყობს ხელს და კარგი იქნება თუ ამას თავიდან ავიცილებთ".*

ანჩელოტის ამ ნათქვამს, ჟურნალისტმა მორიგი კითხვა მიაყოლა: ანუ, „ინტერის" გაჩემპიონება გსურთ? - ესეც კარლოს პასუხი: *„მსურს, მეორე ადგილზე გავიდეს „მილანი" და ვინ გახდება ჩემპიონი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამ შემთხვევაში, ისე გამოდის, რომ პირველობა „ნერაძურის" უნდა დარჩეს, რაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავ".*

აი ასე, ანჩელოტი მისდა უნებურად „ინტერის" ქომაგად იქცა, „მილანი" კი ღამის შეხვედრაში „ლეჩეს" უმასპინძლებს. „როსონერიც" 4-4-2 სისტემით ითამაშებს, თუმცა ამ შემთხვევაში რომბისებურ ნახევარდაცვასთან გვექნება საქმე. **პატო-ინძაგის** შემტევი ტანდემის უკან, სავარაუდოდ, **კლარენს ზეედორფი** იმოქმედებს. საყრდენად **ანდრეა პირლო** გაირჯება, მარცხნიდან **მასიმო ამბროზინი** იმოქმედებს, მარჯვენა ფლანგს კი **დევიდ ბექჰემი** გააკონტროლებს. დაცვის ცენტრში უბრებელ წყვილს ვიხილავთ, საუბარი **მალდინი-ფავალის** ტანდემზეა, ფლანგებზე კი **ძამბროტა** და **იანკულოვსკი** ითამაშებენ. „მილანის" კარს **დიდა** დაიცავს, რომელიც სეზონის ბოლომდე დამტვრეულ **კრისტიან აბიატის** შეცვლის.

**ლაშა წიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 29 | 21 | 6 | 2 | 54-21 | 69 |
| 2. იუვენტუსი | 29 | 19 | 5 | 5 | 51-23 | 62 |
| 3. მილანი | 29 | 16 | 7 | 5 | 51-28 | 55 |
| 4. ჯენოა | 29 | 14 | 9 | 6 | 39-27 | 51 |
| 5. ფიორენტინა | 29 | 15 | 4 | 10 | 39-29 | 49 |
| 6. რომა | 29 | 13 | 7 | 9 | 44-41 | 46 |
| 7. კალიარი | 29 | 12 | 6 | 11 | 34-29 | 42 |
| 8. პალერმო | 29 | 13 | 3 | 13 | 39-38 | 42 |
| 9. ლაციო | 29 | 12 | 5 | 12 | 39-41 | 41 |
| 10. ატალანტა | 29 | 12 | 4 | 13 | 35-33 | 40 |
| 11. ნაპოლი | 29 | 10 | 7 | 12 | 33-33 | 37 |
| 12. კატანია | 29 | 10 | 7 | 12 | 30-34 | 37 |
| 13. უდინეზე | 29 | 9 | 9 | 11 | 38-41 | 36 |
| 14. სამპდორია | 29 | 9 | 9 | 11 | 31-36 | 36 |
| 15. სიენა | 29 | 8 | 7 | 14 | 23-32 | 31 |
| 16. კიევო | 29 | 7 | 9 | 13 | 25-36 | 30 |
| 17. ბოლონია | 29 | 6 | 8 | 15 | 31-47 | 26 |
| 18. ტორინო | 29 | 5 | 9 | 15 | 26-45 | 24 |
| 19. ლეჩე | 29 | 4 | 12 | 13 | 26-48 | 24 |
| 20. რეჯინა | 29 | 3 | 11 | 14 | 22-48 | 20 |



სკანდალი

# სტიაუას მფლობელი დაიჭირეს

## ჯიჯი ბეკალის ათწლიანი პატიმრობა ემუქრება

რუმინულ ფეხბურთში დიდი სკანდალი მოხდა. ბუქარესტული პრესის ინფორმაციით, „სტიაუას" მფლობელს **ჯიჯი ბეკალის** დედაქალაქის სასამართლომ ერთთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. მასალებიდან იკვეთება, რომ ბატონმა ბეკალიმ პირად მცველებს მისი მანქანის ქურდების გატაცება დაავალა. მცველებმა შეფის დავალება პირნათლად შეასრულეს და სამი ადამიანი გაიტაცეს. ბუნებრივია, პოლიციამ „სტიაუას" მფლობელის პირადი დაცვის თანამშრომლებიც დააკავა. ბეკალის მსგავსად მათაც წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

სიმართლე ითქვას, ეს ისტორია ძალიან ჩახლართულია. ბეკალის ძვირადღირებული ავტომობილი რამდენიმე დღის წინ მოიპარეს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მას პოლიციაში საჩივარი არ შეუტანია. „სტიაუას" მფლობელმა გადაწყვიტა, მანქანა საკუთარი არხებით მოეძებნა. კრიმინალური ავტორიტეტების დახმარებით მან ქურდების ვინაობა დაადგინა და მათზე ძებნა გამოაცხადა. რამდენიმე დღიანი „მუშაობის" შემდეგ ბატონი ჯიჯის მცველებმა ქურდების კვალს მიაგნეს და იარაღის მუქარით ქალაგგარეთ ტყეში წაიყვანეს. ისინი მანქანის მოპარვის ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ გაუგებრობის მსხვერპლი გახდნენ, თუმცა ბეკალის დაცვის კუნთმაგარმა ბიჭებმა ქურდები აწამეს და გამოტეხეს. ავტომობილი მართლა მათი მოპარული ყოფილა. ისინი იძულებული გახდნენ, ნადავლი უკან დაებრუნებინათ და ბოდიში მოეხადათ. „სტიაუას" მფლობელი მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ მანქანა უვნებელი გადარჩა, დამშვიდდა და ბოროტმოქმედები გაათავისუფლა. მან პოლიციაში სარჩელი არც ამის შემდეგ შეიტანა. ძალიან უცნაურია, მაგრამ სამართალდამცავ ორგანოებს თავად ქურდებმა მიმართეს. მათ პოლიციაში განაცხადეს, რომ ჯიჯი ბეკალის ბრძანებით გაიტაცეს და შუა ტყეში სამი საათის განმავლობაში დაუნდობლად აწამებდნენ. რუმინეთის კანონმდებლობაში ნაკლებად ვერკვევით. ამ მასალის მომზადებისას ინტერნეტით იქაურ სისხლის სამართლის კოდექსს თვალი კი გადავავლეთ, მაგრამ მაინც ვერ ვხვდებით, ქურდებმა ეს ნაბიჯი რატომ გადადგეს. დანაშაული ხომ თავადაც ჩაიდინეს და რა გარანტია აქვთ, რომ მანქანის ქურდობის გამო თავად არ მოხვდებიან გისოსებს მიღმა? მართლაც პარადოქსული შემთხვევაა, თუმცა ფაქტია, პოლიციამ მომხდარის შესახებ სწორედ იმ ნაწამები სამი ადამიანისგან შეიტყო.

ბეკალი რუმინეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია და მისმა დაპატიმრებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. ბუქარესტის სასამართლოსთან პროტესტის გამოსახატავად რამდენიმე ასეული ადამიანი შეიკრიბა. ისინი მოსამართლეს არაობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებენ. რამდენიმე თავზეხელაღებულმა დემონსტრანტმა სასამართლოში შევარდნა სცადა, მაგრამ თავში პოლიციის ხელკეტი მთელი სიმძლავრით მოხვდა. საღამოს აჟიოტაჟმა პიკს მიაღწია და საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით ბუქარესტის საქალაქო სასამართლოს სპიკერი იძულებული გახდა საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა. აი, რა განაცხადა **მარიცა ჩილესკუმ**: „კანონი გამონაკლისებს არ უშვებს. ბატონი ბეკალი ცნობილი ადამიანია, მაგრამ სასამართლომ ის ეჭვმიტანილად მიიჩნია და წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გამოძიება გრძელდება. ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამი ადამიანის გატაცება სწორედ მისი ბრძანების საფუძველზე მოხდა. ჩვენთვის ეჭვმიტანილის მხარდამჭერების პროტესტი სრულიად გაუგებარია. ადამიანი მძიმე დანაშაულშია ეჭვმიტანილი და ბუნებრივია, მას სახლში ვერ გავუშვებდით. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ჯიჯი ბეკალის 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა დაემუქრება."

აღსანიშნავია, რომ ბეკალი უმწიკვლო ადამიანის რეპუტაციით მანამდეც არ სარგებლობდა. საფეხბურთო წრეების წევრთა დიდი ნაწილი დღემდე ამტკიცებს, რომ „სტიაუა" მან მაფიოზური მეთოდებით ჩაიგდო ხელში და კლუბი კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააყენა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლიგა BBVA. XXIX ტურის წინ

# ფიფას ვირუსმა პრიმერა დაასუსტა

| დღეს | |
|---|---|
| რეკრეატივო-სევილია | 22:00 |
| ვალიადოლიდი-ბარსელონა | 22:00 |
| ალმერია-ვილიარეალი | 22:00 |
| ბეტისი-ნუმანსია | 22:00 |
| ბილბაო-მალიორკა | 22:00 |
| მალაგა-რეალი | 00:00 |
| **ხვალ** | |
| ესპანიოლი-დეპორტივო | 19:00 |
| ატლეტიკო-ოსასუნა | 19:00 |
| ვალენსია-ხეტაფე | 21:00 |
| სპორტინგი-რასინგი | 23:00 |

სანაკრებო პაუზის შემდეგ პრიმერა დივიზიონში დაძაბული ორთაბრძოლები განახლდება. როგორც ყოველთვის, სანაკრებო თავგადასავლებმა კლუბებს პრობლემები ამჯერადაც შეუქმნა. ეგრეთ წოდებულმა ფიფას ვირუსმა ყველაზე მეტად „ბარსელონა" დააზარალა. მიმდინარე სეზონში **გვარდიოლას** მისი ბიჭების ეროვნულ გუნდებში გაშვება მეხუთედ მოუხდა. აღსანიშნავია, რომ წინა 4 შემთხვევაში კატალონიურ გრანდს სერიოზული პრობლემები შეექმნა. პირველი სანაკრებო პაუზის შემდეგ „ბარსა" სანტანდერის „რასინგს" შეხვდა. გემახსოვრებათ, ის მატჩი კატალონიელებმა უსახურად ჩაატარეს და ფრე იკმარეს. მოგვიანებით გვარდიოლამ ნაკრებში დაღლილი და დასუსტებული ფეხბურთელებით ასევე საშინაო შეხვედრაში „ხეტაფეს" წინააღმდეგ გაილაშქრა. ლაშქრობა ალბათ გადაჭარბებული ნათქვამია, რადგან „რასინგთან" მატჩის მსგავსად ის ორთაბრძოლაც საყაიმო შედეგით დასრულდა. მიმდინარე სეზონის კიდევ ერთი სანაკრებო პაუზა კატალონიელებისთვის ისევ წარუმატებელი გამოდგა. „ბარსა" „ბეტისთან" გასვლით შეხვედრაში 2:0 აგებდა, მაგრამ **ეტოოს** დუბლის წყალობით 3 ქულის დაკარგვას გადაურჩა. ერთადერთი ნათელი წერტილი „ბილბაოს" წინააღმდეგ ჩატარებული მატჩი გახლდათ. გვარდიოლას ვარსკვლავებმა ის თამაში მინიმალური სხვაობით 1:0 მოიგეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გუნდების დაპირისპირება 2008 წლის ოქტომბერში შედგა, მაშინ, როცა სეზონი ახალი დაწყებული იყო და ფეხბურთელები გადაღლილობას არ უჩიოდნენ. „ბარსას" რიგით მეხუთე გამოცდის ჩაბარება უწევს. შესაძლოა, ეს ყველაზე მძიმე და რთული თამაში აღმოჩნდეს. ამის მიზეზი ის არის, რომ კატალონიური გრანდის თითქმის ყველა ლეგიონერი ნაკრებიდან მიკროტრავმებით დაბრუნდა. თავად განსაჯეთ, პარასკევს დილით გვარდიოლამ ტრადიციული ვარჯიში ჩვეულ დროს ვერ დაიწყო იმიტომ, რომ ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად რამდენიმე წევრს ფეხი სტკიოდა. **რაფაელ მარკესს** კოჭი ჰქონდა გასიებული, **დანიელ ალვეში** ბარძაყის კუნთის დაჭიმულობას უჩიოდა, პრობლემები შეექმნა ახალგაზრდა **სერხიო ბუსკეტსს.** მართალია, ესპანეთის ნაკრებში მას დიდი დატვირთვა არ ჰქონია, მაგრამ გვარდიოლასთვის ეს დიდი ვერაფერი შვებაა. მით უმეტეს, რომ მიკროტრავმა **ჩავი ერნანდესსაც** აწუხებს. **ლეო მესის** რაც შეეხება. მას ტრავმა არ აქვს, მაგრამ „ვალიადოლიდის" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში, ალბათ, მაინც ვერ მოხვდება. მიზეზი გადაღლაა. თავად განსაჯეთ, რამდენიმედღიან მონაკვეთში მესიმ თითქმის მთელ დედამიწას შემოუარა. ჯერ ევროპიდან არგენტინაში გაფრინდა და ბუენოს აირესში ვენესუელას დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა, შემდეგ კი ბოლივიას გაემგზავრა. მაღალმთიან ლა პასში ალბისელესტეს კატასტროფა შეემთხვა. ლეო კატალონიაში კი დაბრუნდა, მაგრამ ისეთი დაღლილია, „ვალიადოლიდთან" მის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას აზრი არ აქვს. მით უმეტეს, „ბარსას" მალე ჩემპიონთა ლიგაში უმნიშვნელოვანესი მატჩების გამართვა მოუწევს. გვარდიოლას, რა თქმა უნდა, ურჩევნია, ლეო დაასვენოს და „ბაიერნისთვის" შემოინახოს.

მხოლოდ უარყოფით საკითხებზე რომ არ ვისაუბროთ, აქვე ერთი კარგი ამბავიც უნდა გამცნოთ. „ბარსელონას" **კარლეს პუიოლი** და **ანდრეს ინიესტა** დაუბრუნდნენ. ექიმების მტკიცებით, ორივე ვარსკვლავი ბოლომდე გამოჯანმრთელდა და მთავარ მწვრთნელს მათი მაქსიმალურად დატვირთვა შეუძლია. მწვანე შუქის ანთების მიუხედავად პეპი ინიესტას ძირითად შემადგენლობაში დაყენებას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში გუშინ ასეთი ინფორმაცია ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, ანდრესს სრული რეაბილიტაციისთვის

»»» 9




გამოვიდა ახალი ნომერი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის წინ

# დაუნდობელი ბრძოლა ვერცხლის სინისთვის

## კლინსმანს დესპოტი ფელიქსის არ ეშინია!



მთელი ყურადღება ვოლფსბურგისკენ: იურგენ კლინსმანი ფელიქს მაგათის წინააღმდეგ

| გუშინ | |
|---|---|
| არმინია-შალკე | 0:2 |
| **დღეს** | |
| ვოლფსბურგი-ბაიერნი | 17:30 |
| ბოხუმი-შტუტგარტი | 17:30 |
| ჰერტა-ბორუსია (დ) | 17:30 |
| აინტრახტი-კოტბუსი | 17:30 |
| ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი | 17:30 |
| **ხვალ** | |
| კიოლნი-ლევერკუზენი | 19:00 |
| ვერდერი-ჰანოვერი | 19:00 |
| კარლსრუე-ბორუსია (მ) | 19:00 |

ორკვირიანი სანაკრებო პაუზის შემდეგ, ბუნდესლიგა სამი ძალიან საინტერესო ჯახით გვიბრუნდება, რომელთაგანაც ერთი განსაკუთრებით საინტერესო და დამაინტრიგებელია - „ვოლფსბურგი"-"ბაიერნი". ზოგადად კი, ხუთი ტოპგუნდი ერთმანეთში თამაშობს.

დავიწყოთ, რა თქმა უნდა, ტურის და ზოგადად სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრით. **ფელიქს მაგათი** (2007 წელს რეკორდმაისტერიდან ორ სეზონში დუბლის შესრულების შემდეგ გაათავისუფლეს), თავისი გუნდით „ბაიერნს" მასპინძლობს და „დესპოტი ფელიქსი" ორი ძალიან საინტერესო სერიით იწონებს თავს: „მგლები" საკუთარ მოედანზე (36-დან, 34 ქულა) და მეორე წრეში (22 ქულა 24-დან) დაუმარცხებლები არიან! თვითონ მაგათი გერმანიის ჩემპიონობაზე (ჯერ) არ საუბრობს და როდესაც „ვერცხლის სინზე" ეკითხებიან, ასე პასუხობს: *„ბაიერნთან" მატჩის შემდეგ მკითხეთ!"* არადა, გუნდი ლიდერ „ჰერტას" სულ რაღაც ერთი ქულით ჩამორჩება და ესეც არ იყოს, ცნობილი ამბავია, რომ „ვოლფსბურგის" შეფებმა უკვე გამოყვეს პრემია ბუნდესლიგის მოგებისთვის: 2 მილიონი გუნდს, 500 000 მაგათს.

„ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** „დესპოტ ფელიქსს" ძალიან უფრთხის: *„მაგათი ძველი მწვალებელი, ნამდვილი ჯალათია. მე მას უმთავრეს კონკურენტად მივიჩნევ. ვოლფსბურგში თუ მოვიგებთ, ჩათვალეთ, რომ „ბაიერნი" ჩემპიონია. მეტსაც გეტყვით, ჩვენ არც ფრეზე ვიტყოდით უარს!"*

აღსანიშნავია, რომ რეკორდმაისტერს ზედიზედ სამი მოგება აქვს და თანაც, **იურგენ კლინსმანს ლუკა ტონი** გამოუჯანმრთელდა და ოთხშაბათს, „ბაიერნის" 19-წლამდელთა გუნდთან ტესტმატჩში (6:1) იტალიელმა ჰეთ-თრიკიც კი შეასრულა. ორივე გუნდს 48 ქულა აქვს და გატანილ-გაშვებული გოლების რაოდენობაც ერთნაირია: 53-31. თუკი „ვოლფსბურგი" ბუნდესლიგაში საუკეთესო საშინაო გუნდია, ბავარიელები სტუმრად არიან ყველაზე შედეგიანები, რაც ამ მატჩს ინტრიგას უათმაგებს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეკორდმაისტერისთვის ნორმალური ამბავია, „მგლებისთვის" კი სასიამოვნო, სენსაციური სიახლე. მაგათს დღესაც თავისი მაგიური ტრიოს, **მიშიმოვიჩი-გრაფიტე-ჯეკოს** იმედი აქვს - ამ სამეულის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში ხომ 37 გოლი და 28 საგოლე პასია. გრაფიტე კი სულაც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია 18 გოლით. აქვე გეტყვით, რომ ბრაზილიელი ხუთშაბათს 30 წლის გახდა, მაგრამ დაბადების დღე ჯერ არ აღუნიშნავს. ზეიმი შაბათისთვის გადადო...

მეოთხე ადგილზე მყოფი „ჰამბურგი" (48 ქულა), მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითებულ „ჰოფენჰაიმს" დაუხვდება და შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ამ ორ გუნდს შორის ზამთარში გამართული ტესტმატჩი, რომელშიც ჰამბურგელი **ივიცა ოლიჩი** და ჰოფენჰაიმელი **კარლოს ედუარდო** ერთმანეთს ხელდახელ შეებნენ, რის გამოც ორივე წითელი ბარათითა და ბუნდესლიგაში ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. დღეს ოლიჩი და კარლოს ედუარდო ერთმანეთს ისევ შეხვდებიან! ივიცა ამბობს, ის შემთხვევა აღარც კი მახსოვს და ვალიარებ, რომ ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მომენტი იყო, კარლოს ედუარდოსთვის არ უნდა დამერტყაო. იმავე აზრზეა „სოფლელი" ბრაზილიელიც, რომელიც ამბობს, მატჩის წინ ოლიჩს სიამოვნებით ჩამოვართმევ ხელს, მაგრამ მასთან ერთად ლუდის დალევას არ ვაპირებ, ჩვენი მეგობრობა გამორიცხულიაო.

მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომის ჩემპიონი „ჰოფენჰაიმი" მეორე წრეში მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა, მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** დანებებას არ აპირებს. *„როგორც ჩანს, სერიოზულად აღარ გვიყურებენ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ჩვენთვის ცუდი იყოს!"* - აცხადებს „პროფესორი რალფი", რომლის შეგირდებს მეორე წრეში ერთი თამაშიც კი არ მოუგიათ.

თუკი „ბაიერნისა" და „ვოლფსბურგის" ბრძოლა ფრედ დამთავრდება, ეს ყველაზე მეტად „ჰამბურგს" (ასევე 48 ქულა) აწყობს - **მარტინ იოლის** გუნდი ალესილია და „ჰოფენჰაიმის" დამარცხებას გეგმავს. ჩრდილოგერმანელთა მხრიდან კითხვის ნიშნის ქვეშაა **იანსენისა** და **დემელის** თამაში (ორივეს ტრავმა აქვს). რანგნიკს კი ლაზარეთიდან **დემბა ბა, სალიჰოვიჩი** და **ობასი ოგბუკე** უბრუნდებიან. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი შევსებაა, რადგან ამ ტრიოს ანგარიშზე 23 გოლია (სულ „ჰოფენჰაიმს" 52 გოლი აქვს გატანილი).

საკუთარ მოედანზე „ვოლფსბურგზე" არანაკლებ კარგად გამოიყურება ბერლინის „ჰერტაც". ლიდერს ზედიზედ ათი საშინაო მატჩი აქვს მოგებული და დღეს დედაქალაქელები მეცხრეადგილოსან „დორტმუნდს" მასპინძლობენ. „ჰერტაში" ერთ მთავარ კითხვას ამ კვირაში გაეცა პასუხი: თუკი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, **ანდრეი ვორონინი** (8 გოლი მეორე წრეში) „ლივერპულში" დაბრუნდება. ასეთ შემთხვევაში, ბერლინელები მისი ტრანსფერის დაფინანსებას ვერ შეძლებენ. ასე რომ, „ჰერტა" ჩემპიონთა ლიგის საგზურის იმედადაა, თვითონ უკრაინელს კი სჯერა, რომ ბერლინი სეზონის ბოლოს გერმანიის ჩემპიონობას იზეიმებს და აცხადებს, ჩემპიონები რომ გავხდეთ, კიკინას ლურჯად შევიღებავო...

მაგრამ „ჰერტას" თავკაც **ლუსიენ ფავრს** ნერვიულობა ელის, რადგან დიდი შანსია, რომ დღეს ვორონინმა მოედანზე გასვლა ვერ შეძლოს - ანდრეი უკრაინის ნაკრებიდან ტრავმირებული დაბრუნდა. თუმცა ექიმები ფავრს აიმედებენ, რომ დღეს საღამომდე მთავარი გოლეადორი მწყობრში ეყოლება. „ბორუსიას" მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლოპს** კი 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი **კევინ-პრინს ბოატენგი** ტრავმის, ხოლო **ტინგა** კი დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლება. ამ უკანასკნელის ადგილს **ფლორიან კრინგე** დაიკავებს.

დღესვე ხუთეულისკენ სწრაფვას განაგრძობს „შტუტგარტი" - **მარკუს ბაბელის** შეგირდები ბოხუმში ჩადიან და ხვდებიან გუნდს, რომელიც გასავარდნ ზონასთან ახლოსაა და ქულები ჰაერივით ესაჭიროება. ზუსტად ისე, როგორც ფრანკფურტის „აინტრახტსა" და „კოტბუსს", რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან.

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან ხსნა „კარლსრუესა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" დაპირისპირების უმთავრესი ამოცანა და ინტრიგაა. ეს **ალექსანდრე იაშვილის** გუნდისთვის კიდევ ერთი „ფინალია". ბადენელთა მთავარი მწვრთნელი **ედმუნდ ბეკერიც** ამბობს, „გლადბახთან" რომ წავაგოთ, ეს უკვე რეალური ნიშანი იქნება იმისა, რომ მომავალ სეზონში მეორე ლიგაში ვითამაშებთო. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „კარლსრუე" ხვალ სამ ქულას მოიპოვებს, იაშვილის გუნდის გადარჩენა გაცილებით რეალური იქნება. მაგრამ „გლადბახსაც" გადასარჩენად აქვს საქმე - **ჰანს მაიერის** გუნდიც გასავარდ ზონაშია და საზღვარსიქით მყოფ „არმინიას" 2 ქულით ჩამორჩება. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ვინ უნდა გაიტანოს გოლი „კარლსრუედან"? 6 თამაშია, ბადენელებს მეტოქის კარის ბადე არ შეურხევიათ! ბეკერს ექვსი ფორვარდი ჰყავს (**ფრაისი, კაპლანი, ტიმი, იაშვილი, ზალიკი** და **კენედი**), რომელთაგანაც საუკეთესო დუეტი უნდა ამოარჩიოს, ოღონდ მხოლოდ ალღოს მეშვეობით, რადგან სტატისტიკურად, ამ სეზონში არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა ბომბარდირობის ნიჭი. „გლადბახის" თავკაცი მაიერი კი ლიდერ **მარკო მარინს** ვერ დაიხმარს (დისკვალიფიკაცია), რომელსაც სასტარტო შემადგენლობაში ვეტერანი **ოლივერ ნოივილი** შეცვლის. ვერ ითამაშებს გოლეადორი **რობ ფრენდიც** (ტრავმა) და მის ნაცვლად სავარაუდოდ **კოლაუტის** ვიხილავთ.

კიოლნში რაინის დერბია: ერთმანეთს მოსისხლე მტრები, „კიოლნი" და „ლევერკუზენი" ხვდებიან. „თხების" მწვრთნელი **კრისტოფ დაუმი** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ბუნდესლიგაში რიგით მეორასე გამარჯვებას (მწვრთნელის რანგში) გეგმავს. საინტერესოა ბომბარდირების, **მილოვოე ნოვაკოვიჩისა** (კიოლნი, 14 გოლი) და **პატრიკ ჰელმესის** (ლევერკუზენი, 17 გოლი) დუელი. ამ უკანასკნელს ხუთი ტურია, არ გაუტანია! **ბრუნო ლაბადიას** გუნდს კრიზისი აქვს და ევროტურნირების საგზურის გარეშე დარჩენის საფრთხე ემუქრება.

კვირის მესამე მატჩი კი „ვერდერისა" და „ჰანოვერის" ჯახია. ბრემენელებს (მე-10 ადგილი, 32 ქულა) ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ უეფას თასის საგზურისთვის გაიბრძოლებენ - მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ხუთეულთან ჩამორჩენა 12 ქულას შეადგენს.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 25 | 15 | 4 | 6 | 39-29 | 49 |
| 2. ბაიერნი | 25 | 14 | 6 | 5 | 53-31 | 48 |
| 3. ვოლფსბურგი | 25 | 14 | 6 | 5 | 53-31 | 48 |
| 4. ჰამბურგი | 25 | 15 | 3 | 7 | 39-36 | 48 |
| 5. ჰოფენჰაიმი | 25 | 12 | 8 | 5 | 52-34 | 44 |
| 6. შტუტგარტი | 25 | 12 | 6 | 7 | 44-36 | 42 |
| 7. შალკე | 26 | 11 | 7 | 8 | 36-27 | 40 |
| 8. ლევერკუზენი | 25 | 11 | 5 | 9 | 46-33 | 38 |
| 9. ბორუსია (დ) | 25 | 8 | 13 | 4 | 37-31 | 37 |
| 10. ვერდერი | 25 | 8 | 8 | 9 | 46-35 | 32 |
| 11. კიოლნი | 25 | 8 | 5 | 11 | 29-35 | 32 |
| 12. აინტრახტი | 25 | 6 | 8 | 11 | 30-39 | 26 |
| 13. ჰანოვერი | 25 | 6 | 8 | 11 | 35-52 | 26 |
| 14. ბოხუმი | 25 | 5 | 10 | 10 | 29-40 | 25 |
| 15. არმინია | 26 | 4 | 12 | 10 | 21-38 | 24 |
| 16. ბორუსია (მ) | 25 | 6 | 4 | 15 | 32-47 | 22 |
| 17. კოტბუსი | 25 | 5 | 5 | 15 | 21-44 | 20 |
| 18. კარლსრუე | 25 | 5 | 2 | 18 | 18-42 | 17 |

ვოლფსბურგი vs ბაიერნი

# მაგათის მახათი უკეთესი თავდასხმაა!

## დღის კითხვა: დააშამათებს ფელიქსი კლინსმანს?



**როგორ** მოხდა ისე, რომ 25 ტურის შემდეგ, „ვოლფსბურგსაც“ ზუსტად ისეთივე ბალანსი აქვს, როგორც „ბაიერნს“ (48 ქულა, ბურთების შეფარდება 53-31)? ეს დიდი გამოცანაა. ფაქტი ის არის, რომ „მგლებიც“ და ბავარიელებიც გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვიან და რომ რეკორდმაისტერისთვის ვოლფსბურგში ნაგება (განსაკუთრებით „ბარსელონასთან“ მატჩის წინ) უდიდესი დარტყმა იქნებოდა. მაშ ასე, „მწვანე“ „წითლის“ წინააღმდეგ, „ბაიერნის“ ექსთავკაცი ფელიქს მაგათი, იურგენ კლინსმანის პირისპირ.

### თავდამსხმელები

მაგათს კლინსმანზე გაცილებით შედეგიანი თავდამსხმელები ჰყავს: **გრაფიტეს** 18 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავას ტრავმირებულ **ვედად იბიშევიჩთან** ერთად სათავეში უდგას, **ედინ ჯეკოს** ანგარიშზე კი 13 გოლია. „ბაიერნის“ საუკეთესო ფორვარდი კი **მიროსლავ კლოზეა** 10 გოლით, რომელიც ახლა ტრავმირებული გახლავთ და დღეს ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, **ლუკა ტონი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ იტალიელს ამ სეზონში მხოლოდ 9 გოლი აქვს გატანილი („ვოლფსბურგის“ მეორე ფორვარდ ჯეკოზე 4 გოლით ნაკლები). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბაიერნის“ ყოფილი ფეხბურთელი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** „ვოლფსბურგის“ ღირსებას იცავს და მას ამ სეზონში 5 გოლი აქვს, 15 (!) საგოლე პასთან ერთად, რაც ბუნდესლიგაში საუკეთესო შედეგია! ერთი სიტყვით, წინა ხაზში მაგათს დიდი უპირატესობა აქვს.

### გატანილი გოლების სტატისტიკა

ბავარიელებმა ამ სეზონში მეტოქეთა კარისკენ 463-ჯერ დაარტყეს, რაც ბუნდესლიგაში საუკეთესო შედეგია! ვოლფსბურგელებმა კი თავიანთი მეტოქეების კარისკენ მხოლოდ 343-ჯერ გაისროლეს. სამაგიეროდ, ერთი გოლის გატანისთვის „ვოლფსბურგს“ საშუალოდ 6.6 მცდელობა სჭირდებოდა, „ბაიერნს“ კი 8.7. რეკორდმაისტერს დღემდე 78 რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა, რომელთაგანაც მხოლოდ 31 გამოიყენა. „მგლებს“ კი 66 რეალური მომენტი შეექმნათ და აქედან 39 გამოიყენეს.

### გაშვებული გოლების სტატისტიკა

სტანდარტული მდგომარეობებიდან „ვოლფსბურგმა“ 7 გოლი გაუშვა, „ბაიერნმა“ კი 9. ბავარიელებმა მარცხენა ფლანგიდან (მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენელთა მარცხენა მცველი **ფილიპ ლამია**) 12 გოლი მიიღეს, „ვოლფებმა“ კი (**მარსელ შეფერი**) მხოლოდ 3. „ბაიერნმა“ მარჯვენა ფლანგიდან (**ლელი, ოდო**) 3 გოლი გაუშვა, „ვოლფსბურგმა“ (**რიტერი, პეკარიკი, ძაკარდო**) ექვსით მეტი. საერთოდ, „ბაიერნის“ მეტოქეებს 35 რეალური საგოლე მომენტი შეექმნათ, „ვოლფსბურგის“ მეტოქეებს კი 36. აქედან, მეკარე **რენზინგმა** 5 მომენტი გაუვნებელყო, მისმა ვოლფსბურგელმა კოლეგა **ბენალიომ** კი - 9.

### სატრანსფერო დანახარჯები

ამ სეზონის დაწყებამდე და ზამთარში „ვოლფსბურგმა“ ტრანსფერებისთვის 33.65 მილიონი ევრო დახარჯა (აქედან 14 მილიონი **ბარძალიში**, 7 მილიონი ძაკარდოში), „ბაიერნს“ არც ზაფხულში და არც ზამთარში ერთი ცენტიც არ დაუხარჯავს (**ბუტი** და **ბოროვსკი** უფასოდ გადაიბირეს).

### ნაკრების წევრები

ნაკრების წევრები ორივე გუნდს მრავლად ჰყავს: „ვოლფსბურგს“ 12, „ბაიერნს“ 16. და ორივე გუნდს ჰყავს ორ-ორი მსოფლიოს ჩემპიონი, რომლებიც, რა თქმა უნდა, იტალიელები არიან: „მგლებს“ ანდრეა ბარძალი და კრისტიან ძაკარდო, რეკორდმაისტერს კი ლუკა ტონი და მასიმო ოდო.

### რატომ უნდა მოიგოს ვოლფსბურგმა?

* „ვოლფსბურგს“ შანსების გამოყენების უკეთესი მაჩვენებელი აქვს: 19.4 პროცენტი.
* „ვოლფსბურგმა“ სტანდარტული მდგომარეობებიდან უფრო ცოტა გოლი გაუშვა: 6.
* „ბაიერნს“ ვოლფსბურგში ჩატარებულ ბოლო სამ შეხვედრაში გოლი ვერ გაჰქონდა: 1 წაგება, 2 ფრე.
* „ვოლფსბურგმა“ შვიდმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო, რაც ამ გუნდის პირადი რეკორდია. ასეთი ხანგრძლივი მოგებათა სერია ამ სეზონში არც ერთ სხვა გერმანულ კლუბს არ ჰქონია.
* 2009 წელს „ვოლფსბურგს“ ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი გოლი (18) აქვს გატანილი.
* მაგათის გუნდს ბუნდესლიგაში ყველაზე ხანგრძლივი წაუგებელი სერია აქვს: ზოგადად რვამატჩიანი, საკუთარ მოედანზე კი 14 მატჩიანი.
* „ვოლფსბურგმა“ ბოლო 10 საშინაო თამაში მოიგო!
* შარშან, ბუნდესლიგის 31-ე ტურში „ვოლფსბურგმა“ საკუთარ მოედანზე „ბაიერნთან“ 0:0 ითამაშა და მას მერე „მგლებს“ საკუთარ მოედანზე ყოველთვის გაჰქონდათ გოლები და მხოლოდ ერთხელ გაიტანეს ერთი ბურთი.

### რატომ უნდა მოიგოს ბაიერნმა?

* კლინსმანის გუნდმა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტჯერ დაარტყა მეტოქეების კარისკენ (საშუალო 18-ჯერ ერთ თამაშში).
* მიუნხენელებმა ორთაბრძოლების 54.8 პროცენტი მოიგეს, რაც ბუნდესლიგაში საუკეთესო შედეგია.
* „ვოლფსბურგთან“ 23 დუელიდან „ბაიერნი“ მხოლოდ 2-ჯერ დამარცხდა და 17 მოიგო.
* „ბაიერნის“ დაცვა სტაბილური გახდა: ბოლო ოთხი მატჩიდან, სამში მიუნხენელებმა კარი მშრალად შეინახეს.
* პირველი წრის მატჩში (2008 წლის ოქტომბერში) „ვოლფები“ ჯეკოსა და გრაფიტეს გოლებით 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ „ბაიერნმა“ თამაში შემოატრიალა და 4:2 მოიგო.

### მაგათის სქემა ჭადრაკიდან

ფელიქს მაგათის უპირველესი ჰობი ჭადრაკის თამაშია. ამიტომაც არის 55 წლის ფელიქსი უძლიერესი სტრატეგი და ტაქტიკოსი, რომელსაც ძალიან უნდა, რომ დღეს თავისი რეალური ძალა „ბაიერნსაც“ აგრძნობინოს.

*„უმეტესად თეთრებით ვთამაშობ ხოლმე!“* - ამბობს ფელიქსი, - *„მიყვარს, როცა თამაშს მე ვიწყებ, ეს ჭადრაკში ნებისმიერ მოთამაშეს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.“* ფელიქსი თავის შეგირდებს ჭადრაკის ფიგურებს ადარებს.

**ტურები**: ცენტრალური მცველები ბარძალი (1.86 მეტრი) და **შიმუნეკი** (1.87 მეტრი). ორივე მაღალია, კარგად თამაშობენ მეორე სართულზე, ამასთან სწრაფებიც არიან და აღლოიანებიც, რაც ასე მნიშვნელოვანია ლუკა ტონისთან ბრძოლაში.

**ცხენები**: გუნდის ბრაზილიელი კაპიტანი **ჟოსუე** და **საშა რიტერი** - ვერცხლისწყალივით მოძრავი და დაუღლელი მორბენლები არიან. მაგათს იმედი აქვს, რომ ისინი **ფრანკ რიბერის** შეაჩერებენ.

**ოფიცრები**: მარჯვენა მცველი, სლოვაკი **პეტერ პეკარიკი** და მარცხენა მცველი მარსელ შეფერი. ისინი შეტევაში ძალიან ხშირად და სახიფათოდ ერთვებიან.

**მეფე**: ჭადრაკში ფაქტობრივად უმაქნისი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგათის სქემაში კი ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა: ბრაზილიელი გოლეადორი **გრაფიტე**.

**დედოფალი**: დირიჟორი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი**, რომელმაც თავისი მანევრულობით, უზადო ტექნიკით და გენიალური პასებით თავდამსხმელები უნდა მოამარაგოს.

მაგათს „ვოლფსბურგში“ ყველაფერი ისე აქვს გაწერილი და დაგეგმილი, როგორც ჭადრაკშია ხოლმე. ფელიქსი: *„ჭადრაკი გენიალური თამაშია, რადგან იქ შემთხვევითობაზე არაფერია დამოკიდებული. ფეხბურთშიც არაფერი ხდება შემთხვევით. ყველა მოძრაობა თუ შედეგი კანონზომიერია. ჩემი საფეხბურთო თეორიები ჭადრაკიდან მოდის!“*

სწორედ ასე სურს „დესპოტ ფელიქსს“ დღეს იურგენ კლინსმანის დაშამათება!

სავარაუდო შემადგენლობები:

**ვოლფსბურგი**: ბენალიო - პეკარიკი, შიმუნეკი, ბარძალი, მ. შეფერი - ჟოსუე - რიტერი, გენტნერი - მიშიმოვიჩი - გრაფიტე, ჯეკო.

**ბაიერნი**: რენზინგი - ლელი, ლუსიო, ბრენო, ლამი - შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, ზე რობერტო, რიბერი - ტონი, პოდოლსკი.

**გოტფრიდ ლენცი**

8 «««

დრო კიდევ სჭირდება. მთავარი მწვრთნელი, რა თქმა უნდა, ინიესტასაც „ბაიერნისთვის“ მოამზადებს.

მადრიდის „რეალი“ ჩემპიონობისთვის ბრძოლას იქამდე არ შეწყვეტს, სანამ დასახული ამოცანის გადაჭრის თეორიული შანსი მაინც ექნება. სამეფო კლუბს იმ „მალაგასთან“ მოუწევს ურთიერთობების გარკვევა, რომელიც წინა ტურში „ბარსელონასთან“ გაცამტვერდა. აღსანიშნავია, რომ ყბადაღებული ფიფას ვირუსი **ხუანდე რამოსსაც** უქმნის პრობლემას. ნაკრებგამოვლილი ბიჭები დაღლილი და არაქათგამოცლილი არიან. ყველაზე სავალალოდ **ფერნანდო გაგო** გამოიყურება. არგენტინელ ნახევარმცველს ალბისელესტეში ჩატარებულმა ორმა შეხვედრამ დაღი დაასვა. ხუმრობა ხომ არ არის, ერთ კვირაში ოკეანის ორჯერ გადალახვა და თანაც მაღალმთიან ლა პასში თამაში. გაგო თავად აღიარებს, საუკეთესო ფორმაში არ ვარო, მაგრამ ხუანდეს სხვა გამოსავალი არ აქვს. ის მაინც უნდა ათამაშოს. მადრიდელებს გუშინ სამედიცინო შტაბიდან ძალიან უსიამოვნო ინფორმაცია შეატყობინეს. **არიენ რობენს** ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. ექიმებმა მას არათუ თამაში, ვარჯიშიც კი აუკრძალეს. ჰოლანდიელი გარემარბის მომდევნო ტურში ასპარეზობა გამორიცხულია. „დიარიო მარკას“ ინფორმაციით, ანდალუსიაში **მარსელოც** ვერ ითამაშებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ბრაზილიელი მცველი სელესაოდან მიკროტრავმით დაბრუნდა. საკადრო პრობლემებს **გაბრიელ ჰაინცეს** დისკვალიფიკაცია კიდევ უფრო აღრმავებს. სენიორ რამოსს მხოლოდ და მხოლოდ **გუტის** დაბრუნება თუ გაახარებს. ხოსე მარიამ ტრავმა მოიშუშა და ბოლო ორი ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა.

უელვაში ანდალუსიური დერბი გაიმართება. „რეკრეატივო“ „სევილიას“ უმასპინძლებს და ბოლო წლების ავბედითი ტრადიციის დამსხვრევას შეეცდება. საქმე ის არის, რომ ამ გუნდების ბოლო 5 შეხვედრიდან ხუთივე „სევილიას“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. **მანოლო ხიმენესი** ამჯერადაც ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ მისი ბიჭები „რეკრეატივოს“ ზედიზედ მეექვსედ დაამარცხებენ“ „ვილიარეალი“ უდიდესი გამოწვევების წინაშე იმყოფება. მოგეხსენებათ, ეს პროვინციული კლუბი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა და „არსენალს“ გადაეყარა. მთავარი მწვრთნელი, **მანუელ პელეგრინი** აცხადებს, რომ მისთვის ჩემპიონთა ლიგა და პრიმერა დივიზიონი თანაბრად მნიშვნელოვანია. ამიტომ ჩილელი სპეციალისტი ძირითადი შემადგენლობის ბიჭების დაზოგვას არ აპირებს. „ვილიარეალი“ „ალმერიასთან“ საბრძოლო შემადგენლობით ითამაშებს. მოედანზე გასვლას მხოლოდ ტრავმირებული მოთამაშეები ვერ მოახერხებენ. უკან დახევას არც **უგო სანჩესი** აპირებს. მექსიკელი მწვრთნელი პირდაპირ ამბობს, „ვილიარეალთან“ გასამართი მატჩი ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანიაო. ძნელი სათქმელია, მადრიდის „რეალის“ ლეგენდარული ფორვარდი ამ დასკვნამდე რატომ მივიდა, მაგრამ ფაქტია, სენიორ უგო სანჩესი „ვილიარეალთან“ მატჩს მართლაც უდიდესი სერიოზულობით ეკიდება და მისი დამარცხებისთვის ემზადება. მასპინძლებს სერიოზული დანაკლისი აქვთ. ბრაზილიელმა გოლკიპერმა **დიეგო ალვეშმა** გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო და თამაშგარეში აღმოჩნდა. სხვათა შორის, საკადრო პრობლემები მანუელ პელეგრინისაც აქვს. სხვადასხვა სიმძიმის ტრავმის გამო მას **კანი, სენა** და **იბაგასა** ვერ დაეხმარებიან.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 28 | 22 | 3 | 3 | 84-24 | 69 |
| 2. რეალი | 28 | 20 | 3 | 5 | 66-31 | 63 |
| 3. სევილია | 28 | 16 | 6 | 6 | 42-26 | 54 |
| 4. ვილიარეალი | 28 | 13 | 9 | 6 | 45-37 | 48 |
| 5. ატლეტიკო | 28 | 12 | 7 | 9 | 56-43 | 43 |
| 6. ვალენსია | 28 | 12 | 7 | 9 | 48-40 | 43 |
| 7. დეპორტივო | 28 | 12 | 7 | 9 | 37-37 | 43 |
| 8. მალაგა | 28 | 12 | 7 | 9 | 45-46 | 43 |
| 9. ვალიადოლიდი | 28 | 12 | 3 | 13 | 42-46 | 39 |
| 10. რასინგი | 28 | 8 | 9 | 11 | 34-35 | 33 |
| 11. სპორტინგი | 28 | 11 | 0 | 17 | 36-59 | 33 |
| 12. მალიორკა | 28 | 8 | 8 | 12 | 33-46 | 32 |
| 13. ალმერია | 28 | 8 | 7 | 13 | 33-46 | 31 |
| 14. ხეტაფე | 28 | 7 | 10 | 11 | 38-42 | 31 |
| 15. ბილბაო | 28 | 8 | 7 | 13 | 37-48 | 31 |
| 16. რეკრეატივო | 28 | 7 | 9 | 12 | 27-40 | 30 |
| 17. ბეტისი | 28 | 7 | 9 | 12 | 38-44 | 30 |
| 18. ოსასუნა | 28 | 6 | 11 | 11 | 28-33 | 29 |
| 19. ნუმანსია | 28 | 8 | 2 | 18 | 30-56 | 26 |
| 20. ესპანიოლი | 28 | 4 | 10 | 14 | 25-45 | 22 |




თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

William HILL
უილიამ ჰილის კოეფიციენტები

## ინგლისი. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Blackburn-Tottenham | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Arsenal-Man City | 1.44 | 3.60 | 6.50 |
| 4 Apr 09 | Bolton-Middlesbrough | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 4 Apr 09 | Hull-Portsmouth | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Newcastle-Chelsea | 5.00 | 3.50 | 1.57 |
| 4 Apr 09 | West Brom-Stoke | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 4 Apr 09 | West Ham-Sunderland | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Fulham-Liverpool | 5.00 | 3.50 | 1.57 |
| 5 Apr 09 | Everton-Wigan | 1.73 | 3.20 | 4.33 |
| 5 Apr 09 | Man Utd-Aston Villa | 1.36 | 3.75 | 8.00 |

## ინგლისი. ჩემპიონატი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Barnsley-Nottm Forest | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Blackpool-Plymouth | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Coventry-Reading | 2.90 | 3.20 | 2.15 |
| 4 Apr 09 | Derby-Burnley | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Doncaster-Watford | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Norwich-Sheff Wed | 2.05 | 3.20 | 3.10 |
| 4 Apr 09 | QPR-C Palace | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Sheff Utd-Ipswich | 1.83 | 3.20 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Southampton-Charlton | 1.91 | 3.40 | 3.25 |
| 4 Apr 09 | Bristol City-Preston | 2.15 | 3.20 | 2.90 |
| 5 Apr 09 | Cardiff-Swansea | 1.95 | 3.10 | 3.50 |

## ინგლისი. I ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Cheltenham-Leyton | 2.37 | 3.30 | 2.50 |
| 4 Apr 09 | Colchester-Leeds | 2.80 | 3.20 | 2.20 |
| 4 Apr 09 | Hartlepool-Hereford | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Huddersfield-Southend | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Leicester-Carlisle | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 4 Apr 09 | Millwall-Walsall | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 4 Apr 09 | MK Dons-Brighton | 1.57 | 3.50 | 5.00 |
| 4 Apr 09 | Oldham-Peterborough | 2.75 | 3.20 | 2.25 |
| 4 Apr 09 | Stockport-Yeovil | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 4 Apr 09 | Swindon-Crewe | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 5 Apr 09 | Tranmere-Br.Rovers | 1.83 | 3.20 | 3.75 |

## ინგლისი. II ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Accrington-Lincoln | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 4 Apr 09 | Aldershot-Rotherham | 2.60 | 3.10 | 2.40 |
| 4 Apr 09 | Bournemouth-Rochdale | 2.62 | 3.20 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Bradford-Brentford | 2.25 | 3.20 | 2.75 |
| 4 Apr 09 | Darlington-Morecambe | 2.15 | 3.30 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Exeter-Dag & Red | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Gillingham-Barnet | 1.61 | 3.50 | 4.50 |
| 4 Apr 09 | Macclesfield-Chesterfield | 2.80 | 3.20 | 2.20 |
| 4 Apr 09 | Notts County-Chester | 1.67 | 3.40 | 4.33 |
| 4 Apr 09 | Port Vale-Bury | 3.00 | 3.20 | 2.10 |
| 4 Apr 09 | Shrewsbury-Grimsby | 1.67 | 3.40 | 4.33 |

## შოტლანდია. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Dundee Utd-Hibernian | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Celtic-Hamilton | 1.17 | 5.50 | 12.00 |
| 4 Apr 09 | Hearts-Kilmarnock | 1.53 | 3.50 | 5.50 |
| 4 Apr 09 | Inverness-St Mirren | 2.05 | 3.20 | 3.10 |
| 4 Apr 09 | Motherwell-Aberdeen | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Falkirk-Rangers | 7.00 | 4.00 | 1.36 |

## შოტლანდია. I დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Airdrie-Dunfermline | 2.60 | 3.30 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Clyde-Livingston | 2.62 | 3.50 | 2.20 |
| 4 Apr 09 | Morton-Dundee | 2.40 | 3.40 | 2.40 |
| 4 Apr 09 | Queen-Ross County | 2.20 | 3.30 | 2.70 |
| 4 Apr 09 | St Johnstone-Partick | 1.83 | 3.40 | 3.50 |

## შოტლანდია. II დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Alloa-Peterhead | 2.50 | 3.40 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Ayr-Stirling | 1.61 | 3.60 | 4.33 |
| 4 Apr 09 | Brechin-Queens Park | 1.91 | 3.50 | 3.20 |
| 4 Apr 09 | East Fife-Arbroath | 1.91 | 3.50 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Stranraer-Raith | 9.00 | 5.50 | 1.20 |

## შოტლანდია. III დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Annan Ath-Montrose | 1.91 | 3.50 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Berwick-Albion | 2.00 | 3.40 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Cowdenbeath-Elgin | 1.20 | 5.50 | 9.00 |
| 4 Apr 09 | Forfar-East Stirling | 2.50 | 3.40 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Stenhousemuir-Dumbarton | 2.50 | 3.40 | 2.30 |

## იტალია სერია A

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5 Apr 09 | Primorje-Drava | 1.90 | 3.15 | 3.60 |
| 5 Apr 09 | Atalanta-Fiorentina | 2.50 | 2.90 | 2.62 |
| 5 Apr 09 | Juventus-Chievo | 1.30 | 4.20 | 8.50 |
| 5 Apr 09 | Palermo-Torino | 1.67 | 3.30 | 4.50 |
| 5 Apr 09 | Cagliari-Catania | 1.91 | 3.00 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Reggina-Genoa | 2.90 | 2.90 | 2.30 |
| 5 Apr 09 | Siena-Lazio | 2.37 | 2.87 | 2.80 |
| 5 Apr 09 | Roma-Bologna | 1.44 | 3.60 | 6.50 |
| 5 Apr 09 | Sampdoria-Napoli | 1.91 | 3.00 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Udinese-Inter Milan | 4.33 | 3.20 | 1.73 |
| 5 Apr 09 | AC Milan-Lecce | 1.25 | 4.50 | 10.00 |

## ესპანეთი. პრიმერადივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Ath Bilbao-Mallorca | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Betis-Numancia | 1.57 | 3.50 | 5.00 |
| 4 Apr 09 | Rec de Huelva-Sevilla | 3.20 | 3.20 | 2.00 |
| 4 Apr 09 | Almeria-Villarreal | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Ap 09r | Valladolid-Barcelona | 6.50 | 4.00 | 1.40 |
| 4 Apr 09 | Malaga-Real Madrid | 4.00 | 3.40 | 1.73 |
| 5 Apr 09 | Atl Madrid-Osasuna | 1.61 | 3.50 | 4.50 |
| 5 Apr 09 | Espanyol-Deportivo | 2.25 | 3.20 | 2.75 |
| 5 Apr 09 | Valencia-Getafe | 1.73 | 3.40 | 4.00 |
| 5 Apr 09 | Gijon-Santander | 2.37 | 3.10 | 2.62 |

## ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Cordoba-Huesca | 2.35 | 2.90 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Las Palmas-Castellon | 2.25 | 2.90 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Rayo Vallecano-Tenerife | 2.15 | 2.90 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Real Sociedad-Gimnastic | 1.80 | 3.10 | 4.00 |
| 4 Apr 09 | Zaragoza-Girona | 1.50 | 3.30 | 6.50 |
| 5 Apr 09 | Murcia-Xerez | 2.50 | 2.90 | 2.60 |
| 5 Apr 09 | Albacete-Alicante | 1.85 | 3.00 | 4.00 |
| 5 Apr 09 | Levante-Eibar | 1.65 | 3.20 | 4.80 |
| 5 Apr 09 | Elche-Alaves | 1.90 | 3.00 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Hercules-Sevilla At. | 1.25 | 5.00 | 8.00 |
| 5 Apr 09 | Salamanca-Celta Vigo | 1.80 | 3.10 | 4.00 |

## გერმანია. ბუნდესლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | FrankfurtCottbus | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | HamburgHoffenheim | 1.73 | 3.40 | 4.00 |
| 4 Apr 09 | BochumStuttgart | 2.75 | 3.20 | 2.25 |
| 4 Apr 09 | Hertha BerlinDortmund | 1.91 | 3.25 | 3.40 |
| 4 Apr 09 | WolfsburgBayern Munich | 2.60 | 3.10 | 2.40 |
| 5 Apr 09 | FC KolnLeverkusen | 2.90 | 3.20 | 2.15 |
| 5 Apr 09 | KarlsruheM'gladbach | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 5 Apr 09 | Werder BremenHannover | 1.40 | 3.75 | 7.00 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5 Apr 09 | 1860 Munich-Osnabruck | 1.70 | 3.30 | 4.20 |
| 5 Apr 09 | Aachen-Greuther Furth | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Hansa-FSV Frankfurt | 1.90 | 3.20 | 3.50 |
| 5 Apr 09 | Kaisersl.-Oberhausen | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| 5 Apr 09 | Wehen-St Pauli | 2.50 | 3.10 | 2.50 |

## საფრანგეთი I დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Grenoble-Lorient | 2.25 | 2.87 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Le Mans-Lyon | 4.00 | 3.00 | 1.83 |
| 4 Apr 09 | Monaco-Le Havre | 1.50 | 3.40 | 6.00 |
| 4 Apr 09 | Bordeaux-Nancy | 1.44 | 3.60 | 6.50 |
| 4 Apr 09 | Nantes-Lille | 2.75 | 2.90 | 2.40 |
| 4 Apr 09 | Valenciennes-Auxerre | 2.15 | 2.87 | 3.25 |
| 4 Apr 09 | Caen-Toulouse | 2.80 | 2.87 | 2.37 |
| 5 Apr 09 | Paris S.G.-Nice | 1.61 | 3.30 | 5.00 |
| 5 Apr 09 | Sochaux-Rennes | 2.60 | 2.80 | 2.60 |
| 5 Apr 09 | St Etienne-Marseille | 3.00 | 2.87 | 2.25 |

## საფრანგეთი II დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5 Apr 09 | Metz-Brest | 1.53 | 3.25 | 6.00 |
| 5 Apr 09 | Strasbourg-Ajaccio | 1.65 | 3.10 | 5.00 |
| 6 Apr 09 | Amiens-Lens | 2.90 | 2.90 | 2.30 |
| 5 Apr 09 | Metz-Brest | 1.53 | 3.25 | 6.00 |
| 5 Apr 09 | Strasbourg-Ajaccio | 1.65 | 3.10 | 5.00 |
| 6 Apr 09 | Amiens-Lens | 2.90 | 2.90 | 2.30 |

## ჰოლანდია. ერედივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Utrecht-Groningen | 2.30 | 3.30 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Heracles-Heerenveen | 3.75 | 3.30 | 1.80 |
| 4 Apr 09 | AZ Alkmaar-Den Haag | 1.14 | 6.00 | 12.00 |
| 4 Apr 09 | Sparta -PSV | 4.80 | 3.40 | 1.60 |
| 5 Apr 09 | Roda JC-Ajax | 5.50 | 3.60 | 1.50 |
| 5 Apr 09 | Vitesse-De Graafschap | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 5 Apr 09 | Willem II-NAC Breda | 2.62 | 3.30 | 2.25 |
| 5 Apr 09 | Volendam-Feyenoord | 3.75 | 3.20 | 1.83 |

## ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Banik Ostrava-Plzen | 1.67 | 3.40 | 4.33 |
| 4 Apr 09 | Zlin-Teplice | 2.62 | 2.87 | 2.50 |
| 5 Apr 09 | Jablonec-Ceske Budejovice | 1.70 | 3.30 | 4.33 |
| 5 Apr 09 | Bohemians -Pribram | 2.20 | 3.00 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Kladno-FC Brno | 2.62 | 2.87 | 2.50 |
| 5 Apr 09 | Mlada-Viktoria | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 5 Apr 09 | Olomouc-Slavia | 3.10 | 2.90 | 2.20 |

## იაპონი J-ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Gamba Osaka-Hiroshima | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| 4 Apr 09 | Kashima-Kyoto | 1.33 | 4.00 | 8.00 |
| 4 Apr 09 | Kawasaki-Nagoya | 2.37 | 3.10 | 2.62 |
| 4 Apr 09 | Niigata-Yokohama FM | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Urawa-Oita | 1.61 | 3.50 | 4.50 |
| 4 Apr 09 | Iwata-Tokyo | 2.62 | 3.10 | 2.37 |
| 4 Apr 09 | Kashiwa-Omiya | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Yamagata-Chiba | 2.15 | 3.20 | 2.87 |
| 5 Apr 09 | Kobe-Shimizu | 2.50 | 3.10 | 2.50 |

## აშშ. მეიჯორ ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Toronto FC-Seattle | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 5 Apr 09 | D. C. United-Dynamo | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | New England-Dallas | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Los Angeles-Colorado | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 5 Apr 09 | Chicago Fire-Red Bulls | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 5 Apr 09 | Kansas City-San Jose | 2.30 | 3.10 | 2.70 |

## პოლონეთი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | -Odra-Lechia Gdansk | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Cracovia-Ruch | 1.90 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | -Belchatow-Slask | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 4 Apr 09 | -Polonia-Polonia | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 5 Apr 09 | Jagiellonia-Lodz | 1.73 | 3.30 | 4.20 |
| 5 Apr 09 | Lech Poznan-Wisla | 1.95 | 3.20 | 3.30 |

## პორტუგალი. სუპერ ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Guimaraes-Porto | 3.80 | 3.15 | 1.85 |
| 5 Apr 09 | Maritimo-Trofense | 1.55 | 3.45 | 5.40 |
| 5 Apr 09 | Setubal-Braga | 3.10 | 2.90 | 2.20 |
| 5 Apr 09 | Naval-Pacos Ferreira | 2.10 | 2.90 | 3.30 |
| 5 Apr 09 | Leixoes-Sport. Lisbon | 3.90 | 3.20 | 1.80 |
| 5 Apr 09 | Amadora-Benfica | 4.90 | 3.40 | 1.60 |

## რუმინეთი I ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Poli Timisoara-Gloria | 1.15 | 5.75 | 13.00 |
| 4 Apr 09 | Arges Pitesti-Pandurii | 1.70 | 3.30 | 4.30 |
| 4 Apr 09 | CFR Cluj-Vaslui | 1.60 | 3.40 | 4.90 |
| 4 Apr 09 | Steaua-Gloria | 1.30 | 4.20 | 8.50 |
| 5 Apr 09 | Otelul-Craiova | 2.50 | 3.10 | 2.50 |
| 5 Apr 09 | FC Brasov-Gaz | 1.55 | 3.40 | 5.50 |

## რუსეთი. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Terek-Din. Moscow | 2.60 | 2.70 | 2.70 |
| 4 Apr 09 | Rubin-FC Moscow | 1.65 | 3.30 | 4.60 |
| 4 Apr 09 | Saturn-Kuban | 1.80 | 3.10 | 4.10 |
| 5 Apr 09 | Tomsk-Zenit | 3.60 | 2.90 | 2.00 |
| 5 Apr 09 | Lokomotiv-Kryliya | 1.95 | 2.90 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Amkar-CSKA Moscow | 3.80 | 3.00 | 1.90 |
| 5 Apr 09 | Spartak-Nalchik | 1.35 | 4.00 | 7.50 |

## სერბეთი სუპერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Borac Cacak-Jagodina | 1.70 | 3.10 | 4.70 |
| 4 Apr 09 | Red Star-Cukaricki | 1.20 | 5.20 | 10.00 |
| 4 Apr 09 | Javor-Rad | 1.90 | 3.00 | 3.80 |
| 4 Apr 09 | OFK Belgrade-Kula | 1.70 | 3.10 | 4.70 |
| 4 Apr 09 | Vojvodina-Napredak | 1.40 | 3.60 | 7.50 |
| 4 Apr 09 | Partizan Belgrade-Banat | 1.12 | 6.00 | 15.00 |

## სლოვაკეთი. სუპერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | FC Kosice-Ruzomberok | 1.90 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Art. Petrzalka-Tatran | 1.50 | 3.50 | 5.80 |
| 4 Apr 09 | Slovan-Banska Bystrica | 1.25 | 4.50 | 10.00 |
| 4 Apr 09 | Nitra-Dunajska Streda | 1.85 | 3.15 | 3.80 |
| 4 Apr 09 | Zilina-Zlate Moravce | 1.20 | 5.20 | 10.00 |
| 5 Apr 09 | Spartak Trnava-Dubnica | 1.40 | 3.75 | 7.00 |

## სლოვენია

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Domzale-Rudar Velenje | 1.55 | 3.50 | 5.20 |
| 4 Apr 09 | Nafta-Koper | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | NK Celje-NK Ljubljana | 2.00 | 3.15 | 3.25 |
| 4 Apr 09 | NK Maribor-Gorica | 1.45 | 3.60 | 6.50 |
| 5 Apr 09 | Primorje-Drava | 1.90 | 3.15 | 3.60 |

## ირლანდია. პრემიერ დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Rovers-Dundalk | 2.20 | 3.10 | 2.87 |

ინგლისის პრემიერლიგა XXX ტური



სტივ ჯერარდმა ლივერპულთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

# მთელი ყურადღება სენტ ჯეიმს პარკისაკენ

## ჯერარდმა ლივერპულთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

| დღეს | |
|---|---|
| ბლექბერნი-ტოტენჰემი | 15:45 |
| არსენალი-მანჩესტერ სიტი | 18:00 |
| ბოლტონი-მიდლსბრო | 18:00 |
| ჰალ სიტი-პორტსმუთი | 18:00 |
| ნიუკასლი-ჩელსი | 18:00 |
| ვესტ ჰემი-სტოკ სიტი | 18:00 |
| ვეს ჰემი-სანდერლენდი | 18:00 |
| ფულჰემი-ლივერპული | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ევერტონი-უიგანი | 18:00 |
| მანჩესტერ იუნ.-ასტონ ვილა | 19:00 |

ტურის უმთავრესი მატჩი "სენტ ჯეიმს პარკზე" გაიმართება. "ნიუკასლ იუნაიტედი" "ჩელსის" უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, ჯორდებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ – **ალან შირერი**. ახალბედა დამრიგებელმა გუნდი გავარდნას უნდა გადაარჩინოს. შირერის დანიშვნაზე ბევრს აღარ ვილაპარაკებთ. დღევანდელ ნომერში მისი პირველი პრესკონფერენციის შესახებ, შეგიძლიათ, ამომწურავ ინფორმაციას გაეცნოთ.

"ჩელსის" დამრიგებელმა **გუუს ჰიდინკმა** აღიარა, რომ "ნიუკასლში" ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ, მის გუნდს სამი ქულის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. ჰიდინკს ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა ატმოსფერო დახვდება "სენტ ჯეიმს პარკზე". ჰიდინკის მდგომარეობას ამძიმებს საკადრო პრობლემებიც. მას **დიდიე დროგბა** და **ჟოზე ბოსინგვა** ვერ დაეხმარებიან. "არისტოკრატების" მარჯვენა მცველი პორტუგალიის ნაკრებში ყოფნისას დაშავდა. კოტდივუარელმა თავდამსხმელმა კი ტრავმა "ჩელსის" ერთ-ერთი უკანასკნელი ვარჯიშისას მიიღო.

აქვე გეტყვით, რომ დროგბას არყოფნას **ნიკოლა ანელკას** გამოჯანმრთელება შეამსუბუქებს. ფრანგმა ფორვარდმა ფეხის თითი მოირჩინა და დღეს ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. "ნიუკასლთან" მატჩი"არისტოკრატებისათვის" გენერალური რეპეტიცია იქნება "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრის წინ.

გადავინაცვლოთ მასპინძელთა ბანაკში. უმთავრესი სიახლე, რა თქმა უნდა, ახალი მწვრთნელია. შირერს სადებიუტო შეხვედრაში მთელ რიგ საკადრო პრობლემებთან მოუწევს გამკლავება. მცირე ტრავმები აწუხებთ **სტივ ტეილორს**, **სებასტიენ ბასონგსა** და **დემიენ დაფს**. მათი ასპარეზობის საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს. უკვე გარკვეულია, რომ ვერ ითამაშებს თავდამსხმელი **შოლა ამეობი**.

"ლივერპული" "ფულჰემის" სტუმარია, იმ "ფულჰემის", რომელმაც ორიოდე კვირის წინ, იმავე "ქრეევენ კოტიჯზე" "მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგო. ლონდონელებმა ამ გამარჯვებით "ლივერპულის" წისქვილზე დაასხეს წყალი, მაგრამ თუ ისინი დღესაც ისევე გამოიდებენ თავს, მერსისაიდელთა იმედები, შეიძლება, მათვე დაასამარონ. გამარჯვების შემთხვევაში, "ლივერპული" "იუნაიტედს" ორი ქულით გადაუსწრებს (მინიმუმ ერთი დღით, რადგან "ეშმაკები" "ასტონ ვილას" კვირას ეთამაშებიან).

დედაქალაქში გამგზავრებამდე მერსისაიდელებმა სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს: **სტივ ჯერარდმა** კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ნახევარმცველის მომავალთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები მოხსნილია. ის "ენფილდ როუდზე" კიდევ ოთხი წლის განმავლობაში დარჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ კარიერასაც, ფაქტობრივად, იქ დაასრულებს. ჯერარდს ძველ ხელშეკრულებაში კიდევ ორი წელი ჰქონდა დარჩენილი. ის კვირაში 100 ათას გირვანქას იღებდა. გადაწყდა, რომ ფეხბურთელის ანაზღაურება 125 ათასამდე მოიმატებს, რითაც ის "ლივერპულის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. აქამდე ამგვარი სტატუსით **ფერნანდო ტორესი** სარგებლობდა. ცოტა უცნაური კი იყო, რომ მერსისაიდელთა შედარებით ახალბედა ვარსკვლავი ლივერპულელთა ცოცხალ ლეგენდაზე მეტ ფულს იხვეჭდა.

გუშინვე ცნობილი გახდა ის, რომ ჯერარდს საბოლოოდ მოუხსნეს მავან დი-ჯეიზე თავდასხმის ბრალდება, რის გამოც ფეხბურთელმა ერთი ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა. შეგახსენებთ, ინციდენტი "ნიუკასლთან" კალენდარული მატჩის შემდეგ მოხდა. ის შეხვედრა "ლივერპულმა" 5:1 მოიგო. ზემოთ ჩემპიონთა ლიგაში "ჩელსისა" და "ლივერპულის" პირველი მეოთხედფინალური მატჩი ვახსენეთ. პირველი რაუნდი "ენფილდ როუდზე" გაიმართება. "ფულჰემთან" გამარჯვებას მერსისაიდელებისათვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

საინტერესო შეხვედრა გაიმართება "ოლდ ტრეფორდზე". "მანჩესტერი" "ასტონ ვილას" **დიმიტარ ბერბატოვის** გარეშე დაუხვდება. ბულგარელი თავდამსხმელი ნაკრების შესარჩევი მატჩისას დაშავდა და ორკვირიანი შვებულება გამოიწერა. მას ხვალინდელი შეხვედრის გარდა, "პორტუსთან" მეოთხედფინალის ორივე რაუნდი, პლუს, "სანდერლენდთან" პრემიერლიგის მორიგი ტურის შეხვედრა გაუცდება. ბერბატოვის გარდა, ვერ ითამაშებენ **უეინ რუნი** და **პოლ სქოულზიც**. ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან. **სერ ალექს ფერგიუსონის** იმედები **კარლოს ტევესს** უკავშირდება. ტევესი სანაკრებო მატჩიდან საუკეთესო ხასიათზე ვერ უნდა დაბრუნებულიყო. მოგეხსენებათ, არგენტინა ბოლივიასთან 1:6 გაცამტვერდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ "იუნაიტედმა", რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში გოლი არ ჰქონდა გაშვებული, პრემიერლიგაში ზედიზედ ორი მატჩი წააგო და პირველი ადგილის დაკარგვა ემუქრება.

დასასრულს მოკლედ დიდი ოთხეულის ბოლო წარმომადგენლის, "არსენალის" შესახებ. "მეთოფეები" "მანჩესტერ სიტის" მასპინძლობენ. მუხლის ტრავმით გამოწვეული სამთვიანი პაუზის შემდეგ კაპიტანი **ფრანსესკ ფაბრეგასი** ბრუნდება. გამოჯანმრთელდა თავდამსხმელთა ტრიო **თეო უოლკოტის**, **ემანუელ ადებაიორისა** და **ნიკლას ბენდტნერის** შემადგენლობით. მაგრამ საკადრო პრობლემები მაინც საგრძნობია. ვერ ითამაშებენ **რობინ ვან პერსი** და **ედუარდო**. ორივე მათგანს საზარდული აწუხებს. **აბუ დიაბის** ბარძაყის კუნთი დაეჭიმა, ხოლო **სამირ ნასრი** შეხვედრას ვირუსის გამო გამოტოვებს. "სიტის" შემადგენლობაში საეჭვოა **კრეიგ ბელამის** ასპარეზობა. ის მუხლის იტკიებს. **რობინიო** მწყობრშია. ბრაზილიის ნაკრების შესარჩევ მატჩში მან მცირე ტრავმა მიიღო, თუმცა ლონდონში უპრობლემოდ უნდა ითამაშოს.

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 29 | 20 | 5 | 4 | 49-18 | 65 |
| 2. ლივერპული | 30 | 18 | 10 | 2 | 54-21 | 64 |
| 3. ჩელსი | 30 | 18 | 7 | 5 | 49-17 | 61 |
| 4. არსენალი | 30 | 15 | 10 | 5 | 48-27 | 55 |
| 5. ასტონ ვილა | 30 | 15 | 7 | 8 | 43-36 | 52 |
| 6. ევერტონი | 30 | 13 | 9 | 8 | 40-31 | 48 |
| 7. უიგანი | 30 | 11 | 8 | 11 | 30-28 | 41 |
| 8. ვესტ ჰემი | 30 | 11 | 8 | 11 | 35-35 | 41 |
| 9. ფულჰემი | 30 | 10 | 10 | 10 | 30-26 | 40 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 30 | 11 | 5 | 14 | 46-37 | 38 |
| 11. ტოტენჰემი | 30 | 10 | 8 | 12 | 36-34 | 38 |
| 12. ბოლტონი | 30 | 10 | 4 | 16 | 32-44 | 34 |
| 13. ჰალ სიტი | 30 | 8 | 9 | 13 | 35-52 | 33 |
| 14. სანდერლენდი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-39 | 32 |
| 15. პორტსმუთი | 29 | 8 | 8 | 13 | 32-46 | 32 |
| 16. სტოკ სიტი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-47 | 32 |
| 17. ბლექბერნი | 30 | 7 | 10 | 13 | 33-49 | 31 |
| 18. ნიუკასლი | 30 | 6 | 11 | 13 | 36-49 | 29 |
| 19. მიდლსბრო | 30 | 6 | 9 | 15 | 21-42 | 27 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 30 | 6 | 6 | 18 | 26-55 | 24 |

პარლამენტის სპორტის კომიტეტში



# მომზადდება კანონის ახალი პროექტი

გუშინ გაიმართა საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა. ტრადიციისამებრ, სხდომიდან სხდომამდე გაწეული მუშაობის ანგარიში საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა მისმა თავმჯდომარემ **ვაჟა შუბლაძემ**. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ინფორმაცია ბავშვთა სპორტთან დაკავშირებით, რაც თავიდანვე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო და დღის წესრიგიდან არასდროს მოხსნილა. როგორც ითქვა, მეორე ეტაპი საუნივერსიტეტო სპორტის პრობლემებს დაეთმობა. ბავშვთა სპორტში საწყისი ორგანიზაციული პროცესი კი საბჭომ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. გამოჩნდნენ დონორები. პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებაზე სურვილი უცხოეთის 40-მდე ორგანიზაციამ გამოთქვა. გადაწყდა, რომ ლონდონის ბავშვთა ორგანიზაციის ჯგუფი 11 მაისიდან ჩამოვა საქართველოში და შეუდგება მუშაობას, გაიწერება ჯანდაცვის, განათლების, სპორტის მიმართულებით პროგრამები, რის საფუძველზეც შედგება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და წლის ბოლომდე დაიდება კონცეფცია.

სხდომის დღის წესრიგში აგრეთვე იყო სპორტის აკადემიის საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული „სპორტის შესახებ საქართველოს კანონის" ახალი რედაქციის პროექტის განხილვა. მსჯელობისა და აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ პროექტი ვერ გამოდგება ახალი კანონის ბაზისად და საჭიროა შეიქმნას ახალი ვარიანტი შენიშვნებისა და წინადადებების და, რაც მთავარია, რეალობის გათვალისწინებით. ახალი პროექტის მომზადება საბჭომ ვაჟა შუბლაძეს დაავალა.

**თენგიზ თომაშვილი**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# დღეიდან კლასიკოსები...

დღეს ვილნიუსში მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ხალიჩა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს დაეთმობათ. უკვე ცნობილია, ვინ შეხვდება პირველად **ბეგი დარჩიას** შეგირდებს ოთხ წონით კატეგორიაში. მივყვეთ თანმიმდევრობით: 55 კგ. წონით კატეგორიაში **ლაშა გოგიტაძე** მოლდოველ **დონიორ ისლამოვს** შეეჯიბრება. 60 კილოში **რევაზ ლაშხი** უცხო ქვეყნის, ნორვეგიის წარმომადგენელს **პეტერ სტორსალენს** შეხვდება. 66 კგ-ში პერსპექტიული **მანუჩარ ცხადაია** ფინელ **იარკო ალა-ჰუიკუს** ეჭიდავება. 74 კგ-ში **გენადი გოგიშვილი** პირველი წრიდან თავისუფალია, მეორეში მისი მეტოქე ბულგარელი **ვავორ იანაკიევი** იქნება. 84, 96 და 120 კგ. წონითი კატეგორიების კენჭისყრა დღეს საღამოს გაიმართება. მძიმეწონოსნები ხალიჩაზე




ხვალ გავლენ. ამ წონებში **დავით ქარჩავა** (84 კგ), **ალექსანდრე ბურდილაძე** (96) და **გურამ ფერსელიძე** იჭიდავებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია და თბილისის მერიის გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტანვარჯიშის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, სპორტის დამსახურებული მუშაკი

**აკაკი (კაკო) გოშაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

1975 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა თბილისის მე-12 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლად. ტანვარჯიშის სკოლას ამარაგებდა ნიჭიერი სპორტსმენებით. დიდ სპორტში მან გაუკვალა გზა ცნობილ ოსტატებს დონარა ჯანუყაშვილს, როზა ბერიკაშვილს, ამირან ბერიანიძეს და სხვებს. არაერთგზის დასახელდა წლის საუკეთესო პედაგოგად.

ამაგდარი აღმზრდელის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება შეგირდებისა და კოლეგების ხსოვნაში.

სროლა

# პირველი ჩემპიონატი ჟურნალისტებს შორის

გუშინ **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში საინტერესო შეჯიბრება მოეწყო ტყვიის სროლის ფედერაციის თაოსნობით - სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით პირველად ჟურნალისტებს შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. მონაწილენი ორ დისციპლინაში გამოვიდნენ, 10 მეტრიდან პნევმატური იარაღით სროლაში და 15 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში. სულ 17 გუნდი იყო ტურნირის განაცხადში, თითოეულში 2-2 მონაწილე.

პირველ ადგილზე გაზეთ „მსოფლიო სპორტის" გუნდი (**ეკა ელოშვილი, ოთარ მაღლაკელიძე**) გავიდა - 212 ქულა. მეორე ადგილზე სპორტის დეპარტამენტის გუნდია (**ვასილ ბურდული, გიორგი ჭანიშვილი**, 207 ქულა), მესამეზე - გაზეთი „24 საათი"(**კახა ფაჩუაშვილი, გიგა გურასაშვილი**) - 206 ქულა. ინდივიდუალურ. ჩათვლაში ყველას რადიო „იმედის" წარმომადგენელმა **გოჩა მაზანაშვილმა** აჯობა - 111 ქულა. მეორე ადგილი ოთარ მაღლაკელიძემ, მესამე კი გიორგი ჭანიშვილმა მოიპოვეს. ტურნირის მთავარი მსაჯი თავად ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე იყო, რომელიც სიამოვნებით უხსნიდა თითოეულ მონაწილეს წესებს და საჭირო რჩევებსაც აძლევდა. ყველაფერი საკმაოდ ლამაზად ორგანიზებული საზეიმო დაჯილდოებით დასრულდა.

ნინო სალუქვაძე: *„ჩვენი მიზანია ზოგადად სპორტის და კერძოდ, ტყვიის სროლის პოპულარიზაცია. ჟურნალისტებმა კარგად მოინდომეთ და გამოუცდელობის მიუხედავად, შედეგები ცუდი არ იყო. იმედია, ასეთი შეჯიბრებები ტრადიციული გახდება".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ცეცხლის ხაზზეა დავით ერაძე



კონსულტანტი ნინო სალუქვაძე

ჭადრაკი

# ბოლო ნაბიჯის და...

**საქართველოს** ათწლამდელთა ჩემპიონატი დღეს დასრულდება და საკმაოდ საინტერესო ფინიში უნდა შედგეს. როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში ერთპიროვნული ლიდერები გამოიკვეთნენ - **ნინო დახუნდარიძეს** და **ჯონი გოგოხიას** 7-7 ქულა აქვთ. ესენი მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებენ, რაც მათ საბოლოო გამარჯვებას, ცხადია, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ნინომ **ნინო ჯალალონია** დაამარცხა თეთრებით, ხოლო გოგოხიამ **ედუარდ ბაღდასაროვი** დააშამათა, ასევე თეთრებით. ოქროსთვის ბრძოლაში დახუნდარიძეს **თეა ჭოლაძე** ჰყავს ძირითადი მეტოქე, რადგანაც 6,5 ქულა მხოლოდ მას აქვს. თეორიულად 6-ქულიანს შეუძლია დაეწიოს ლიდერს, მაგრამ ამისთვის კარგი კოეფიციენტია საჭირო; დამატებითი მაჩვენებლებით კი დახუნდარიძე ბევრად უსწრებს დანარჩენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნინომ მეორე ადგილი და ევროპის ჩემპიონატის საგზური გაინაღდა. ევროპის ჩემპიონატიც პრესტიჟულია, მაგრამ მსოფლიო კიდევ მეტად ფასობს და მაშინ, როცა გამარჯვება ხელის განვდენაზეა, ცხადია, ფიქრები მის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს. არც ისე დიდი პრობლემა უდევს გოგონათა ლიდერს წინ, - საკმარისია, ქულა გაუყოს მეტოქეს და პირველ ადგილსაც ვერავინ შეეცილება. ნინოს, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად გაუმართლა - თეთრებით თამაშობს და მეტოქედაც 5,5-ქულიანი **ანი ჭანტურია** ჰყავს. მართალია, ჭანტურია დახუნდარიძეს განთესვის მიხედვით სამი ადგილით ჯობნის, მაგრამ რთული სავარაუდოა, რომ დღეს შავებით მის დამარცხებას შეძლებს, მით უფრო, რომ ბევრს ვერაფერს შემატებს ქულის მოპოვება...

სულ სხვა სურათია ბიჭებში. აქ 7 ქულით ლიდერობს გოგოხია, მაგრამ ნახევარი ქულით სამი მოჭადრაკე ჩამორჩება. ამათგან **ალექსანდრე ფანასენკოს** ლიდერის იდენტური კოეფიციენტი აქვს, **ირაკლი ტულუში** კი მცირედით უკანაა; მხოლოდ **ალექსანდრე ურდულაშვილია** ამ მხრივ მნიშვნელოვან დეფიციტში... ჯონის სხვა პრობლემების გადაჭრაც მოუწევს - შავებით ხვდება **ირაკლი ტულუშს**. ტულუში კი, მოგახსენეთ, რომ კოეფიციენტით ჩამორჩება ლიდერს და მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. მოგებით ტულუში ჩემპიონობის შანსს კი გაიჩენს, მაგრამ მეორე დაფაზე კონკურენტების - ფანასენკოს და ურდულაშვილის შეხვედრის შედეგზეც იქნება დამოკიდებული. თუ მეორე დაფაზე ერთ-ერთმა მხარემ მოიგო, მაშინ ის ვერცხლს შესწვდება, თუ ყაიმი დაფიქსირდა, ჩემპიონი გახდება. გოგოხიას ყაიმიც ჰყოფნის ჩემპიონობისთვის, მხოლოდ კონკურენტებიდან ფანასენკომ არ უნდა გაიმარჯვოს. მოგება რომ უპირობოდ გააპირველებს, ამას დიდი ფიცი - მტკიცი არ სჭირდება.

მესამე-მეხუთე დაფებზე მოთამაშეთ, რომლებსაც 6-6 ქულა აქვთ, მესამე საპრიზოზე გასვლის უმცირესი შანსი აქვთ, ამიტომ მთავარ ბრძოლებს და ინტრიგას სწორედ პირველ სამ დაფაზე ვიხილავთ.

**ზვიად შათირიშვილი**

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ბოლოსწინა ტურში გადაწყდება



**საქართველოს** ქალ ფრენბურთელთა ჩემპიონატის მერვე ტურში ცენტრალური შეხვედრა შედგა. გათამაშების ლიდერი და უდავო ფავორიტი დიდი ჯიხაიშის „ჯიკო" მეორეადგილოსან „ბოლნისს" დაუპირისპირდა და სამ სეტში სძლია. ბოლნისელებმა მე-ტნაკლები წინააღმდეგობა პირველ ორ სეტში გასწიეს - 18:25, 15:25. მესამე სეტში კი, იმერული გუნდის უპირატესობა თვალნათელი შეიქნა - 25:9.

საკმაოდ საინტერესო გამოდგა მესამე ადგილსათვის მებრძოლი „ბათუმისა" და დუშეთის" დაპირისპირება. ორი სეტის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო - 25:12, 21:25. მესამე და მეოთხე სეტში უშელავათო ბრძოლა წარიმართა და ორივეში ბათუმელებს გამარჯვების მისაღწევად უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ. საბოლოოდ აჭარელებმა ორივე სეტი ორქულიანი სხვაობით მოიგეს - 27:25, 27:25.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ორი ნახევარფინალისტის ვინაობა უკვე გარკვეულია. ესენი „ჯიკო" და „ბოლნისია". დანარჩენი ორის ვინაობა შესაძლოა დღესვე გაცხადდეს ბოლოსწინა ტურში. თუ „დუშეთმა" შეძლო და „ქუთაისი" დაამარცხა, ეს უკანასკნელი პლეი ოფის მიღმა დარჩება.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ჯიკო - 14ქულა, 2. ბოლნისი - 12, 3. ბათუმი - 9, 4. დუშეთი - 7, 5. ქუთაისი - 6.

**დღეს**

დუშეთი-ქუთაისი
ჯიკო-ბათუმი

**ხვალ**

ბათუმი-ქუთაისი
ბოლნისი-დუშეთი

**ბესიკ ჯანაგავაძე**

კალათბურთი

ოლ სტარი. წინასამატჩო პრესკონფერენცია

# 24 ვარსკვლავი



კვირას, 14 საათზე, ქუთაისში გაიმართება ქართული "ოლ სტარი". მასში მონაწილეთა გამოკითხვა გუშინ დასრულდა, გაირკვა სასტარტო ხუთეულების ვინაობაც და...

...გუშინვე მწვრთნელებმა "სპორტ-კაფეში" მოწყობილ პრესკონფერენციაზე სათადარიგოებიც ჩამოგვითვალეს.

"ლურჯებსა" და "თეთრებს" ვინ გაწვრთნის, კარგად მოგეხსენებათ – ერთ მხარეს "ენერჯის" თავკაცი, **დავით უსტიაშვილი** გაიყვანს, მეორეს – "სასოფლოს" დამრიგებელი **მიხეილ კობეშავიძე**.

"სპორტ-კაფეში" ორივე მწვრთნელი და სასტარტო ხუთეულების ათივე წევრი გამოცხადდა.

ვიდრე კომენტარებს შემოგთავაზებდეთ, ციფრებს შევეხოთ. გამოკითხვაში 46-მა კალათბურთელმა 36 ათასი ხმა მიიღო, რომელთაგან ყველაზე მეტი "დინამოს" გამთამაშებელ **გივი ბაქრაძეს** ერგო. საოცარია, პირველ საშუალედო გამოკითხვაში დაწინაურებული **ლაშა გამყრელიძის** "ოლ სტარის" მიღმა დარჩენა.

ცხადია, ვარსკვლავთა მატჩში მოხვედრით ყველა კმაყოფილი იყო, თუმცა სხვადასხვა მოსაზრებაც მოვისმინეთ. **გიორგი მარკოიშვილმა** გვითხრა, რომ გამოკითხვის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც პირველი საშუალედო შედეგები გამოქვეყნდა. **ანატოლი ბოისამ** აღნიშნა:

*- ვარსკვლავთა მატჩში მოხვედრა გამიხარდა, თუმცა, თავიდან ხმების მაქსიმალური რაოდენობის მიღებას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი...*

კოტე ტულუშმა ჟურნალისტობა იკისრა და მედიის წარმომადგენლებს კითხვები დაგვაყარა – თქვენ თუ მიიღეთ მონაწილეობა გამოკითხვაშიო. პასუხები სხვადასხვაგვარი იყო. თავად კოტემ "ოლ სტარის" შემადგენლობასთან დაკავშირებით ეს თქვა:

*- სასიამოვნოა, რომ გუნდებში ახალგაზრდები მოხვდნენ. ეს მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ჩემპიონატი ნიჭიერი ახალგაზრდებით ივსება.*

კოტეს მხედველობაში ჰყავდა სუპერლიგის ორი დებიუტანტი - გივი ბაქრაძე და **ზვიად ანთაძე**. პირველი "დინამოს" გამთამაშებელი და გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მეორე "მაკაბის" სნაიპერია.

პრესკონფერენციაზე დავით უსტიაშვილმა სათადარიგო შვიდეული გაგვაცნო:

*- მქონდა "ენერჯიდან" სამი სათადარიგოს არჩევის უფლება, მაგრამ ვეცადე ყველა კლუბს მეტ-ნაკლებად თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი ჰყოლოდა. ამიტომ სათადარიგოებად ორი რუსთაველი ავიყვანე – მიხეილ ჭოჭუა და რევაზ დიდია. საბოლოოდ ყველაზე მეტი მაინც რუსთაველი მოგროვდა (ტულუში და უგრეხელიძე სასტარტოში გულშემატკივრებმა აირჩიეს). გვყავს სამი თსუ-ელი, სამი ნტდ-ელი, ერთი შსს-ს და ერთიც "მაკაბის" წარმომადგენელი.*

მეორე გუნდის მწვრთნელმა, მიხეილ კობეშავიძემ ყურადღება გაამახვილა "ოლ სტარის" ჩატარების ადგილზე:

*- საქართველოს ორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს. ორივე ქუთაისიდანაა. დღეს კი ამ ქალაქს სუპერლიგაში წარმომადგენელი არ ჰყავს. იმედია, ვარსკვლავთა მატჩის ჩატარება ქალაქის ხელმძღვანელობას გაისად გუნდის უმაღლეს ლიგაში გამოყვანისკენ უბიძგებს. რაც შეეხება ჩემს მიერ დასახელებულ სათადარიგოებს, ვფიქრობ, ისინი ობიექტურად შევარჩიე. შემადგენლობაში შევიყვანე "ავიამშენის" უკანახაზელი ბუბა კვიმსაძე, რომელიც ქუთაისელია და საკუთარ კედლებში დიდი ხანია არ უთამაშია.*

ახლა შემადგენლობებს გავეცნოთ.

### დავით უსტიაშვილის გუნდი

**უკანახაზელები**

**კოტე ტულუში 1367, გიორგი გაფრინდაშვილი 1351**, გიორგი გამყრელიძე 1276, შალვა კოხრეიძე 962, ფუად ნიფთალიევი 805, ბესიკ ლეჟავა 759, ზაურ ფაშაევი 681

**ფორვარდები**

**გიორგი მარკოიშვილი 1059, ზვიად ანთაძე 991**, მიხეილ ჭოჭუა 840, დავით ბარბაქაძე 735, ზვიად ბაბიაშვილი 612, ჟოლივეტ ტუჯანი 605, შიო ხეცურიანი 593, ანარ სარიევი 467, გიორგი ჯანგველაძე 454, რევაზ დიდია 444, ტაირ ბახშიევი 399

**ცენტრები**

**დავით უგრეხელიძე 963**, კახა შენგელია 826, პლასიდე როდუმტა 799, ილია ლონდარიძე 568, სერგო ათუაშვილი 444

### ლევან მოსეშვილის გუნდი

**უკანახაზელები**

**გივი ბაქრაძე 1484, ირაკლი გულისაბედაშვილი 1021**, დავით ბერიშვილი 990, ბექა წივწივაძე 988, გიორგი მარხვაშვილი 734, ტარიელ თავართქილაძე 696, ირაკლი ბერიშვილი 676, გიორგი ნიკოლაძე 611

**ფორვარდები**

**ანატოლი ბოისა 1175, გიგი ბარბაქაძე 942**, დავით ხანიაშვილი 937, გიორგი პირველაშვილი 780, ვახტანგ ნაცვლიშვილი 753, ლევან ტყეშელაშვილი 644, ლექსო ლაფანაშვილი 579, ბუბა კვიმსაძე 523, ლაშა კეშელავა 480, თორნიკე ნინაშვილი 387

**ცენტრები**

**რიჩარდ მათიაშვილი 1142**, რევაზ ათანელიშვილი 882, ვახტანგ ქადარია 842, გიორგი ყველაშვილი 404, მამუკა ბოლქვაძე 330

**ვაჟა სიმონიშვილი**



მიხეილ კობეშავიძე:

# ვიბრძვით

საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი. სეზონის წინ მწვრთნელმა, მიხეილ კობეშავიძემ ახალგაზრდული შემადგენლობა შეკრიბა და საბოლოოდ რეგულარული ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა. სასოფლოელებმა მათზე გამოცდილ კოლექტივებსაც გადაასწრეს.

**მიხეილ კობეშავიძე** 5 აპრილს გასამართ "ოლ სტარში" ერთ-ერთ გუნდს გაწვრთნის. გუშინ მას "სასოფლოზეც" ვესაუბრეთ და ვარსკვლავთა მატჩზეც.

გაგახსენებთ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრას, რომლის მოგების შემთხვევაში "სასოფლო" სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ინაცვლებდა. დაძაბულ შეხვედრაში სტუდენტებმა "ავიამშენი" დაამარცხეს. მწვრთნელთან საუბარი სწორედ ამ მატჩით დავიწყეთ...

- რადგან ახალშეკრებილი და ახალგაზრდა გუნდი გვყავს, ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანი ყოველი მატჩის მობილიზებით ჩატარება და ბრძოლაა. ბოლომდე ვიხარჯებით ნებისმიერ მეტოქესთან. ასეთი განწყობით გავედით "ავიამშენთან" მატჩზეც. იყო შეცდომებიც, თუმცა საბოლოოდ ბრძოლის ჟინითა და მონდომების ხარჯზე გავიმარჯვეთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მატჩის წინ ფსიქოლოგიური წნეხი არ გვქონდა, რადგან წინა ტურში "ნტდ-თბილისი" გვყავდა დამარცხებული...

**- სეზონის დასაწყისში კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ?**

- პირველი დავალება იყო მაქსიმალურად ბრძოლისუნარიანი კოლექტივის ჩამოყალიბება. გუნდს უნდა ჰქონოდა საკუთარი ხელწერა და ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, ასეთი გუნდის შეკვრა მეტ-ნაკლებად მოვახერხეთ, რაშიც დიდი წვლილი ჩვენს ხელმძღვანელობას მიუძღვის, რომელმაც ყველა პირობა შეგვიქმნა სრულფასოვნად მოსამზადებლად. ასეთი გუნდის ჩამოყალიბებისთვის მინდა დიდი მადლობა მოვახსენო რექტორს, ბატონ გელა ჯავახიშვილს, მთლიანად სასწავლებლის რექტორატს და სპორტულ ცენტრს.

**- წინ პლეი ოფია, ჯერ "დინამოს" ხვდებით, შემდეგ, სავარაუდოდ, თსუ-ს...**

- ვიდრე მომავალზე ვიტყოდე, თუ ნებას მომცემთ, ერთ რეპლიკას გავაკეთებ. "ავიამშენი"-"სასოფლოს" მატჩის მიმოხილვაში დაიწერა ჩემსა და მოთამაშეს შორის მცირე დიალოგის გამოხმაურება. ვფიქრობ, ის, რაც მწვრთნელსა და კალათბურთელს შორის ხდება, მათი კომუნიკაციის საკითხი ისევ შიდა სამზარეულოს საქმეა და ჩვენშივე მოგვარდება. ეს საზოგადო განსჯის საკითხი არ უდა გახდეს. საბოლოოდ კალათბურთელმა შეასრულა ის, რაც მწვრთნელმა დაავალა, რამაც საბოლოოდ დადებითი შედეგი გამოიღო.

**- ახლა თსუ-სთან დაპირისპირებაზე...**

- საერთოდ, არ ვამართლებ მწვრთნელს, რომელიც წინასწარ თამამ პროგნოზებს აკეთებს. რა გარანტია არსებობს, რომ ხვალ აუცილებლად გაიმარჯვებ? ერთნაირად ვემზადებით "დინამოსთან" და თსუ-სთან თამაშებისთვის, ბოლომდე დავიხარჯებით და რა გამოგვივა, ბოლოს გამოჩნდება.

**- მინდა "ოლ სტარზეც" გკითხოთ...**

- მატჩი საინტერესო და სახალისო უნდა გამოვიდეს. ვფიქრობ, შემადგენლობები ობიექტურადაა შერჩეული. რაც შეეხება მატჩის ქუთაისში ჩატარებას, სამწუხაროა, რომ ასეთ დარბაზში სუპერლიგის მატჩები არ იმართება. იმედია, "ოლ სტარის" ქუთაისში ჩატარება ერთგვარ ბიძგად იქცევა...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ოქსანა წყვილთა ფინალში

რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ამ შეჯიბრებაში ორი ჩვენებური ჩაება - 20 წლის **სოფიო შაფათავა** (244) და 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (351). შაფათავას, რომელიც ხანტი-მანსიისკში მე-7 ნომრად იყო განთესილი, პირველივე წრეში მოეცარა ხელი. მან რუს **იულია კალაბინასთან** (378) წააგო დაძაბულ ორთაბრძოლაში - 6:4, 6:7 (5), 3:6. ძალიან დამაფიქრებელია ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელის სათამაშო ფორმა, მას წლეულს მატჩი არ მოუგია (!), არ გამოვრიცხავთ, რომ მასზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა ავსტრალიურმა ინციდენტმა, როცა საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშისთვის რეიტინგი არ ეყო. ოქსანა კალაშნიკოვამ კი პირველი ეტაპი გადალახა, მან „უაილდ ქარდით" მიწვეულ **ვალერია მაქსიმჩენკოს** (რუსეთი) იოლად მოუგო - 6:2, 6:1. თუმცა ოქსანას სვლა მერვედფინალშივე შეჩერდა, მან მე-5 ნომრად განთესილ რუსთან, **ვიტალია დიატჩენკოსთან** (171) წააგო, თუმცა კი ბევრი იბრძოლა - 2:6, 7:6 (6), 4:6.

ოქსანა კალაშნიკოვა ხანტი-მანსიისკში რჩება, იგი რუს **ვალერია სავინიხთან** (468) ერთად წყვილთა ბადის ფინალშია გასული. ოქსანამ და ვალერიამ ჯერ მე-3 ნომრად განთესილ **კონდრატიევა-ოზგენის** დუეტს მოუგეს - 6:2, 6:1. შემდეგ კი **გალანინა-პაშკოვა** დაამარცხეს - 6:1, 6:3. ბოლო მეტოქეები რუსულ-ჩეხური გუნდი, მე-2 ნომრად განთესილები **ნინა ბრატჩიკოვა** (208) და **ნიკოლა ფრანკოვა** (270) ოქსანას და მის მეწყვილეს არ გამოუცხადდნენ. შაფათავამ და მისმა დამმარცხებელმა ერთეულებში, კალაბინამ მხოლოდ ერთი წრე გაიარეს. მათ **არიფეევა-მელნიკოვას** დუეტს მოუგეს - 6:1, 4:6, 11:9. მეორე წრეში შაფათავა და კალაბინა პირველ ნომრად განთესილ გუნდთან (**დიატჩენკო-ძეჰალევიჩი**) დამარცხდნენ - 3:6, 1:6. ფინალში ოქსანა კალაშნიკოვას მე-4 ნომრად განთესილ გუნდთან მოუწევს ტიტულისთვის ბრძოლა, გუნდში ბელარუსი **ქსენია მილევსკაია** (269) და უკრაინელი **ლესია ცურენკოა** (290).

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (150), რომელმაც წლეულს შეიძლება პირველად ითამაშოს საქართველოს ნაკრებში, ალაბამის შტატის ქალაქ პელჰემში წარმატებით დაიწყო ასპარეზობა 25-ათასიან ტურნირში. ანა იქ მე-5 ნომრად იყო განთესილი. ტატიშვილი პირველ წრეში სლოვაკ **ჟუჟანა კუცოვას** (199) შეხვდა და 6:1, 7:6 (3) მოუგო. მერვედფინალში ანას მეტოქე საკვალიფიკაციო ბადიდან გასული იაპონელი **იურიკა სემა** (228) იყო. სამწუხაროდ, ჩვენებური ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 4:6.

იტალიურ ლატინაში 50-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, იქ **მაკა ჩახნაშვილი** (206) თამაშობდა. პირველ წრეში მაკამ „უაილდ ქარდით" მიწვეული რუსი **მარინა შამაიკო** (419) დაამარცხა - 6:3, 6:4. მერვედფინალში მაკა სლოვაკ **ლენკა ვიენეროვას** (164) ეთამაშა და იოლად დანებდა - 3:6, 1:6.

თურქული ბელეკის მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) **სოფიო ქვაცაბაიამ** (658) ერთი ეტაპის გავლა შეძლო. მან **მარია ჟარკოვას** (რუსეთი, 641) აჯობა - 7:5, 4:6, 7:5. მერვედფინალში მან იოლად დათმო გერმანელ **იულია ბაბილონთან** - 0:6, 1:6. სამაგიეროდ, სოფიო კარგად თამაშობს წყვილებში (რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** (735) დუეტში), სადაც ნახევარფინალშია გასული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

საქართველოს ჩემპიონატი

# ნახევარფინალისტები ცნობილია

გუშინ დილომში კრივის ეროვნული ჩემპიონატის მეოთხედფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. თითქმის ყველა შეხვედრამ დაძაბულად ჩაიარა. ეროვნული ნაკრების წევრები წინ ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიიწევენ. დღეს 13 საათიდან ნახევარფინალური დაპირისპირებები დაიწყება, ხვალ კი ფინალებია, რომელთა ნახვაც მაყურებელს 12 საათიდან შეეძლება.

### 48 კგ (5 მონაწილე)

**ალექსანდრე ჩიჩელიანი (ახალქალაქი)** – გიორგი შოშიაშვილი (გორი)

### ნახევარფინალი

სევერიან ქილაძე (თბილისი, დკდ) – გოჩა ლარცულიანი (ქუთაისი)

ფარიზ ისკანდეროვი (რუსთავი) - ალექსანდრე ჩიჩელიანი (ახალქალაქი)

### 51 კგ (6 მონაწილე)

**ლაშა გურგულიანი (მესტია)** – ბაჩო ჭინჭარაძე (რუსთავი)

**გიორგი კაპანაძე (ქუთაისი)** – ტულუში (ბათუმი)

### ნახევარფინალი

მერაბ თურქაძე (ქუთაისი) – პაატა სლტანიანი (თბილისი)

ლაშა გურგულიანი (მესტია) - გიორგი კაპანაძე (ქუთაისი)

### 54 კგ (8 მონაწილე)

**გიორგი კილანავა (ფოთი)** – ნარექ ანტონიანი (ახალქალაქი)

**ლევან კაჟაშვილი (თბილისი, დკდ)** – გელა აბაშიძე (ბათუმი)

**იროდი ონაშვილი (რუსთავი)** – მიხეილ კოტებოვი (თბილისი)

**ადილ ასლანოვი (თბილისი, დკდ)** – ზაურ გამგებელი (გორი)

### ნახევარფინალი

გიორგი კილანავა (ფოთი) - ლევან კაჟაშვილი (თბილისი, დკდ)

იროდი ონაშვილი (რუსთავი) - ადილ ასლანოვი (თბილისი, დკდ)

### 57 კგ (16 მონაწილე)

**გიორგი ასათიანი (ქუთაისი)** – გიორგი გუნია (სენაკი)

**თურან აკბეროვი (მარნეული)** – ზურაბ პეტუაშვილი (გორი)

**თორნიკე კოტრიკაძე (ქუთაისი)** – გიგა სამადაშვილი (გორი)

**დავით ინასარიძე (რუსთავი)** – ბექა ჩიტაძე (ტყიბული)

### ნახევარფინალი

გიორგი ასათიანი (ქუთაისი) - თურან აკბეროვი (მარნეული)

თორნიკე კოტრიკაძე (ქუთაისი) - დავით ინასარიძე (რუსთავი)

### 60 კგ (11 მონაწილე)

**კობა ფხაკაძე (ქუთაისი)** – ლაშა წონკოლაური (ახმეტა)

**ხაჩიკ ელიზბარიანი (ახალქალაქი)** – გიორგი ალოლიძვილი (თბილისი)

**გიორგი ჩართოლანი (მესტია)** – არტიომ კულახსიანი (ახალქალაქი)

**ბაგრატ ულრელაძე (ზესტაფონი)** – თეიმურაზ ღლონტი (თავდ. სამინისტრო)

### ნახევარფინალი

კობა ფხაკაძე (ქუთაისი) - ხაჩიკ ელიზბარიანი (ახალქალაქი)

გიორგი ჩართოლანი (მესტია) - ბაგრატ ულრელაძე (ზესტაფონი)

### 64 კგ (16 მონაწილე)

**ლევან ლვამიჩავა (ფოთი)** – ჯაბა შალუტაშვილი (ბორჯომი)

**ბექა პაპაშვილი (თბილისი)** – სპარტაკ ნონონავა (სენაკი)

**გიორგი ჯაფარიძე (ჭიათურა)** – ერაზ ჩნავაიანი (ახალქალაქი)

**ზაალ კვაჭატაძე (თბილისი)** – გიორგი ჯაყელი (თბილისი)

### ნახევარფინალი

ლევან ლვამიჩავა (ფოთი) - ბექა პაპაშვილი (თბილისი)

გიორგი ჯაფარიძე (ჭიათურა) - ზაალ კვაჭატაძე (თბილისი)

### 69 კგ (16 მონაწილე)

**კახა ჟვანია (ფოთი)** – გიორგი მურზაშვილი (გორი)

**გიორგი ბეროშვილი (თელავი)** – გოჩა ბადურაშვილი (ახმეტა)

**ამბროსი სუთიძე (ქუთაისი)** – არტაკ ვოსკანიანი (ახალქალაქი)

**ჯაბა ხოსიტაშვილი (ახალციხე)** – ბერდია უტიაშვილი (გურჯაანი)

### ნახევარფინალი

კახა ჟვანია (ფოთი) - გიორგი ბეროშვილი (თელავი)

ამბროსი სუთიძე (ქუთაისი) - ჯაბა ხოსიტაშვილი (ახალციხე)

### 75 კგ (11 მონაწილე)

**ლევან გულედანი (თბილისი, დკდ)** – დავით ანჯაფარიძე (თავდ. სამინისტრო)

**ლევან რატიანი (თავდ. სამინისტრო)** – ნოდარ ცხოვრებაძე (რუსთავი)

**ირაკლი ანაშიძე (ბათუმი)** – რაჟდენ ანიაშვილი (გორი)

**რომან თავაძე (ქუთაისი)** – ნიკოლოზ ლვინიაშვილი (თბილისი)

### ნახევარფინალი

ლევან გულედანი (თბილისი, დკდ) - ლევან რატიანი (თავდ. სამინისტრო)

ირაკლი ანაშიძე (ბათუმი) - რომან თავაძე (ქუთაისი)

### 81 კგ (12 მონაწილე)

**რევაზ ქარელიშვილი (გორი)** – გიორგი კუბეტია (შეიარაღებული ძალები)

**გიორგი ბოჭორიშვილი (თავდ. სამინისტრო)** – ლევან ხორავა (ბათუმი)

**ლევან კლდიაშვილი (თბილისი, დკდ)** – ირაკლი დუნდუა (თბილისი, დკდ)

**დავით ქოჩქიანი (მესტია)** – ნოდარ ვეფხვაძე (თბილისი)

### ნახევარფინალი

რევაზ ქარელიშვილი (გორი) - გიორგი ბოჭორიშვილი (თავდ. სამინისტრო).

ლევან კლდიაშვილი (თბილისი, დკდ) - დავით ქოჩქიანი (მესტია)

### 91 კგ (8 მონაწილე)

**დავით გოგიშვილი (გორი)** – თემურ ლაშხია (თბილისი, დკდ)

**გიორგი გვასალია (ფოთი)** – გიორგი ხორავა (ბათუმი)

**რომან ოგანჯანიანი (ახალქალაქი)** – ქრისტო გოგიშვილი (თავ. სამინისტრო)

**კონსტანტინე მამაგეიშვილი (თავდ. სამინისტრო)** – გივი მიქელაძე (ქუთაისი)

### ნახევარფინალი

დავით გოგიშვილი (გორი) - გიორგი გვასალია (ფოთი)

რომან ოგანჯანიანი (ახალქალაქი) - კონსტანტინე მამაგეიშვილი (თავდ. სამინისტრო)

### +91 კგ (9 მონაწილე)

**ალბერტ გრიგორიანი (ახალქალაქი)** – ბიძინა დეკანოსიძე (თბილისი)

**ვენედიქ კაზარიანი (ახალქალაქი)** – ავთანდილ ჭეჭელაშვილი (გორი)

**მიხეილ ბახტაძე (ქუთაისი)** – შოთა ცააავა (თავდ. სამინისტრო)

**ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი)** – ტარიელ შათირიშვილი (თელავი)

### ნახევარფინალი

ალბერტ გრიგორიანი (ახალქალაქი) - ვენედიქ კაზარიანი (ახალქალაქი)

მიხეილ ბახტაძე (ქუთაისი) - ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი)

*მუქი შრიფტით აღნიშნულნი არიან გამარჯვებული მოკრივეები*

**ლევან ჯანეზაშვილი**





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

რაგბი

ერთა თასი



# ოფიციალური დასტური

საქართველოს რაგბის კავშირში FIRA AER-დან წერილი მიიღეს. FIRA AER-ის პრეზიდენტი **ჟან კლოდ ბაკე** ოფიციალურად ადასტურებს, რომ 2009 წლის ერთა თასის გათამაშების მფლობელი საქართველოს ნაკრებია.

გაურკვეველი მიზეზის გამო, FIRA AER-ის მიერ დეკემბერში გამართულ კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილება, ერთა თასის მფლობელი ერთწლიანი შეჯიბრის შედეგების მიხედვით გარკვეულიყო, ამ ტურნირში მონაწილე ქვეყნების რაგბის ხელმძღვანელი ორგანოებისთვის უცნობი იყო. ამჟამად გაუგებრობა აღმოფხვრილია და ოფიციალურადაა დადასტურებული, რომ ბორჯღალოსნებმა ტიტული შეინარჩუნეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში ხუთი შეხვედრა გამართა. აქედან ერთი ფრედ დაასრულა და ოთხში გამარჯვება იზეიმა.

| ერთა თასი. I წრე | |
|---|---|
| გერმანია-საქართველო | 5:38 |
| საქართველო-პორტუგალია | 20:20 |
| ესპანეთი-საქართველო | 11:55 |
| საქართველო-რუმინეთი | 28:23 |
| რუსეთი-საქართველო | 21:29 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

*ინტერვიუ დავით კაკაბაძესთან*

# რუსთავში დიდი რაგბი ბრუნდება

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, რომელიც სტარტს 15 აპრილიდან აიღებს, წლეულს რუსთავის „ხარები“ დაბრუნდება. რუსთავული რაგბის ელიტაში დაბრუნება, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენაა.**

**ამ ქალაქის სარაგბო სკოლის აღზრდილები არიან „ლეონსიო“ - ლევან ცაბაძე, პალიკო ჯიმშელაძე, გოდერძი შველიძე, დავით ზირაქიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, კახაბერ უჩავა და ბევრი სხვა. „ხარებს“ ამჟამად სპონსორიც სერიოზული გამოუჩნდა და სეზონისთვის მზადებასაც ადრიანად შეუდგა. რუსთაველთა სამზადისის შესახებ გუნდის მთავარ მწვრთნელს დავით კაკაბაძეს ვესაუბრეთ:**



რუსთავის ხარები

- რუსთავის „ხარები“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას 10 წლის განმავლობაში ეშურებოდა. ცხადია, სასიხარულოა, რომ ელიტაში დავბრუნდით. სარაგბო ტრადიციებით ჩვენი ქალაქი ხომ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია.ეროვნული ნაკრებისთვის არაერთი წამყვანი მორაგბე გაგვიზრდია. რუსთავში ეს სპორტის სახეობა არ უნდა გაქრეს. აქტიურობა ცოტა ხნის წინათ ოდნავ მინავლებული იყო, მაგრამ ამჟამად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა უკეთესობისკენ.

**- თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ ემზადება გუნდი მომავალი ეროვნული ჩემპიონატისათვის?**

- მზადებას რუსთავში გავდივართ. პირველ ეტაპზე ყურადღება საერთო ფიზიკურ მომზადებაზე გავამახვილეთ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენი გუნდი საკმაოდ ახალგაზრდულია და საჩემპიონატო მარათონზე არ გვინდა ამ მხრივ პრობლემები შეგვექმნას. მეორე ეტაპზე უკვე კომბინაციების დამუშავება დავიწყეთ. სათამაშო ნიუანსების დახვეწაზე ამჟამადაც ვაგრძელებთ მუშაობას.

**- შარშან „ხარები“ პირველ ლიგაში ასპარეზობდნენ. ცხადია, რანგით უფრო მაღალი დონის შეჯიბრებაში გუნდის გაძლიერებაც დაგჭირდებოდათ.**

- უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა რომ ბევრად რთული იქნება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. „ხარები“ მთლიანად რუსთაველი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. გუნდში დავაბრუნეთ ჩვენი სარაგბო სკოლის აღზრდილები, ფულ ბეკი ლაშა შუბითიძე და მესამეხაზელი მამუკა ცხადაძე, რომლებიც წარშან თბილისის „ყოჩებში“ ასპარეზობდნენ. ესენი საკმაოდ გამოცდილი მორაგბეები არიან, მათ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებშიც უთამაშიათ და ჩვენი გუნდისთვის საკმაოდ სერიოზული ნამატია.

სამწუხაროდ, რამდენიმე მორაგბემ თამაშს თავი დაანება და მათ ნაცვლად ჩვენივე სკოლის აღზრდილი ახალბედა მოთამაშეები დავიმატეთ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რუსთავის „ხარებმა“ საშინაო შეხვედრები რუსთავშივე უნდა გამართოს.**

- ჩვენ ამის დიდი სურვილი გვაქვს. მოედანმა, რომელზეც ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრები უნდა გაიმართოს, საქართველოს რაგბის კავშირის დებულების მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს. უახლოეს დღეებში ალბათ ინსპექტირებას გავივლით და თუ ყველაფერი რიგზე იქნება, რუსთავს დიდი რაგბი დაუბრუნდება.

**- თქვენი გუნდი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვანთაგან, რომელსაც ოფიციალური სპონსორი ჰყავს.**

- დიახ, რუსთავის „ხარების“ სპონსორი კომპანია „ჰაიდელბერგ ცემენტია“. ამ საწარმოსთან ურთიერთობის დამყარებაში ძალიან დიდი დახმარება გაგვიწიეს საქართველოს რაგბის კავშირმა და ქალაქ რუსთავის მერიამ. იმედი გვაქვს, ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება და საკმაოდ ნაყოფიერი იქნება.

**- რა მიზანს ისახავს წლევანდელ ჩემპიონატში რუსთავის „ხარები“?**

- ჩვენი ქალაქის სარაგბო ტრადიციები უკვე ვახსენეთ და ცოტა უხერხულიც კია, საუბარი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას რომ ეხება. არადა, „ხარებს“ 1994 წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული აქვს მოპოვებული. ეს უკვე წარსულია. მას შემდეგ თხუთმეტი წელიწადი გავიდა და ახალი წარმატებებისკენ სვლა თავიდან გვიწევს.

**- რა კეთდება საამისოდ რუსთავში?**

- ახლახან გადმოგვცეს მფლობელობაში მიწის ნაკვეთი, სადაც სარაგბო სტადიონისა და სავარჯიშო მოედნის მოწყობაა შესაძლებელი. იმედი გვაქვს, ეს პროექტი მალე განხორციელდება. სავარჯიშო მოედნის პრობლემა ნამდვილად გვაწუხებს. რაგბიში ვარჯიშის მსურველი ბავშვების რაოდენობა იმდენად დიდია, არ ვიცით, რა მოვახერხოთ, სად ვავარჯიშოთ.

ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კლუბის ახალგაზრდული გუნდები ჭაბუკთა A და B ლიგებში იასპარეზებენ. უფრო პატარები კი სარაგბო ფესტივალებს არ დააკლდებიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ლენდისი ნიუ იორკში ირბოლებს

ამერიკელი **ფლოიდ ლენდისი**, რომელმაც დოპინგის მიღების გამო ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, პროფესიულ სპორტში ფეხის მოკიდებას ცდილობს. მორიგი რბოლა, რომელშიც ლენდისი მიიღებს მონაწილეობას, 16 აპრილს ნიუ იორკში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელი 2006 წელს ტურ დე ფრანსის გამარჯვებული გახდა, მაგრამ აკრძალული პრეპარატის მიღებაში დაადანაშაულეს და ჩემპიონობა ჩამოართვეს.

დღეისთვის ლენდისი პროფესიულ ველოჯგუფ California-based OUCH-ის წევრია. ამერიკელს სერიოზულად აქვს განზრახული, კვლავ დაუბრუნდეს საუკეთესო ველომრბოლთა რიგებს. თებერვალში ფლოიდმა მონაწილეობა მიიღო კალიფორნიის ტურში და იქ 23-ე ადგილი დაიკავა.

რაგბი

# იაპონიამ განაცხადი შეიტანა

იაპონიის რაგბის კავშირმა მსოფლიოს თასის 2015 წლის გათამაშების ორგანიზებისთვის განაცხადის შეტანა გადაწყვიტა. როგორც იაპონური პრესა წერს, ქვეყნის მთავრობამ ამ ორგანიზაციას ფინანსური დახმარება აღუთქვა. აგრეთვე იტყობინებიან, რომ ეკონომიკური კრიზისი ხელს არ შეუშლის იაპონიაში ამ ტურნირის ჩატარებაში. ქვეყნის რაგბის კავშირმა უკვე გააფორმა სპონსორული კონტრაქტები ისეთ მსხვილ კომპანიებთან, როგორებიც არიან "ტოიოტა", "ტოშიბა" და "სანტორი".

იაპონია მეორედ ცდილობს რაგბის მსოფლიოს თასის მასპინძლობას. მას 2011 წლისთვისაც ჰქონდა შეტანილი განაცხადი, მაგრამ ამ ტურნირის ორგანიზება ახალ ზელანდიას მიანდეს. ამჯერად იაპონელებს ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, იტალია და ავსტრალია გაუწევენ კონკურენციას.

ჩოგბურთი




# შვედეთი დაისაჯა

დევისის თასის ხელმძღვანელობამ შვედეთის ჩოგბურთის ასოციაციის მიმართ გარკვეული სანქციები გამოიტანა. სასჯელის მიზეზი გახდა ის, რომ შვედებმა ქალაქ მალმიოში ცარიელი ტრიბუნების ქვეშ ჩაატარეს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მერვედფინალი ისრაელის წინააღმდეგ.

ის შეხვედრა მასპინძლებმა 2:3 წააგეს და ბრძოლას გამოეთიშნენ. ტრიბუნები კი უსაფრთხოების მიზნით იყო ცარიელი. იმ პერიოდში შვედეთში საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა ახლო აღმოსავლეთში ისრაელის პოლიტიკის წინააღმდეგ.

დევისის თასის შესაბამისმა კომიტეტმა შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღო: მალმიოს ხუთი წლით აეკრძალა ამ ტურნირის მატჩების მასპინძლობა, ხოლო შვედეთს ავტომატურად ჩამოერთმევა დევისის თასის შეხვედრის ორგანიზების უფლება, თუ მსგავსი პრობლემა (უსაფრთხოება) კიდევ იჩენს თავს. ამას ემატება 25-ათასიანი ჯარიმა, რომელიც ფედერაციამ უნდა გადაიხადოს.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ოტავა 2:1**

0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ალფრედსონი-24 (სპეცა-39, კამპოლი-18), 1:1 ლუჩიჩი-17 (რაიდერი-25, კრეისი-50), 2:1 სავარი-24 (აქსელსონი-23).

**აილენდერსი-მონრეალი 1:5**

0:2, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 ს. კოივუ-16 (კოვალიოვი-34), 0:2 შნაიდერი-9 (მარკოვი-52, კოვალიოვი-35), 0:3 ტანგეი-15 (გორჯესი-18), 0:4 მარკოვი-12 (ს. კოივუ-31, კოვალიოვი-36), 1:4 ტამბელინი-7, 1:5 კომისარეკი-2.

**კაროლინა-რეინჯერსი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 ე. სტაალი-35 (პიტკანენი-26, კორვო-24), 1:1 პოტერი-1 (მარა-15, კელეჰანი-15), 2:1 ლაროუზი-17 (რეი უიტნი-46, ე. სტაალი-34), 2:2 ჟირარდი-4 (გომესი-41, მარა-16), 3:2 ლაროუზი-18 (ი. იოკინენი-17, რეი უიტნი-47), 4:2 ბრინდამორი-15 (საიდენბერგი-23).

**დეტროიტი-სენტ ლუისი 4:5**

0:0, 1:2, 3:3

გოლები: 0:1 ბეკსი-27 (ვინჩესტერი-8, პინოტი-4), 0:2 ბეკსი-28 (ჯეკმენი-16, ა. სტინი-18), 1:2 დაციუკი-31 (ლიდსტრიომი-41, ჰოლმსტრიომი-19), 2:2 ლიდსტრიომი-14 (კრონვალი-44, დაციუკი-62), 2:3 ბეკსი-29 (ბოიესი-34), 2:4 ე. მაკდონალდი-14 (ოში-24, კოლაიაკოვო-27), 3:4 ფრანცენი-33 (კრონვალი-45, ლიდსტრიომი-42), 4:4 კრონვალი-5 (ფრანცენი-25), 4:5 ბეკსი-30 (ბოიესი-35, ე. მაკდონალდი-26).

**დალასი-კალგარი 1:2**

1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ბრუნსტრიომი-14 (ნილი-12, ლუნდკვისტი-5), 1:1 იგინლა-33 (ლეოპოლდი-15, ფანოფი-35), 1:2 კონროი-11 (ფანოფი-36, ვანდერმეერი-5).

**ედმონტონი-სან ხოსე 1:2**

0:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ჩიჩუ-11 (რიონიკი-9, რ. ბლეიკი-34), 0:2 ბოილი-16 (პაველსკი-34, ერჰოფი-30), 1:2 სემ განიე-15 (ნილსონი-20, პენერი-20).

**ვანკუვერი-ანაჰაიმი 5:6 (ბ)**

2:2, 3:3, 0:0

გოლები: 0:1 სელიანე-24 (ბ. რაიანი-26, რაიან უიტნი-19), 0:2 ბ. რაიანი-27 (გეტცლაფი-59, ს. ნიდერმაიერი-40), 1:2 ჰ. სედინი-20 (ბაროუზი-22, დ. სედინი-48), 2:2 უელვუდი-17 (ბერნიე-17, პიატი-9), 3:2 ბაროუზი-27 (დ. სედინი-49, ჰ. სედინი-58), 4:2 დ. სედინი-31 (ბიეკსა-32, სალო-19), 4:3 ბ. რაიანი-28 (პერი-38, ს. ნიდერმაიერი-41), 5:3 კესლერი-25 (დემიტრა-32, ჰ. სედინი-59), 5:4 პერი-29 (რაიან უიტნი-20, გეტცლაფი-60), 5:5 სელიანე-25 (მიკელსონი-2, ებეტი-23).

ბულიტები გაიტანეს: პერი (ანაჰაიმი).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 2:1**

0:1, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 დ. არმსტრონგი-5, 1:1 ჟოვანოვსკი-8 (დოუნი-39, ოაინპრეხტი-25), 2:1 აპშოლი-13 (ლომბარდი-29, ჟოვანოვსკი-26).

ფორმულა 1




# მატყუარა, მატყუარა

**ლუის ჰემილტონი** მატყუარაა, რომელიც შეიძლება 2009 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა სიიდან მოკვეთონ. თამამი მოსაზრებაა, მაგრამ სწორედ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება იმ დისკვალიფიკაციიდან, რომელიც ბრიტანელმა პილოტმა ხუთშაბათს მიიღო. ცნობილია, რომ ადამიანი დამნაშავედ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ცხადდება. სასამართლო კი უკვე გაიმართა, განაჩენი გამოტანილია, აპელაცია არ იქნება - აი, ასეთი სავალალო შედეგი ჰქონდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) სტიუარდთა სხდომას. ჰემილტონი დამნაშავედ აღიარეს, ხალხმა კი მას მატყუარას იარლიყი მიაწება.

მოდით, გავიხსენოთ ისტორია, რომელსაც ლუისის დისკვალიფიკაცია მოჰყვა. ავსტრალიის გრანპრის დასრულებამდე რამდენიმე წრით ადრე, **რობერტ კუბიცა** და სებასტიან ფეტელი ერთმანეთს შეეჯახნენ და რბოლის დირექცია იძულებული გახდა ტრასაზე პეისკარი გაეშვა. **იარნო ტრულიმ**, რომელიც მშვიდად უახლოვდებოდა სეზონში თავის პირველ პოდიუმს, საკუთარი შეცდომის გამო ბოლოსწინა მოსახვევი ვერ გაიარა და მინდორზე გადავიდა. სანამ იტალიელი ტრასაზე დაბრუნებას ცდილობდა, ჰემილტონმა გვერდით ჩაუარა - მოქმედ ჩემპიონს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

ორივე გუნდის შტაბში ეს ინციდენტი არ დაუნახავთ და პანიკაში ჩავარდნილებმა პილოტებს დაუწყეს გამოკითხვა. "მაკლარენი" ლუისს ეკითხებოდა, როგორ გაასწრო ტრულის, "ტოიოტა" იარნოს - როგორ გაატარა ჰემილტონი. შემდეგ ორივე გუნდმა რბოლის დირექციას მიმართა და სიტუაციაში გარკვევა მოითხოვა. იაპონელებმა ტრულის შესთავაზეს, ყველაფერი ისე დაეტოვებინა, როგორც იყო, აი, "მაკლარენი" კი რაღაცამ ააფორიაქა და ჰემილტონის უკმაყოფილების მიუხედავად, იარნოს წინ გაშვება მოითხოვა.

შემდეგ მაკლარენელებმა ლუისს მესამე ადგილის შენარჩუნება ურჩიეს, მაგრამ უკვე გვიან იყო: ჰემილტონი გუნდის ბრძანებას დაემორჩილა, მკვეთრად შეანელა სვლა და ფაქტობრივად აიძულა გაოგნებული ტრული წინ გასულიყო. იარნოს წესი არ დაურღვევია - თურმე, ტრასაზე პეისკარის მოძრაობის დროს შესაძლებელი ყოფილა დაბალი სიჩქარით მიმავალი ბოლიდის გასწრება. გამოდის, რომ ჰემილტონი თავისივე გუნდის გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდა, რომელმაც ექსტრემალურ სიტუაციაში წესები დაივიწყა და თავად წაართვა პილოტს მესამე ადგილი. რბოლაში იარნო მესამე მივიდა ფინიშთან, ჰემილტონი - მეოთხე იყო.

სტიუარდებმა ამ ინციდენტის განხილვა გადაწყვიტეს, თუმცა მათთან ვიზიტამდე, ლუისმა სრული სიმართლე თქვა ტელეარხ SpeedTV-ის ეთერში - რომ გუნდმა უბრძანა და ამიტომ გაატარა ტრული. შემდეგ ჰემილტონი ფედერაციაში გაემგზავრა და... აბსოლუტურად საპირისპირო რამ მოყვა! გუნდის ბრძანება? არ ყოფილა არანაირი ბრძანება. შეგნებულად დააგდეთ სიჩქარე? არავინ გამიტარებია, მან თავად გამასწრო! ასეთ პასუხებს იძლეოდა FIA-ში ბრიტანელი. მოკლედ, ჩვენმა გმირმა ყველაფერი უარყო.

რატომ მოხდა ასე? შესაძლოა, ლუისმა გულუბრყვილოდ ჩათვალა, რომ სტიუარდებს გააცურებდა იმის მიუხედავად, რომ ტელევიზიით სულ სხვა განცხადებები ჰქონდა გაკეთებული. ან ფიქრობდა, რომ რბოლის რადიოჩანაწერებს არ მოიკითხავდნენ...

ჰემილტონს ერთ რამეში გაუმართლა. იარნო ტრულიმ ამ ამბის გამო ხმაურის ატეხა არ მოისურვა. მშვიდად უპასუხა შეკითხვებს და მთელი კონცენტრაცია მომდევნო რბოლაზე გადაიტანა. წარმოიდგინეთ, ტრულის ადგილას იგივე ჰემილტონი ან ალონსო რომ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში სასამართლო გარჩევები კარგახანს გაგრძელდებოდა.

ჰემილტონს კინაღამ გაუვიდა ეს ტყუილი და SpeedTV-სთვის მიცემული ინტერვიუ რომ არა, ალბათ, დაუსჯელი დარჩებოდა. საერთოდ, საოცარია ის ფაქტი, რომ ფედერაცია დიდი ხანი ვერ გაერკვა ამ სიტუაციაში - აშკარად თვალში საცემია FIA-ის აპარატის მოუქნელობა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ რბოლის დირექციამ უშუალოდ ეტაპის მიმდინარეობისას ოპერატიულად ვერ განუმარტა სიტუაცია "მაკლარენისა" და "ტოიოტს" წარმომადგენლებს.

ორი სიტყვით რომ ვთქვათ, ლუის ჰემილტონმა შეცდომაში შეიყვანა სტიუარდები და მათთან საუბარში სიმართლე დამალა. რა თქმა უნდა, სულელური საქციელია. მან საკუთარი თავი და გუნდი დაალალატა და დაკარგა დამსახურებულად მოპოვებული ხუთი ქულა (იმას ვერავინ უარყოფს, რომ ჰემილტონმა ბრწყინვალე რბოლა წარმართა).

თავისი წილი პასუხისმგებლობა გუნდსაც ეკისრება, რომლის ბრძანებითაც გაატარა ლუისმა ტრული. ბუნებრივია, არავის სჯერა, რომ ჰემილტონს ჩემპიონატიდან მოკვეთენ. მაგრამ ჩემპიონს სერიოზულად შეერყა რეპუტაცია. ინგლისურ პრესაში მას უკვე უწოდეს "მატყუარა". ამ არასახარბიელო სიტუაციის გამოსწორება კი მხოლოდ ერთი გზით შეიძლება - ლუისს ახალი გამარჯვებები სჭირდება. სწორედ ასეთი გამარჯვებებით დაავიწყა **მიხაელ შუმახერმა** ყველას ხერესი-97...

*"მელბურნში მომხდარი ინციდენტი ყველაზე უარესია იმათგან, რაც კი ჩემს კარიერაში მომხდარა. ასეთი განადგურებული არასოდეს ვყოფილვარ. რბოლის მსვლელობისას დამაბნიეს. არ მინდა მატყუარად და უპატიოსნოდ მთვლიდნენ. პილოტი გუნდის შემადგენელი ნაწილია. მე მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რასაც რადიოთი მეუბნებოდნენ"*, - ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ მომხდარზე ლუის ჰემილტონმა.

■ ■ ■

გუშინვე ლუისის ისტორიას ახალი გაგრძელება მოჰყვა. "მაკლარენის" შეფმა **მარტინ უიტმარშმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ დროებით ჩამოაშორეს სამუშაოს გუნდის სპორტული დირექტორი **დეივ რაიანი**.

*"მას "მაკლარენში" 20 წელი აქვს გატარებული და სამუშაოსადმი ასეთი ერთგული ადამიანი იშვიათად შემხვედრია. დეივი დიდი ხანია "მაკლარენის" განუყოფელი ნაწილია და ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გუნდის წარმატებებში.*

*მაგრამ წინა კვირას მომხდარ ინციდენტში მისმა მონაწილეობამ გუნდს დიდი ზარალი მოუტანა. დღეს დილით დეივი სამსახურიდან დავითხოვე და ის ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა"*, - ამბობს უიტმარში.



# ბარიკელოს უკან დაახევინეს

კვირას გასამართი მალაიზიის გრანპრის წინ, სერიოზულად დაზარლდა "ბრაუნ გრანპრის" პილოტი **რუბენს ბარიკელო**. ბრაზილიელის ბოლიდზე გადაცემათა კოლოფი შეცვალეს. ამის გამო კი ბარიკელოს "სეპანგის" ტრასის სასტარტო ბილიკზე ხუთი პოზიციით დაახევინებენ უკან.

წელს მოქმედი წესების თანახმად, გადაცემათა კოლოფმა ოთხ რბოლას უნდა გაუძლოს, მისი ნაადრევი შეცვლა კი ჯარიმით ისჯება. ასე რომ, შაბათს, კვალიფიკაციაში დაკავებული ადგილის მიხედვით, ბრაზილიელი სტარტზე ხუთი ადგილით უკან დაიწევს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩები



# ბერძნული დერბის მოლოდინში

ევროლიგის პლეი ოფის გუშინდელი დღე ბერძნული კლუბების ტრიუმფით დასრულდა. "ოლიმპიაკოსმა" და "პანათინაიკოსმა" მეოთხედფინალური სერიების მეოთხე მატჩები მოიგეს და "ოთხთა ფინალში" თამაშის უფლება მოიპოვეს.

"ოლიმპიაკოსმა" მადრიდში კვლავ თავისი ერთ-ერთი ლიდერის, **ნიკოლა ვუიჩიჩის** გარეშე ითამაშა. ბერძნებმა პირველი მეოთხედი ოთხი ქულით მოიგეს, მაგრამ შემდეგ დიდხანს მდევრის როლში იყვნენ.

"რეალი" დიდი შესვენებისთვის რვა ქულით გაიჭრა წინ. მართალია, მესამე მეოთხედში სტუმრებმა ეს ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ "სამეფო კლუბი" მაინც არ თმობდა უპირატესობას.

გადამწყვეტი სიტყვა "ოლიმპიაკოსის" სერბმა ფორვარდმა **ზორან ერცეგმა** თქვა. მან მატჩში 7 ქულა დააგროვა და შვიდივე ბოლო ოთხ წუთზე მოდის. სწორედ მისმა სამქულიანმა დაანინაურა "ოლიმპიაკოსი" (73:70), რის შემდეგაც სტუმრებმა ბოლომდე შეინარჩუნეს სამქულიანი უპირატესობა და 1999 წლის შემდეგ პირველად მოიპოვეს "ოთხთა ფინალში" თამაშის უფლება.

■ ■ ■

იტალიაში წარმატებული გასვლა ჰქონდა მეორე ბერძნულ კლუბ "პანათინაიკოსს". ევროლიგის 2007 წლის ჩემპიონმა სიენაში ორივე მატჩი მოუგო "მონტეპასკის".

გუშინდელ შეხვედრაში "პანათინაიკოსმა" მხოლოდ მეორე მეოთხედი ჩააგდო, დანარჩენ შემთხვევაში მუდმივად წინ იყო და როგორც კი მეტოქე მიუახლოვდებოდა, ზუსტი სამქულიანით პასუხობდა მას. აღსანიშნავია, რომ ბერძნებმა 50-პროცენტიანი სიზუსტით ესროლეს პერიმეტრიდან და მათი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს გახდა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე "მონტეპასკის" ამერიკელი მცველი **ტერელ მაკინტაირი** გახდა, რომელმაც 35 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ მას პარტნიორებმა ვერ აუბეს მხარი. რაც შეეხება "პანათინაიკოსს", ამ გუნდში ყველამ კარგად ითამაშა - სტუმართა რიგებში ექვსმა კალათბურთელმა შეძლო 10 ან მეტი ქულის დაგროვება.

1 მაისს ბერლინის არენაზე "პანათინაიკოსი" ნახევარფინალში "ოლიმპიაკოსს" შეხვდება.

■ ■ ■

"ტაუგრესისა" და "ბარსელონას" წყვილი ერთადერთია, სადაც გამარჯვებულის გამოსავლენად მეხუთე მატჩის ჩატარება გახდა საჭირო.

"ტაუგრესს" შეეძლო საკუთარ მოედანზე დაესრულებინა ეს სერია და ზედიზედ მეხუთედ გასულიყო "ოთხთა ფინალში", მაგრამ ახლა ძალიან გართულა მდგომარეობა, რადგან სერიის მეხუთე მატჩი ბარსელონაში გაიმართება.

კატალონიელებმა 21 ქულით გაანადგურეს მეტოქე, არადა, პირველი ორი მეოთხედი "ტაუგრესის" უპირატესობით მიდიოდა და მასპინძლები დიდი შესვენებისთვის ერთი ქულით იყვნენ წინ.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე 10-წუთეული, რომელიც "ბარსელონამ" 17 ქულით მოიგო. "ტაუგრესი" ფსიქოლოგიურად გატყდა და პრაქტიკულად შეწყვიტა წინააღმდეგობა. "ბარსამ" იოლად მიიყვანა მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე და ახლა, 9 აპრილს საკუთარ მოედანზე შეეცდება სერიის თავის სასარგებლოდ დასრულებას. ამ წყვილში გამარჯვებული "ოთხთა ფინალში" მოსკოვის ცსკა-ს დაუპირისპირდება.

**რეალი-ოლიმპიაკოსი 75:78**

16:20, 25:13, 17:21, 17:24

რ: ბალოკი (19), რეიესი (12+10 მოხსნა).

ო: ბურუსისი (25+3 დაფარება), გრირი (12), ჰალპერინი (10).

**სერია: 1-3**

**ტაუგრესი-ბარსელონა 63:84**

19:17, 22:23, 13:30, 9:14

ტ: რაკოჩევიჩი (21+4 პასი), მიკელი (14), სპლიტერი (12).

ბ: ლაკოჩევიჩი (15+5 პასი), ბაზილე (13), ნავარო (11+4 პასიმ), ანდერსენი (11), ილიასოვა (11+8 მოხსნა).

**სერია: 2-2**

**მონტეპასკი-პანათინაიკოს 84:91**

18:28, 26:19, 16:18, 24:26

მ: მაკინტაირი (35), კაუკენასი (15).

ი: ნიკოლასი (19), ბატისტი (15), პეკოვიჩი (14), პერპეროგლუ (12), სპანულისი (11+10 პასი+3 ჩაჭრა), იასიკიავიჩუსი (10).

## ტურის მოთამაშე

როგორც მოსალოდნელი იყო, მეოთხედფინალური სერიების მეოთხე მატჩების საუკეთესო მოთამაშედ "მონტეპასკის" მცველი ტერელ მაკინტაირი დაასახელეს. "პანათინაიკოსთან" ნაგებულ შეხვედრაში ამერიკელმა 35 ქულა, სამი მოხსნა, სამი პასი და ერთი ჩაჭრა დააგროვა, რამაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 37 ქულამდე აიყვანა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია-მილუოკი 105:95**

24:24, 26:35, 30:20, 25:16

ფ: ლ. უილიამსი (21), იგუოდალა (20+3 ჩაჭრა), ა. მილერი (18+11 პასი), სპეიტსი (14), რ. ევანსი (13+7 მოხსნა), დალემბერი (4+10 მოხსნა).

მ: სეშენსი (18+10 პასი+4 ჩაჭრა), რ. ჯეფერსონი (17), ჩ. ბელი (14), ვილანუევა (11), რიდნური (11), გაძურიჩი (10).

**ვაშინგტონი-კლივლენდი 109:101**

22:19, 27:22, 31:29, 29:31

ვ: კ. ბატლერი (25), ჯეიმისონი (19), ჰეივუდი (12+10 მოხსნა), სონგაილა (17), არენასი (11+10 პასი), ნ. იანგი (10), მაკგუაიერი (7+10 მოხსნა).

კ: ლ. ჯეიმსი (31+9 მოხსნა+6 პასი), მ. უილიამსი (19), დ. უესტი (14+7 პასი), ვარეჟაო (10+7 მოხსნა).

**დენვერი-იუტა 114:104**

21:24, 33:19, 29:29, 31:32

დ: სმიტი (28+7 პასი), ენტონი (23+9 მოხსნა), ბილაპსი (17+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნენე (13), ე. კარტერი (12+4 ჩაჭრა), კ. ანდერსონი (7+10 მოხსნა+8 დაფარება).

ი: მაილზი (19), დ. უილიამსი (18+10 პასი), ბუზერი (15+11 მოხსნა), ოქური (14+15 მოხსნა), მილსეპი (14+12 მოხსნა), რ. ბრიუერი (10).

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მანტოვა-ალბინოლეფე | 1:0 |
| ემპოლი-ფროსინონე | 1:1 |
| **გერმანია** | |
| არმინია-შალკე | 0:2 |
| *კობიაშვილმა სრულად ითამაშა, ყენია განაცხადში იყო* | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 1:1 |
| დუისბურგი-მაინცი | 0:1 |
| ნიურნბერგი-კობლენცი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-შატორუ | 2:1 |
| ბულონი-ნიმი | 2:0 |
| დიჟონი-სედანი | 1:0 |
| გინგამი-ტრუა | 0:0 |
| მონპელიე-კლერმონი | 2:1 |
| რეიმსი-ვანი | 3:1 |
| ტური-ანჟერსი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ნიიმეგენი-ტვენტე | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდორნი-ეინდჰოვენი A | 3:1 |
| ემენი-ტოპ ოსი | 4:4 |
| დენ ბოში-კამბური | 1:2 |
| დორდრეჰტი-ჰაარლემი | 4:0 |
| ფორტუნა-ვეენდამი | 1:2 |
| იგლზი-მაასტრიხტი | 0:0 |
| ჰელმონდი-ომნივორლდი | 1:0 |
| როსენდალი-ექსელსიორი | 1:2 |
| ტელსტარი-ცვოლე | 0:2 |
| ვენლო-ვაალვიკი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ბელენენსეში | 1:0 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კიოგე-ჰერფიოლგე | გადაიდო |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ტიროლი | 2:2 |
| ლეობენი-ავსტრია A | 2:1 |
| სტ. პოლტენი-გრატკორნი | 0:0 |
| გრიოდიგი-ლუშტენაუ | 1:3 |
| ვინერი-ფოკლაბრუკი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კონკორდია-გოსაუ | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-კორკი | 0:1 |
| ბრეი-სტ. პატსი | 2:1 |
| დერი-გალვეი | 1:1 |
| დროგედა-შემროკი | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| მერვუ-შელბურნი | 0:1 |
| სპორტინგი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| უნივერსიტი-კილდეირი | 4:0 |
| **უელსი** | |
| ქერსოუსი-უელშპული | 0:1 |
| ქონეჰსი-პრესტატინი | 3:1 |
| ჰავერფორდვესტი-ლანელი | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-დ. სტრედა | 3:0 |
| **რუსეთი** | |
| ხიმკი-როსტოვი | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| პიასტი-გურნიკი | 1:0 |
| ბელხატოვი-შლიონსკი | 2:1 |
| **[illegible]** | |
| პონვედი-დიორი | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| ფარული-პოლიტეხნიკა | 0:3 |
| **ბულგარეთი** | |
| ლომოკოტივი (პ)-სპარტაკი | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ვალენსია-ხიმკი | 73:76 |
| ბილბაო-ზადარი | 76:67 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-ბეზანსონი | 75:58 |
| დიჟონი-ნანსი | 80:89 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| აკ ბარსი-ლოკომოტივი | 3:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-მანჰაიმი | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კერპეტი | 5:7 |
| იუვიასკიულა-კალპა | 4:1 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-სლავია | 4:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| ფედერერი-ჯოკოვიჩი | 6:3, 2:6, 3:6 |

## TV პროგრამა

**4 აპრილი. შაბათი**

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-რეალი (LIVE).

**I არხი**

16:15 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).
19:00 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:20 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. იტალია-ირლანდია.
07:10 საფეხბურთო კლუბი.
08:00 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-მაკედონია.
09:45 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პერუ.
11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-შალკე.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ტოტენჰემი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ჩელსი.
21:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-ბარსელონა (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-რეალი (LIVE).
01:55 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი.
03:45 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ტოტენჰემი.
05:35 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**EUROSPORT**

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. პეკინი (LIVE).
13:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-ესპანეთი.
14:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. პეკინი (LIVE).
18:30 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. III დღე. მილანი. იტალია (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მაიამი. აშშ.
22:30 ცხენოსნობა. არეცო. იტალია.
23:45 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. პეკინიჟ.
01:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:45 ავტოსპორტი. GP2-ის სერია (აზიის სერია). I რბოლა. მალაიზია (LIVE).
12:45 ექსტრემალური სპორტი.
13:00 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/4 ფინალი. ვალენსია (ესპანეთი)-ხიმკი (რუსეთი).
14:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. IV ტური. ივატა-ტოკიო (LIVE).
16:00 ახალი ამბები.
16:15 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. სპარტაკი (რუსეთი)-ეკატერინბურგი (რუსეთი).
17:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია).
18:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. IV ტური. ივატა-ტოკიო.
19:45 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/2 ფინალი (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:15 ციგურებით სირბილი. ლოზანა. შვეიცარია.
23:00 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/2 ფინალი (LIVE).
00:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-ზაგრები (ხორვატია).
02:00 ახალი ამბები.

**5 აპრილი. კვირა**

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
16:15 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).
19:00 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
08:20 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-რეალი.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-რეალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალიადოლიდი-ბარსელონა.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ჩელსი.
18:05 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ხეტაფე (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რასინგი (LIVE).
00:50 გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ლევერკუზენი.
02:30 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ინდეპენტიენტე (LIVE).
04:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნიცა

**EUROSPORT**

10:30 მარათონი. პარიზი. ჩინეთი (LIVE).
13:15 ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. ესპანეთი (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ესპანეთი (LIVE).
14:45 ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. ესპანეთი (LIVE).
15:15 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
16:05 ველოსპორტი. ფლანდრიის ტური. ბელგია (LIVE).
19:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. რუმინეთი (LIVE).
20:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. IV დღე. მილანი. იტალია.
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 56 კგ. რუმინეთი (LIVE).
23:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი.
01:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
01:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ესპანეთი.
02:00 ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. ესპანეთი.
02:30 მოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
03:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:45 ავტოსპორტი. GP2-ის სერია (აზიის სერია). II რბოლა. მალაიზია.
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი (LIVE).
13:00 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. მე-3 ადგილისთვის. სალამანკა. ესპანეთი (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. ფინალი. სალამანკა. ესპანეთი.
17:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XXV ტური. პეზარო-კონელიანო.
18:45 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. IV ტური. ივატა-ტოკიო.
19:45 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". ფინალი (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:15 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. ფინალი. სალამანკა. ესპანეთი.
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XXV ტური.
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
00:45 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XXV ტური. პეზარო-კონელიანო.
02:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# სერენამ პირველობა შეინარჩუნა



მაიამის უმაღლესი კატეგორიის ქალთა ტურნირში ფინალისტები გამოვლინდნენ. შაბათს გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ამერიკელი **სერენა უილიამსი** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** შეხვდებიან.

.აზარენკა ბოლო თვის განმავლობაში ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას ახდენს. ამ ჩოგბურთელმა ინდიან უელსში ნახევარფინალში გააღწია, ამჯერად კი ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

აზარენკამ გზად ფინალამდე **დინარა საფინა** და **ანა ივანოვიჩი** დაამარცხა, ნახევარფინალში კი სამ სეტში გაუსწორდა რუს **სვეტლანა კუზნეცოვას**, რომელთანაც წინა სამი მატჩი წაგებული ჰქონდა.

ბელარუსმა პირველ სეტში სამი ბრეიკი მიითვალა და 6:3 მოიგო. მეორე პარტიაში კუზნეცოვამ იმავეთი უპასუხა მეტოქეს და დაინიშნა გადამწყვეტი სეტი, სადაც მოვლენები დრამატულად განვითარდა. პარტიის სტარტზე აზარენკამ ბრეიკი აილო და 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ კუზნეცოვამ ანგარიშის გათანაბრება შეძლო. თუმცა ამ წარმატებას რუსისთვის ფსიქოლოგიური უპირატესობა არ მოუტანია. აზარენკამ ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და პირველად გავიდა ასეთი დონის ტურნირის ფინალში.

*"მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 19 წლის ვარ, ყოველთვის ვოცნებობდი დიდი ტურნირის ფინალში გასვლაზე, თუმცა არასოდეს მიფიქრია, რომ ამის გაკეთებას შევძლებდი"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ აზარენკამ.

აზარენკა გადამწყვეტ მატჩში **სერენა უილიამსს** შეხვდება. მეორე ნახევარფინალში დები უილიამსების რიგით მე-20 ოჯახური დაპირისპირება ვიხილეთ. დებს შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 10:9 იყო **ვენუსის** სასარგებლოდ და სერენამ შეძლო თანაფარდობის აღდგენა.

გარკვეულწილად, ამ მატჩის შედეგის პროგნოზირება შესაძლებელი იყო. დამარცხების შემთხვევაში, სერენას რეიტინგის პირველი ადგილი რუს დინარა საფინასთვის უნდა დაეთმო და ალბათ, უილიამსების ოჯახი ამას არ დაუშვებდა.

ასეა თუ ისე, ბრძოლა შედგა და სერენამ სამ სეტში მოუგო თავის უფროს დას. თამაში საათსა და 55 წუთს გაგრძელდა.

ფინალში აზარენკას დამარცხების შემთხვევაში, სერენა მეექვსედ მოიგებს მაიამის ტურნირს, რითაც ლეგენდარული გერმანელი **შტეფი გრაფის** რეკორდს მოხსნის.

*"ბრეიკ-პოინტების რეალიზაციაზე უნდა ვიმუშაო. ვენუსმა უამრავი შანსი მომცა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ვცდებოდი. უფრო საიმედოდ რომ მეთამაშა, სულ სხვა ანგარიშით მოვიგებდი"*, - ასე შეაფასა საკუთარი თამაში სერენამ.

■ ■ ■

კაცების ბადეში ბოლო ორი ნახევარფინალისტი გამოვლინდა. აქ ერთი სენსაცია მოხდა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ველარ გაუძლო ერთთვიან დაძაბულ რითმს და სამ სეტში წააგო არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან**.

ესპანელს ჯერ კიდევ წინა წრეში, შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკასთან** დაეტყო დაღლა და იმავე პრობლემამ დელ პოტროსთან მატჩში იჩინა თავი. თუმცა, რაფას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ბოლომდე იბრძოლა და ახლოსაც იყო გამარჯვებასთან. გადამწყვეტ მესამე სეტში ნადალი 3:0 დაწინაურდა, მაგრამ დელ პოტრომ მოახერხა პარტიის ტაიბრეიკამდე მიყვანა, იქ კი მხოლოდ სამი გათამაშება დათმო და "შემოკლებულ გეიმში" 7:3 გაიმარჯვა.

დელ პოტრო პირველად გავიდა "მასტერსის" სერიის ტურნირში, გარდა ამისა, მან ასევე პირველად დაამარცხა რეიტინგის ტოპ-ოთხეულის წევრი.

*"ვაღიარებ, რომ ბოლო ორი მატჩი საშინლად ჩავატარე. ახლა რამდენიმე დღე დასვენება მჭირდება, შემდეგ კი თიხნარზე გადავინაცვლებ. მინდა მონტე კარლოს, ბარსელონას, რომისა და მადრიდის ტურნირებზე გამარჯვებისთვის ვიბრძოლო"*, - განაცხადა ნადალმა, რომლისთვისაც ეს მხოლოდ მესამე წაგება იყო ამ სეზონში.

ფავორიტთაგან ყველაზე დამაჯერებელ თამაშს ბრიტანელი **ენდი მიურეი** აჩვენებს, რომელიც ზედიზედ ანადგურებს მეტოქეებს.

გუშინ მიურეიმ დამაჯერებელი რევანში აუღო ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოს** ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში დამარცხებისთვის. შოტლანდიელმა ჯამში ხუთი ბრეიკი აილო და 75 წუთი მოანდომა ნახევარფინალში გასვლას. შესაძლოა, ვერდასკოს ცუდი თამაში იმ ტრავმით იყო გამოწვეული, რომელიც მან მატჩის დასაწყისში მიიღო.

მიურეის დელ პოტროსთან მოუწევს ნახევარფინალში თამაში. ამავე ეტაპზე ხვდებიან ერთმანეთს **როჯერ ფედერერი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:4, 3:6, 7:6 (3); **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 8) 6:1, 6:2.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

დელ პოტრო (6)-მიურეი (4); ჯოკოვიჩი (3)-ფედერერი (2).

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 5) 6:4, 3:6, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 11)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 8) 3:6, 6:2, 5:7.

# ანამ მწვრთნელი აიყვანა



სერბი ჩოგბურთელი **ანა ივანოვიჩი** ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გააგრძელებს 2009 წლის სეზონს. როლან გაროსის ჩემპიონმა გამოსაცდელი ვადით აიყვანა 47 წლის ამერიკელი სპეციალისტი **კრეიგ კარდონი** და გარკვეული დროის შემდეგ, სერბმა მასთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა.

ივანოვიჩი ექვსი კვირა მეცადინეობდა ამერიკელის ხელმძღვანელობით, რის შემდეგაც ანას თამაშში აშკარა პროგრესი გამოჩნდა. *"კრეიგის გვერდით დიდი სიამოვნებით ვმუშაობ. შესანიშნავი ადამიანი და ძლიერი სპეციალისტია. მისი სამწვრთნელო ფილოსოფიის თაყვანისმცემელი გავხდი. რაც მთავარია, ვგრძნობ, რომ თამაშს მოვუმატე. ამიტომაც, მოხარული ვარ, რომ მასთან მომავალშიც გავაგრძელებ თანამშრომლობას"*, - განაცხადა ივანოვიჩმა საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ივანოვიჩმა ინდიან უელსის ტურნირის ფინალში გააღწია, თუმცა მაიამის ტურნირზე ადრეული ეტაპიდან გამოეთიშა ბრძოლას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**





# ვარსკვლავთცვენა მაიამიში

მაიამიში მიმდინარე ტურნირზე ტრიბუნებს ბევრი ცნობილი ადამიანი სტუმრობს. მაგალითად, **სერენა** და **ვენუს უილიამსების** მატჩს **ენრიკე იგლესიასი** და **ანა კურნიკოვა** დაესწრნენ. ორივენი ძალიან მხიარულად გამოიყურებოდნენ და ყველა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მომღერალსა და ყოფილ ჩოგბურთელს კვლავ ბედნიერი დღეები დაუდგათ.

არგენტინული ჩოგბურთის ვარსკვლავი **გაბრიელა საბატინი** თავისი თანამემამულის **ხუან მარტინ დელ პოტროს** მხარდასაჭერად დაესწრო მისი და ესპანელი **რაფაელ ნადალის** შეხვედრას. ხუან მარტინმაც გაამართლა გაბის იმედები და მსოფლიოს პირველი ჩოგანი დაამარცხა.


